ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№185 (244) 28 აგვისტო – 4 სექტემბერი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

მხდალებს დიდგორში არაფერი ესაქმებათ, საქართველოშიც!..

(ცოტ-ცოტა ყველაფერზე)

დიდგორი სიბრძნისა და სიმამაცის თვალნათელი ნიმუშია, ამიტომ, მკრეხელობად შეიძლება ჩაითვალოს ამ წმინდა ადგილზე იმ მხდალი ადამიანის ჩასვლა, რომელმაც გორში მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ხმის გაგონებისას მიატოვა მაღალი სტუმარი (საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი) და შიშისაგან გონდაკარგულმა მიწა ახნა ცხვირით.

2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებებისას გორში მომხდარი ეს სამარცხვინო ამბავი წყალგაუვალი ფაქტია და ამ ფაქტს ვერსად წაუვალთ, განსაკუთრებით ის პიროვნება, რომელმაც, მაშინ, **“საკუთარ ცხენს გაასწრო”**, ახლა კი ახალ-ახალ ზღაპრებს მოგვითხრობს საკუთარ საგმირო საქმეებზე!

სწორედ მაშინ გავიხარე, რომ სააკაშვილი ეთნიკური ქართველი არ იყო, მაგრამ ჩვენთვის ეს ვერაფერი შედავათია, რადგან მისი სომხობის თაობაზე არც ბერნარ კუშნერმა იცის და არც სხვა ევროპელმა პოლიტიკოსებმა, და ამიტომაც მიიჩნევენ, რომ ქართველები მშიშარა და მფრთხალი ხალხი ვართ.

ვაი, სირცხვილო, სანამდე დაეშვა გმირული წარსულის მქონე ჩემი ბედკრული სამშობლო!

რაც შეეხება ნაციონალთა ღრეობად ქცეულ ამასწინანდელ დიდგორობის დღესასწაულს, როგორც **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** მიერ გავრცელებულ განცხადებაში იყო განმარტებული, მმართველი პარტია დიდგორობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საჯარო კონცერტის ორგანიზების ხარჯებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს პარტიის ფონდიდან სრულად აუნაზღაურებს.

მიუხედავად იმისა, რომ კონცერტს **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** აქტივისტებისა და მოხალისეების გარდა სხვა პირებიც ესწრებოდნენ, საზოგადოების ნაწილს მაინც დარჩა შთაბეჭდილება, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებული კონცერტი **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** პარტიული ღონისძიების ნაწილი იყო.

„12 აგვისტოს დიდგორობის დღესასწაულის გამო პარტიული ღონისძიების მოწყობას დიდგორის ველზე ვგეგმავდით. ღონისძიების გამართვა დილის 10.00 საათიდან 12.30 საათამდე იყო დაგეგმილი. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი კი ღონისძიებების ჩატარებას 13.00 საათიდან აპირებდა, – ნათქვამი იყო განცხადებაში. – **სამწუხაროდ, ღონისძიების მასშტაბურობიდან და მასში მონაწილე პარტიული აქტივისტებისა და მოხალისეების რაოდენობიდან გამომდინარე, ღონისძიება დაგეგმილ დროს ვერ დასრულდა და ის, დაახლოებით, 14.00 საათამდე გაგრძელდა. შესაბამისად, დაახლოებით, 1 საათის განმავლობაში ჩვენი პარტიული ღონისძიება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიების პარალელურად მიმდინარეობდა“.**

განცხადების თანახმად, ამ საკითხზე საზოგადოებას გარკვეული კითხვები გაუჩნდა, მათ შორის, **„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“** თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისმა კომისიამაც მიმართა კითხვებით.

პასუხისა კი, რა მოგახსენოთ!

სურნელოვანი მწვადი აჭამეს და ამით აიტყუეს ახალგაზრდები დიდგორში და იქ, სადაც ჩვენი წინაპრები ხმლებს ატრიალებდნენ, ნაციონალებმა ქართველ ახალგაზრდებს დანა-ჩანგალი დაატრიალებინეს.

დანა-ჩანგლით მონობისაგან დახსნილი ქვეყანა კი არავის უნახავს.

დანა-ჩანგლით, ტიკითა და დოლით, ფილმ **“შერეკილების”** გმირის ექიმ ნოშრევანის თქმისა არ იყოს, ჯერ არც არავინ გაფრენილა. გაფრენა კი, გიყვარდეს, ნაციონალებმა და მისმა ბელადმა, განსაკუთრებით შიშის ჟამს, იმისთანა იციან, გორში რომ ვნახეთ!

ახლა კი ისეთ სისულელეებს გვიყვება სააკაშვილი, რომ პირი გვრჩება ღია. 2008 წლის აგვისტოს ომის მძიმე პერიოდში **“ფოთში”** რომ ვერტმფრენით მივფრინავდით, ღრუბლებს ვეფარებოდით, მტრებს რომ არ შევემჩნიეთო. ისეთი ტყუილი მაინც მოიფიქროს, ადამიანებს რომ არ გაეცინებათ – როდის იყო, რომ ღრუბელი თვითმფრინავს მოწინააღმდეგის რადარისაგან იცავდა?

ნუთუ ამ კაცს ერთი ნორმალური სამხედრო მრჩეველი მაინც არა ჰყავს, რომელიც ასეთი სულელური ტყუილის წამოროშვას გადაათქმევინებდა?

მოკლედ, გაუთავებლად ლაპარაკობს სააკაშვილი და მის რიტორიკაში კალეიდოსკოპივით ენაცვლება ერთმანეთს **“ლამაზი ტყუილი”** და ის მწარე რეალობა, რომელიც სააკაშვილისავე წყალობით მაჯლაჯუნად აწევს დღეს სრულიად საქართველოს...

მართლაც არაადამიანი უნდა იყო, რომ რამდენიმე წუთი არ დაუთმო პოლიციის მიერ დაპატიმრების შემდეგ საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილ ბადრი ტაბიძის დედას, გაუბედურებულ ქალს, რომელიც რიკოთის უდელტეხილიდან ფეხით ჩამოვიდა თბილისში, სააკაშვილთან შესახვედრად. ან რა უნდა უთხრას პრეზიდენტმა იმ შვილმკვდარ დედებს, რომელთა შვილების სისხლი სწორედ სააკაშვილის ჩინოვნიკებს აცხიათ ხელზე? რა უნდა უთხრას იმ აბულაძის დედას, რომელიც უგზო-უკვლოდაა დაკარგული და რომლის დაკარგვაც ზუგდიდელ სამართალდამცავებს ბრალდებათ? რა უნდა უთხრას პოლიციის მიერ მხეცურად დახვრეტილი ვაზაგაშვილისა და რობაქიძის დედებს? რა უნდა უთხრას ციხეებში დაღუპული შვილების მშობლებს? რა უნდა უთხრას სანდრო გირგვლიანის დედას, როცა იმქვეყნიური სამართლის წინაშე წარსდგება?

როგორ შეიძლება ეპატიოთ ამ არამზადებს ანაკლიელი გაუბედურებული დედის მიმართ არაადამიანური მოქცევა, რომელსაც უგზო-უკვლოდ დაკარგული შვილის ბედის გასაგებად პრეზიდენტისათვის უნდა მიემართა, პოლიციელებმა კი მოხუცი ქალი ცემა-ტყეპით შეათრიეს სახლში!

ვერაფერს ეტყვის, რადგან მონანიების განცდა სააკაშვილს დიდად არ აწუხებს, საკუთარი ცოდვების სხვაზე გადაბრალებისა და უტიფრად თავის მართლების უნარი კი – გაგიხარია!

არა მგონია, ასეთი მენტალიტეტის ადამიანს ჰქონდეს დიდგორის გმირთა საჯილდაო წმინდა ადგილზე რიხიანად გამოსვლისა და გულზე ხელის ბრაგუნის მორალური უფლება!

ყველაზე ამაზრზენი კი ის იყო, რომ პოლიციამ დიდგორობის დღესასწაულზე მიმავალი ავტობუსები არ გაატარა, რომელშიც ოპოზიციის წარმომადგენლები ისხდნენ.

კიდევ კარგი, იქ არ მოხვდნენ, თორემ სააკაშვილისაგან იმდენი სისულელეების მოსმენა მოუწევდათ, რომ არა მგონია, კმაყოფილები დარჩენილიყვნენ.

სააკაშვილმა კი გაუტია, მაგრამ რა გაუტია – დავით აღმაშენებელთან ერთად 500 ჯვაროსანი რომ იბრძოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა და ნატო მაშინ ჩვენთან იყოო. წაკითხული მაინც არა აქვს, მაგ დალოცვილს, რომ ბიზანტია სწორედ სააკაშვილის მიერ ქებულმა ჯვაროსნებმა დაღუპეს.

სწორედ ამ ჯვაროსანთა დროშით მიუძღვის ამჟამად სააკაშვილი არაქართულ ძალებს საქართველოს დასაღუპად, რასაც პირდაბჩენილი ქართველები **“მიშა-მაგარიას”** ბღავილით მივაცილებთ!

აი, რა არის **“ნაციონალური”** დიდგორი!

მაგრამ, არანაკლებ ამაზრზენი და გულისამრევი აღმოჩნდა ბახმაროში ფერიცვალების დღესასწაულისადმი მიძღვნილი დღიდ, რომელშიც ნაციონალებისა და სააკაშვილის გარდა, სხვა პოლიტიკურ ძალებს ხელისუფლებისაგან კატეგორიულად აღეკვეთათ მონაწილეობის უფლება.

ერთ-ერთ, უეჭველია – სახელისუფლებო ინტერნეტსაიტზე ამას წინათ გამოაქვეყნეს კითხვარი, რომლის ერთ-ერთი კითხვა ასეთი შინაარსისაა: გენატრებათ თუ არა აჭარაში ასლან აბაშიძის პერიოდი და ბათუმის ბულვარში მიმოფანტული ჩაზნექილი სკამები?

ნამდვილად გვენატრება, რადგან ულამაზესი აჭარა მაშინ ქართველებს ეკუთვნოდა და არა კრაზანებივით შესეულ თურქებსა და სომხებს!

ამრიგად, არაქართველი ნაცებისა და სააკოვის მიერ ირყვნება ჩვენი დღევანდელობა, მზადდება მყარი ნიადაგი საქართველოს მომავალი თაობების გარყვნისათვის, და, რაც მთავარია, ირყვნება ჩვენი წარსულიც. მაგალითად, ამას წინათ გამოცემულ **“საქართველოს ისტორიის”** ოთხტომეულის მეოთხე ტომში არ არის გამოქვეყნებული ქართველი წმინდანის ექვთიმე თაყაიშვილის ფოტო, სამაგიეროდ, დაბეჭდილია ქვეყნის დამაქცევარის, უწმინდურ-უხსენებელ ედუარდ შევარდნაძის პორტრეტი.

მართლაც მიგვიფურთხებია ამგვარი ისტორიისათვის!

უფრო მეტიც – ჩვენი სიბრიყვე იმაშიც გამოსჭვივის, რომ სააკაშვილმა ახალციხეში რაბათის ციხის რესტავრაციის დასრულების ზეიმზე სომეხი მომღერალი შარლ აზნავური მიიწვია და ეს წმინდა ქართული ზეიმი სომხურ ზეიმად აქცია, ჩვენ კი ამაზე ხმა არ ამოვიღეთ!

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა რომ რუსეთის კეთილნების გარეშე წარმოუდგენელია, ეს დღეს ბავშვმაც კი იცის. არ ვიცი, ასეთი რა მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა სააკაშვილმა მეზობელი სახელმწიფოს ხელისუფალთ, მაგრამ ფაქტია, რომ მათ სააკაშვილთან საუბარიც კი არ სურთ!

ამიტომ, დღეს ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი შემდეგ კონტექსტში ისმის: **რომელი გირჩევნიათ: მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა თუ აფხაზეთი და სამაჩაბლო?**

არა მგონია, რომ ვინმემ სააკაშვილი აირჩიოს, მაგრამ თუ რომელიმე ქართველს მაინც სომეხი ურჩევნია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სხვა, უფრო წესიერი სომეხი მაინც აირჩიოს, რომლებიც საქართველოშიც უხვადაა და სომხეთშიც!

ნუთუ მხოლოდ მაშინ უნდა გავაცნობიეროთ, რომ მკვდარი ვართ – როცა გარდავიცვლებით. ნუთუ ასეთი ბრიყვები ვართ ქართველები, რომ ვერ ვხედავთ, თუ როგორ დაფავს სულს ჩვენი სამშობლო. ნუთუ ოცი წელიწადი არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ შეიგნო: შენი ქვეყნის საქმე კარგად მიდის თუ ცუდად. კარგით, დავუშვათ, რომ შევარდნაძე ქართველი გვეგონა და ამიტომ ვერ წარმოგვედგინა, რომ იგი სიბოროტეს ჩაიდენდა საქართველოს მიმართ. მაგრამ ის ხომ კარგად ვიცით, რომ სააკაშვილი ეთნიკური სომეხია, თანაც საკმაოდ რეაქციული შეხედულებების მქონე და, ამიტომ, საქართველოსათვის იგი სასიკეთოს არაფერს მოიმოქმედებს?

განა ძნელი განსაჭვრეტია, რომ აფხაზეთში აფხაზებსა და ქართველებს შორის სიძულვილის გაღვივებას რეაქციონერ რუსებთან ერთად დიდად უწყობდნენ ხელს იქაური სომხებიც, რათა იქიდან გამოდევნილ ქართველთა საცხოვრისები დაეკავებინათ. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ ომამდე აფხაზეთში მხოლოდ 16 ათასი სომეხი ცხოვრობდა, ახლა კი მათი რიცხვი 80 ათასს სცდება. სომხები აფხაზებს გვერდით დაუდგნენ იმიტომ, რომ მათ მაშინ აფხაზები სჭირდებოდათ. ახლა კი, როცა აფხაზეთში ქართული სული ჩაკლულია, სომხები იგივე მონდომებით ეცდებიან აფხაზური სულის ჩაკვლასაც, ისევე, როგორც ქართული სული ჩაკლეს. ამიტომაც ცდილობს სააკაშვილი და მისი გუნდი, რომ არ აღდგეს ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობა, სახალხო დიპლომატიის დონეზეც კი.

სამწუხარო ის იქნება, თუ აფხაზებიც მიაგულისყურებენ სომხურ საფრთხეს და ანგარიშს არ გაუწევენ გადამთიელთა ექსპანსიის მოძალებას!

მაგრამ, ავად თუ კარგად, აფხაზები თავიანთ სატკივარს მიხედავენ, ჩვენ კი, იმდენად ბრიყვები და ნაციონალების სამოწყალოდ გადმოგდებული გროშების მონებად ვიქცით, რომ მტრისა და მოყვრის ერთმანეთისაგან გარჩევა ვერ მოგვიხერხებია.

არა და, კიდევ რამდენიმე წელი ნაციონალური მმართველობისა და საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, აღარ იარსებებს!

ქართველ შემოქმედთა გარკვეული ნაწილი დროულად აღნიშნავს ზემოდმითითებული საფრთხის თაობაზე, რასაც, რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მათ წინააღმდეგობას უწევენ კვლავ ვაი-ქართველები, რომლებიც გვარწმუნებენ, რომ ამგვარი პუბლიკაციებით ჩვენი მეზობლები გაგვინაწყენდებიანო. მაგრამ ავიწყდებათ, რომ დაუსაბუთებელ თავდასხმაზე გაცემულმა ობიექტურმა პასუხმა, ნორმალურ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არ უნდა გამოიწვიოს!

მაგრამ გვყავს კი დღეს ქართველებს ნორმალური სამოქალაქო საზოგადოება?

არა მგონია, რადგან საქართველოში ეთნიკურად და სულიერად არაქართველთა მიერ დატრიალებული შემზარავი ამბები სულ სხვა რამეზე მეტყველებენ.

მოკლედ, დღე არ გავა, რომ ნაციონალებმა და მათმა ბელადმა საერთო პოლიტიკური სივრციდან ამოვარდნილი ტექსტები არ გააჟღერონ, რასაც, რატომღაც მშვიდად ისმენს ქართული საზოგადოება.

საითაც გავიქეცი, იქ წავიქეციო – ასეა ნაცებისა და სააკოვის საქმე.

სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა ჩვენი გაზეთის აქტიური ავტორის, ჰოლანდიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტის დავით მარიამიძის წერილი **“ძაღლის კუდი არ გასწორდება, ამიტომაც აჭრიან მას ძირში!“**, რომელიც **„ილორის“** წინა ნომერში გამოქვეყნდა, მაგრამ პრობლემის გადაჭრას მხოლოდ წერილის წაკითხვა ვერ შველის, მას გონებასა და გულში სჭირდება გატარება. სხვაგვარად ადამიანს შეაწუხებს არა **„გულისტკივილი“**, არამედ ის **„კუჭისტკივილი“**, რითაც დღეს სააკაშვილი და მისი ნაციონალები მართავენ საქართველოს!

განა ამიტომაც არ ვიმყოფებით ერთ-ერთ პირველ ადგილზე, მსოფლიოში, არშემდგარ სახელმწიფოთა შორის, რაც საზოგადოების არასრულფასოვნებაზე მიუთითებს?

***P.S.** ამას წინათ, ერთმა, არც თუ ნიჭით გამორჩეულმა შოუმენმა, თბილისის საკრებულოს წევრმა, ვიდაც გიგა ნასარიძემ, რომელმაც საზოგადოებას თავი დაამახსოვრა ერთ-ერთ „სახელისუფლებო შოუში“ სახედარის გახმოვანებით, შექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველო არ იყიდება“, რომელშიც ყოველნაირად ცდილობს დაამციროს ოპოზიცია და ხოტბას ასხამს ნაციონალებს! ვურჩევდით მას, რომ საკუთარ არასამთავრობოს დაარქვას რეალობას მიახლოებული სახელი: „საქართველო უკვე გაიყიდა სომხებზე, ქართველებზე იგი უკვე აღარ იყიდება“!*

თუ გნებავთ, საქართველოს ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრს, ვარძელაშვილად გვარდებულ ლადო აკოფიანს (სკოლაში იგი ამ გვარითაა დაფიქსირებული) ჰკითხეთ, რომელიც ოპოზიციაში გადანაცვლებულ სახელოვან ქართველ სპორტსმენებს მუხლების დახვრეტით რომ ემუქრება!

მოკლედ, საითაც გაიხედავ, ყველგან არაქართულ სიფათს წააწყდები, ჩვენ კი მაინც ბრიყვულად გვჯერა, რომ ეს უჯიშო გადამთიელები ნამდვილ ქართულ საქმეს აკეთებენ!

ამიტომ, თუ ჩვენს სამშობლოს ვერ გამოვისყიდით, მაშინ, მოძალადეთაგან წართმეული და ყოველმხრივ შეურაცხყოფილი საქართველო, ჩვენი გაერთიანებითა და ერთსულოვნებით უნდა დავიბრუნოთ!

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ფესვები

(თემის გაგრძელება)

ქალაქ სოხუმში, ქართველ მწერლებთან შეხვედრის დროს, გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მრავალმხრივი, მნიშვნელოვანი, მართალი და გულწრფელი სიტყვა წარმოთქვა იმჟამად აფხაზეთი მწერალთა კავშირის მდივანმა კონსტანტინე ლომიამ:

"მე განგებამ მარგუნა ვყოფილიყავი მოწმე ბედნიერი შემთხვევისა, რომელსაც ორმა სახალხო პოეტმა, ქართული და აფხაზური პოეზიის ორმა ბუმბერაზმა – გიორგი ლეონიძემ და დიმიტრი გულიამ, ერთმანეთს ხელიხელგადახვეულებმა სურათი გადაიღეს. დღეს, როდესაც მე დავცქერი ამ ფოტოს, მინდა იგი შევადარო ყველაზე საუკეთესო ლექსს, რომელშიც ხორცშესხმულია ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობა. ამ ორი დიდი პოეტის თანამშრომლობა და ძმობა ჩვენთვის ყოველთვის იქნება ამაღლებული ხატება, სანიმუშო მაგალითი... ამის დასტურია დიმიტრი გულიას მრავალი პოეტური ქმნილება ქართველ ხალხზე და გიორგი ლეონიძის ბრწყინვალე ლიტერატურული სტრიქონები აფხაზეთზე და მის ხალხზე..."

როდესაც გიორგი ლეონიძეს თბილისში უხდიდნენ იუბილეს, აფხაზეთიდან ჩავიდა დელეგაცია მწერალთა კავშირის მდივნის, პოეტ ივანე თარბას ხელმძღვანელობით, რომელმაც იუბილარს გადასცა საჩუქარი – აფხაზური ხალხური საკრავი **"აფხიარცა"** – ორი მოძმე ერის საუკუნოვანი მეგობრობის დასტურად. მეორე დღეს იუბილარს აფხაზეთის დელეგაცია სახლში მიუწვევია და უთქვამს: **"თქვენ ისეთი დიდი საჩუქარი მომართვით, რომ მასზე ლექსი უნდა დავწეროო"**. ასე დაბადებულა ქართული ლირიკის შედევრი **"აფხიარცა"** – ორი ერის ძმობის სადიდებელი, და მეორე დღესავე გამოქვეყნებულა გაზეთში:

"სულ მესმოდა შენი თრთოლვა,
შენი მღერა, შენი ხმაცა,
ფანდურის ძმავ, ხმადამტკბარო
აფხაზურო აფხიარცა...
ერთ არწივის ორი ფრთა ხართ,
ერთი დიდი გულისთქმაცა!"

ასეთივე გულწრფელი დამოკიდებულება, დიდი სიყვარული, ჭეშმარიტი მეგობრობა, ურღვევი მეზობლობა და სიახლე აკავშირებდათ აფხაზებთან ქართული სიტყვის დიდოსტატებს მუხრან მაჭავარიანს, იოსებ გრიშაშვილს, ხუტა ბერულავას, რევაზ მარგიანს, შოთა ნიშნიანიძეს და სხვა მრავალთ, რომლებმაც შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი მოძმე ერთა ურყევი კავშირის განმტკიცებას მიუძღვნეს.

ქართველთა და აფხაზთა შორის არსებული ძირძველი მეგობრობის შენარჩუნებაში, შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებაში უდიდესი როლი მიუძღვის აფხაზეთის სახალხო პოეტს, აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელსა და მამამთავარს, დიდ მესიტყვეს და განმანათლებელს, ქართველი მწერლების, პოეტების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების დიდ მეგობარს დიმიტრი გულიას. მას ქართველები და აფხაზები ერთ ხალხად მიაჩნდა, ერთი განუყოფელი ოჯახის შვილებად. აი, რას სწერდა იგი ერთ-ერთ წერილში:

"ჩვენ ერთი ცის ქვეშ, ერთ მიწისზედაზე გვიშენებია ჩვენი კულტურა, ჩვენ რომ ვთქვათ მოძმე ერები ვართო, – ეს ცოტაა. ჩვენ ერთი ფსიქიკის, ერთი ადათის, ერთი წესის, ერთი ფსიქოლოგიის ერები ვართ. ქართველს, არა მგონია, ვინმე ჰყავდეს უფრო ახლობელი ძმა, ვიდრე აფხაზია. აფხაზებსაც ასე მიაჩნდათ – ქართველი და ჩვენ ამ ძმობამ შეგვინახა. ვინც ამ ძმობას შლის, რუსთაველის ენით რომ ვთქვათ, "იგი თავისა მტერია".

დიმიტრი გულიამ უთუოდ დიდი პატრიოტული საქმე შეასრულა, როდესაც თავის ენაზე თარგმნა, აამეტყველა ნაწყვეტები რუსთაველის **"ვეფხისტყაოსნიდან"**, აფხაზ მკითხველებს გააცნო ილიას, აკაკის, ვაჟას, ყაზბეგის, ლეონიძის, შანშიაშვილის და სხვა ქართველ შემოქმედთა ქმნილებები.

1932 წელს თბილისში გამოქვეყნდა დიმიტრი გულიას ლექსების პირველი კრებული, 1937 წელს მას მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და აფხაზეთის სახალხო პოეტის წოდება.

ჩვენს ხალხებს შორის ძმობისა და მეგობრობის ერთ-ერთი თვალსაჩინო სიმბოლო გახლავთ აფხაზეთის მეორე სახალხო პოეტი ბაგრატ შინკუბა.

პოეტმა, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში, აქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მისი სამეცნიერო ხელმძღვანელები იყვნენ ცნობილი ქართველი სწავლულები გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია, ქეთევან ლომთათიძე. ბაგრატი თბილისში დაუკავშირდა ქართულ შემოქმედებით სამყაროს, სამეცნიერო წრეებს, გაიცნო და დაუმეგობრდა სახელგანთქმულ მწერლებსა და მეცნიერებს. განსაკუთრებით ახლოს იყო რევაზ მარგიანთან, რომელთანაც ძმადნაფიცობა აკავშირებდა. ეს მეგობრობა და ძმური დამოკიდებულება, რევაზ მარგიანთან და ქართველი მწერლების მთელ პლეადასთან, წარმოშვა და გააღვივა ურთიერთგაგებამ, შემოქმედებითმა თანადგომამ, დიდმა პოეზიამ შემოქმედებით სულისკვეთებათა და რწმენათა ერთიანობამ, მშობლიური ხალხის, მამულის სიყვარულმა და ერისადმი უანგარო სამსახურმა.

ბაგრატ შინკუბა თანაბრად ეხება და ეხმიანება ჩვენს წარსულს, აწმყოსა და მომავალს და ამბობს:

"უასაკოა ლექსი ნამდვილი,
ასაკი მხოლოდ მგოსნის ხვედრია"...

მან თავისი შემოქმედებით ხალხთა გულებში გაიდგა ფესვი და მათი ღრმა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

ბაგრატ შინკუბამ თავისი დიდი წვლილი შეიტანა მთარგმნელობით საქმიანობაში. როგორც შემოქმედი ამბობს – **"თარგმანებზე მუშაობამ დიდად შემიწყო ხელი ჩავწვდომოდი მაღალი პოეტის საიდუმლოებებს"**. მან შესანიშნავად თარგმნა რამდენიმე ნაწყვეტი **"ვეფხისტყაოსნიდან"**, ბარათაშვილის **"მერანი"**, **"შემოღამება მთაწმინდაზედ"** და **"ბედი ქართლისა"**, ცნობილი ლექსი **"სულიკო"**, აკაკი წერეთლია **"გაზაფხული"**, ყაზბეგის **"ხევისბერი გოჩა"**, გალაქტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, ირაკლი აბაშიძის, რევაზ მარგიანის და სხვათა ნაწარმოებები.

პოეტმა-აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ ასე შეაფასა ბაგრატ შინკუბას შემოქმედება: **"ბაგრატ შინკუბა არა მარტო ღირსეულად ატარებს სახალხო პოეტის სახელს, არამედ ის არის აფხაზეთის ერთ-ერთი უდიდესი საზოგადო მოღვაწე, რომელიც დაუღალავად ზრუნავს – ჩვენს ხალხებს შორის ჭეშმარიტი მეგობრობის განმტკიცებისათვის."**

ბაგრატ შინკუბას დამსახურების ნათელი დადასტურება გახლდათ ისიც, რომ თავის დროზე, აფხაზეთის გალის რაიონის მშრომელებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს – საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად იგი ორჯერ აირჩიეს.

ასევე მაღალი, გულწრფელი სიყვარულითა და დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოძმე ხალხთა შორის უდავოდ წარმოჩენილი ერისკაცები: გიორგი გულია, იუნა კოღონია, სამსონ ჭანბა, ივანე პაპასქირი, მიხეილ ლაკერბაი, ლეონიდ კვიწინია, ლ. ლაბახუა და სხვა მრავალი.

ასევე, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გალის რაიონის მცხოვრებლებს შორის ცნობილი პოეტი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების მინისტრი ივანე თარბა. იგი ხშირად იყო ხოლმე რაიონის სასურველი სტუმარი, დიდ ყურადღებას აქცევდა რაიონის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების გამართულ საქმიანობას. ივანე თარბა გახლდათ ჰუმანისტი შემოქმედი, ხალხთა შორის ურღვევი კავშირის მქადაგებელი, მეხოტბე და მომღერალი. იგი წერდა:

"დიდია ზეცა, დიდია მიწა,
და ჩვენ ეჭვებით ნუღარ შევღობავთ...
ეს ცა და მიწა, სიცოცხლეს ვფიცავ
სიცოცხლისათვის ყველას გვეყოფა."

ლიტერატურის ისტორიაში ძმობისა და მეგობრობის შესახებ არსებულ აურაცხელ მაგალითთა შორის, დიდი სიამაყის გრძნობით უნდა აღინიშნოს სახელოვანი აფხაზი მწერლის მიხეილ ლაკერბაიას ერთ-ერთი ნოველა **"ნეკი"**, სადაც აღწერილია ჯვარდელ აფხაზ თემურ ამიბასა და წალენჯიხელ ელიზბარ კვარაცხელიას ძმადნაფიცობისა და ურთიერთგაგების გასაოცარი მაგალითი. ეს პატარა მოცულობის, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობის ნოველა, ქართველთა და აფხაზთა სწორუპოვარი ურთიერთობის ისტორიის ოქროს ფონდში დიდ განძად შემორჩება.

ქართველთა და აფხაზთა მეგობრობის ჰიმნად აღიქმებოდა და საამაყოდაც გვეყოფა, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ტახტის მემკვიდრის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შერვაშიძის მრავალფეროვანი შემოქმედება, რომელსაც ეკუთვნის უდიდესი მნიშვნელობის მქონე სიტყვები:

"ჩვენს სამშობლოს – ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია... ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ: იღბლის უკუღმართობას ხელი რომ არ შეეშალა, ევროპის წინაშეც ვიქნებოდით დღეს... როდესაც მოციქული აქ ქრისტეს მცნებებს გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველნი, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეში".

... და ასე ურთიერთდაძმობილებულ, ერთმანეთთან წარსულით და აწმყოთი მყარად შენივთებულ მოძმე ერების შვილებს, – როგორ უნდა აღემართათ ხმალი ერთმანეთის დასახოცად, ერთმანეთის სისხლის დასაღვრელად, ისიც XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე – საკვირველია, საოცარია, დაუჯერებელია, მაგრამ, ვაგლახ, რომ ფაქტია! აღმაშფოთებელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. მისი შემზარავი, შემაძრწუნებელი შედეგებით სინამდვილეს ვერსად ვერ გავექცევით!

მიუხედავად ყველაფრისა ახლა მთავარი და უმთავრესია მივადწიოთ ქართველებსა და აფხაზებს შორის კონფლიქტის შედეგად დანგრეული ურთიერთობის, მეზობლურ-ადამიანური ურთიერთობის აღდგენას, **"ჩატეხილი ხიდის"** გამთლიანებას. რაც ყველა სხვა სიძნელის გადალახვის საწინდარია.

კლიმენტი ქობალია,
პროფესიონალი პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე
ლავრენტი ბერაძე
დიდი სამამულო ომის ვეტერანი,

მომზადებულია პროექტი კოდორის ნაციონალური პარკის თაობაზე

2008 წელს, პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის განკარგულებით ჩამოყალიბებულმა კომისიამ წარმოადგინა კოდორის პარკში ნაციონალური ნაკრძალის შექმნის კონკრეტული წინადადებები. აღნიშნული საკითხი განხილული იქნა აფხაზეთის პრეზიდენტის ბატონ ალექსანდრე ანქვაბის ხელმძღვანელობით, რომელშიც მონაწილეობდა აფხაზეთის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რომან დბარი.

პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი დაინტერესდა კომისიის მუშაობის შედეგებით. ამ კომისიის თავმჯდომარემ რობერტ დბარმა წარმოადგინა დაცული ბუნებრივი ტერიტორიების მოვლა-პატრონობის გეგმა. მისი გადმოცემით კომისიამ შეიმუშავა დასკვნითი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც ეროვნულ პარკში არსებული ბუნებრივი სიმდიდრეების შენარჩუნება, ასევე ახალი სივრცეების ათვისება-განვითარება! სწორედ ეს გახლავთ აფხაზეთის ნაციონალური პარკის შენარჩუნების ძირითადი კონცეფცია.

"კომისიამ მოამზადა პროექტი და დასკვნითი დოკუმენტი, რომელშიც გათვალისწინებულია არა მხოლოდ კოდორის ნაციონალური პარკის მოვლა-პატრონობა, არამედ ამ ტერიტორიებზე მდებარე არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების დაცვაც", – განაცხადა რობერტ დბარმა.

სხდომის დასასრულს აფხაზეთის პრეზიდენტმა ბატონმა ალექსანდრე ანქვაბმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა კომისიის დასკვნას გაცნობოდნენ აფხაზეთის პარლამენტის დეპუტატები და ფართო საზოგადოებრიობა.

"დღეს ძალიან ბევრი მოსაზრება გამოითქმის კოდორის ხეობის თაობაზე, ხშირად – უსაფუძვლოც. მაგრამ არსებობს სხვა, ბევრად რეალური ხარვეზებიც, რომელიც დიდად აწუხებს აფხაზურ საზოგადოებას. მაგალითად – უკონტროლო ნადირობა თუ აკრძალული მეთოდებით თევზაობა, ხე-ტყის უთავბოლოდ და უსისტემოდ გაკაფვა, მიწების მითვისება და სხვა ნეგატიური მოვლენები. ჩვენ სისტემატურად უნდა წარვუდგინოთ საზოგადოებას ინფორმაცია კოდორის ხეობაში არსებულ რეალურ მდგომარეობაზე. სახელმწიფოს მთავარი მიზანია ჩვენი ქვეყნის ამ უნიკალური კუთხის შენარჩუნება" – განაცხადა ალექსანდრე ანქვაბმა.

აფხაზეთის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სახელმწიფო კომიტეტის ინფორმაციით კოდორის ეროვნული პარკი იქნება რესპუბლიკაში ყველაზე დიდი დაცული ტერიტორია, რომლის ფართობი იქნება 1.200 კვადრატული კილომეტრი და მოიცავს მდინარე კოდორის ხეობის უნიკალურ სივრცეს.

ეს რაიონი მდიდარია უნიკალური ტყის მასივებით, რომელთაც კავკასიაში ანალოგი არ გააჩნიათ.

აფხაზეთის ხელისუფლებამ განიხილა ქვეყანაში ნარკომანიასთან ბრძოლის მდგომარეობა

აღნიშნულ ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ხელმძღვანელები. ამ წარმომადგენლობით შეხვედრაზე განხილული იქნა ნარკომანიის პროფილაქტიკისა და ამ სიბოროტესთან ბრძოლის მეთოდების ქმედითუნარიანობა და ამ მიმართულებით მიღწეული შედეგები. აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის სახელმწიფო საინფორმაციო-სააგენტო **"აფსნიპრესის"** გენერალური დირექტორი მანანა გურგულია, აფხაზეთის სახელმწიფო ტელეკომიტეტის თავმჯდომარე ალხას ჩოლოქუა, გაზეთ **"აფხაზეთის რესპუბლიკის"** მთავარი რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი სარქისიანი, გაზეთ **"აფსნი"**-ს მთავარი რედაქტორი რუსლან კაპბა, აფხაზეთის პრეზიდენტთან არსებული ინფორმაციის სამმართველოს ხელმძღვანელი ქრისტიან ბჟანია და სხვები.

"ჩვენი მთავარი მიზანია ახალგაზრდა თაობის დახსნა ამ უბედურებისაგან" – განაცხადა ალექსანდრე ანქვაბმა. მან მოუწოდა საინფორმაციო საშუალებათა ხელმძღვანელებს, რომ შეიმუშაონ მსოფლიოში გავრცელებულ ამ სიბოროტესთან ბრძოლის კონკრეტული მეთოდიკა, რაც შეიძლება მეტი ანალიტიკური მასალა მიუძღვნან ნარკომანიასთან და ნარკორეალიზატორებთან ბრძოლას.

„OSCE“-ს ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝ ᲛᲘᲚᲘᲝᲠᲘ: „ᲗᲥᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲓᲝᲖᲐ...“

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიამ, რომელიც საქართველოს სამდღიანი ვიზიტით სტუმრობდა, შეშფოთება გამოთქვა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საეჭვო გადაწვეტილებებზე, მკაცრ და არაპროპორციულ ფინანსურ ჯარიმებზე, რომლებიც, როგორც ჩანს, გამოიყენება შერჩევითად, ძირითადად, ერთი პოლიტიკური სუბიექტის წინააღმდეგ.

ოთხი წევრისგან შემდგარმა მისიამ, რომელშიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მადალი თანამდებობის პირები შედიოდნენ, შეშფოთება გამოთქვა სასამართლო სისტემასთან მიმართებითაც და იმედი დაიტოვა, რომ არჩევნებამდე დარჩენილ დროში ხელისუფლება შეძლებს ყველა პარტიისთვის თანაბარი პირობის შექმნას.

როგორც უკვე იუწყებოდა საქინფორმი, მისიის საქართველოში ვიზიტის მიზანი ქვეყანაში წინასაარჩევნო გარემოს შეფასება იყო. მისიის შემადგენლობაში შედიოდნენ: მისი ხელმძღვანელი, ხორვატიის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ტონინო პიცულა; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი რიკარდო მილიორი; ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალური მდივანი სპენსერ ოლივერი და საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ადმინისტრაციის დირექტორი რობერტო მონტელა.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია შეხვდა ხელისუფლების, მმართველი პარტიის, ოპოზიციის, საარჩევნო ადმინისტრაციის, მედიისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს, ასევე თბილისში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

„მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში დემოკრატიის მომავლისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“, – განაცხადა ტონინო პიცულამ, რომელიც, ასევე, 1 ოქტომბრის არჩევნებზე ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი იქნება.

„ჩვენ მივესალმებით წინასაარჩევნო ძალისხმევას, რომელიც ამომრჩეველთა სიის დაზუსტებას, საარჩევნო კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობასა და ქვეყნის მასშტაბით მედიის ხელმისაწვდომობას ისახავდა მიზნად“, – განაცხადა მან.

„არის რამდენიმე საკითხი რომელიც ჩვენს შეშფოთებას იწვევს და რომელთა თვალის დევნებასაც ჩვენ ყურადღებით გავაგრძელებთ. ჩვენ ვხედავთ ქვეყანაში მზარდ პოლიტიკურ პოლარიზებას“.

„ჩვენს შეშფოთებას განსაკუთრებით იწვევს კანონის ზოგიერთი აღმსრულებელი ორგანოს მიერ გამოყენებული პრაქტიკა. ჩვენი ხედვით, სახელმწიფო აუდიტის სამსახური იყენებს ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას, რათა გამოიძიოს კერძო პირისა თუ პარტიის ხარჯები, იღებს საეჭვო გადაწვეტილებებს და მკაფიო ან გამჭვირვალე დასაბუთების გარეშე აკისრებს მკაცრ ფინანსურ ჯარიმებს. დაკისრებული ჯარიმები არის არაპროპორციული და, როგორც ჩანს, გამოიყენება შერჩევითი ფორმით, ძირითადად, ერთი საარჩევნო სუბიექტის წინააღმდეგ“, – აცხადებს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წინასაარჩევნო მისიის ხელმძღვანელი.

„სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, ასევე, არის ფუნდამენტალური, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, – დასძინა მან. – ამ ვიზიტის შემდეგ ჩვენ გვაქვს შეშფოთების საფუძველი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად არის შესაძლებელი სასამართლო სისტემის მხრიდან, მიიღოს შესაფერისი სამართლებრივი დაცვის საშუალება“.

„ამ არჩევნების წარმატება დამოკიდებულია პასუხიმგებლობის მქონე ოპოზიციაზეც, რომელსაც აქვს სამართლებრივი უფლება, პოპულარიზაცია გაუკეთოს თავის მიზნებს, თუმცა, ამავე დროს, პატივი უნდა სცეს საარჩევნო კამპანიის წესებს. ყველა პარტიამ პატივი უნდა სცეს და მიიღოს არჩევნების შედეგები“, – განაცხადა პიცულამ.

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა რიკარდო მილიორიმ იმედი გამოთქვა, რომ მოხდება სანდოობის მქონე არჩევნების ჩატარება და საქართველოს ხელისუფლება საარჩევნო კამპანიის დარჩენილ ამ ბოლო კვირებში უზრუნველყოფს ყველა პარტიისთვის თანაბარი პირობების შექმნას.

მმართველ პარტიაში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის მიერ წინასაარჩევნო ვითარების კრიტიკულად შეფასება იმით ახსნეს, რომ მათთვის კონკრეტული პარტიების ლობისტებისგან მიწოდებული ინფორმაცია შესაძლოა, არაზუსტი იყოს. ამის შესახებ პრესკონფერენციაზე მმართველი პარტიის სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქმიანობა გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტით წარმართოს და თითოეული მოქმედების შესახებ ყველა დაინტერესებულ სუბიექტს, მათ შორის, საერთაშორისო თანამეგობრობას, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდოს.

თაქთაქიშვილის განცხადებით, **„ნაციონალური მოძრაობა“** მოწოდებულია, დარჩენილი დრო წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმართოს იმგვარად, რომ წვლილი შეიტანოს სამართლიანი არჩევნების ჩატარებაში. მმართველი პარტიის სპიკერის თქმით, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციამ ხაზი გაუსვა წარმატებებს, რომლებსაც საქართველომ 2008 წლის არჩევნების შემდეგ მიაღწია და აღნიშნა, რომ არჩევნების სამართლიანად ჩატარებაში საკუთარი წილი პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც ეკისრება. თაქთაქიშვილმა ისიც კი იკადრა განეცხადებინა, რომ როცა **“მცირე ლენინიზმის”** თაობაზე განაცხადეს ევროპარლამენტარებმა, მათ მხედველობაში ჰყავდათ არა **“ნაციონალები”** და სააკაშვილი, არამედ **“ქართული ოცნება”** და ივანიშვილიო!

ეს უტიფარი განცხადება კიდევ ერთხელ გარწმუნებს ადამიას, რომ ენას ძვალი ნამდვილად არ გააჩნია!

მაგრამ ყველას მაინც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრადწოდებულმა, ყოფილმა მხედრიონელმა ნიკა რურუამ გაასწრო, რადგან მილიორის განცხადებას სისულელე უწოდა და ევროპარლამენტის წარმომადგენელს სამსახურიდან გადადგომა ურჩია. ნამდვილად, საქართველოს სირცხვილი და თავისმოჭრაა, რომ ეს პირწავარდნილი ბანდიტი, რომელსაც ნორმალურ საზოგადოებაში თავი არ უნდა გამოეყოფოდეს, **ᲔᲣᲗᲝ**-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს გადადგომისაკენ მოუწოდებდეს. თუმცა, რურუამ მალე შეცვალა **“პლასტინკა”** და ნაციონალებისათვის დამახასიათებელი **“ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲝᲑᲘᲗ”** განაცხადა: ჟურნალისტებმა მომაწოდეს ინფორმაცია დამახინჯებულად და შეცდომაში შემიყვანეს, თორემ ამგვარ რამეს როგორ ვიტყოდიო!

მოკლედ, ენას ძვალი არ გააჩნია, ნაციონალებს კი ზნეობა!

ᲡᲐᲙ. ᲘᲜᲤ.

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲠᲣᲡᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲒᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲘᲐᲜ!“

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხონის რაიონის სოფელ გორდში მოსახლეობის წინაშე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ ქვეყანა რუსეთთან ურთიერთობებს სახალხო დიპლომატიით დაიბრუნებს.

საქართველოს **“ნეტარღიმილიანი”** პრეზიდენტის აზრით, საქართველოში ბევრი რუსი ტურისტი ჩამოდის და გაოცებული აკვირდება იმ აღმშენებლობის პროცესს, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს.

„რუსები პირგაღებული დარბიან. ამ თვეებში რასაც ვუყურებ, ყველგან რუსულნომრიანი მანქანები მხვდება, აქაც ამოვა ბევრი. ჩამოვიდნენ თავისუფალ ქვეყანაში! ჩვენ ხალხთან გვინდა ურთიერთობა! ჩვენ ჩვენს დამპყრობელთან არ გვინდა ურთიერთობა, იმიტომ, რომ როდესაც აქ რუსი ტურისტი ჩამოდის, ადამიანურად იქცევა, მაგრამ როდესაც მოდის ტანკით – როგორც მონას, ისე გიყურებს. ამიტომ, ჩვენ გვინდა გვიყურებდნენ, როგორც წარმატებულ ქვეყანას“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მოკლედ, **“წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო”,** სწორედ ისეა სააკაშვილის საქმე. იცის რა საქართველოს მოსახლეობის ძირითადი განწყობა და სურვილი, რომ აუცილებელია აღდგეს ნორმალური ურთიერთობა რუსეთთან, მიხეილ სააკაშვილი ახლა იმ რუსების ქებით და რუსეთისაკენ სწრაფვით ცდილობს ქართველი ამომრჩევლის მიმხრობას, რომელ რუსეთსა და მის ხელისუფლებასაც უშვერი, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს ყოველი ტრიბუნიდან.

არ უნდა დაიჯეროს არჩევნების წაგების შიშით ატანილმა მიშამ, რომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლება ამ მართლაც შლეგ ადამიანში მხოლოდ პოლიტიკურ გვამს ხედავს. სხვაგვარად ალბათ ვერც აღიქვამ იმ არაადექვატურ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოსთან წამოიწყოს წინასწარ წასაგებად განწირული ომი და სახლებში მძინარე მშვიდობიან საკუთარ მოსახლეობას ბომბები დააყაროს თავზე, თავად, მოწინააღმდეგის თვითმფრინავის ხმის გაგონებისას მაღალი სტუმარი მიატოვოს და შიშისაგან თავზარდაცემულმა ცხვირით ახნას მიწა. და რაც მთავარია, შემდეგ ეს წაგებული ომი მოგებულად გამოაცხადოს, საკუთარი სახლებიდან გამორეკილ შერცხვენილ ხალხს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ტაშ-ფანდურა გაამართვინოს და **“ჩვენ გავიმარჯვეთო”** აძახებინოს!

ამგვარი, კურდღელივით მფრთხალი პიროვნება, საკუთარ თავს ცინიკურად რომ უწოდებს **“მხედართმთავარს”,** საერთოდ არ უნდა ლაპარაკობდეს ომზე!

მის სხვა უცნაურობებსა და წმინდა წყლის სისულელეებზე აღარაფერს ვამბობთ...

ასე რომ, ტყუილად იჭაჭება **“მიშა-მაგარია”** რუსების ხან ლანძღვით და ხანაც ქება-დიდებით. ბოლოს და ბოლოს უნდა შეიგნოს ამ ადამიანმა, რომ რუსები მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოსულ ახალ პოლიტიკურ ძალას დაელაპარაკებიან და ჩვენს ქვეყნებს შორის სააკაშვილის არასახელმწიფოებრივი ქმედებით გაჩენილი უამრავი პრობლემაც სწრაფად მოგვარდება!

ასე რომ, დროა მიხეილ სააკაშვილმა ჩემოდნები ჩაალაგოს, და პოლიტიკურ მოუსავლეთში გაემგზავროს, რუსებთან დიალოგს კი სხვა, ბევრად შეგნებული და გაწონასწორებული ქართველი პოლიტიკოსები განაახლებენ!

ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ „ᲡᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑ ᲨᲔᲜ?“ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

არჩევნების გაყალბებითა და სხვა უამრავი სიყალბეებით დღემდე **“სულმოტანილმა”** ნაციონალებმა და პრეზიდენტადწოდებულმა მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების სიების დაზუსტება რომ **“მემარჯვენე”** კაციტაძეს დაავალეს, ყველა დარწმუნდა, რომ გამყრელიძე და მისი გუნდი შეკრული იყვნენ საქართველოს არაქართულ ხელისუფლებასთან და ამ არჩევნებსაც ისევე ამზადებდნენ გასაყალბებლად, როგორც წინა სხვა არჩევნები გააყალბეს. ამ ეჭვს ამყარებს ისიც, რომ ამომრჩეველთა რაოდენობა, წინა საარჩევნო პერიოდთან შედარებით, უსაშველოდ დიდი რაოდენობის ამომრჩევლითაა გაზრდილი, მაშინ, როცა საქართველოდან ინტენსიურად გაედინება უცხოეთში, სამუშაოს საძებნელად, მოსახლეობა და სიკვდილიანობის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია. ამავე დროს, უამრავმა მოქალაქემ აღმოაჩინა უხეში ცდომილებები იმ სიებში, რომლის დაზუსტებაშიც კაციტაძემ და მისმა დამხმარეებმა ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ხუთი მილიონი ლარი **“შეიხვირიპეს”** (აღარავინ იცის, რამდენი მილიონი ლარი დაიხარჯა ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაზე, მაგრამ ჯერჯერობით ამ საქმეს სასიკეთო პირი მაინც არ უჩანს). არც ის სურთ შეიგნონ **“ნაციონალებმა”** და სააკაშვილმა, რომ ქართველმა ერმა დიდი ხანია მოიძულა ისინი, როგორც საქართველოს დამშლელ-გამანადგურებელი ძალა და ვერავითარი არჩევნების გაყალბება მათ ვეღარ უშველით, მაგრამ ბედს მაინც არ ნებდებიან ეს უბედურ დღეზე გაჩენილები და სომხური უტიფრობით განაგრძობენ იმის მტკიცებას, რომ ჩვენზე პროგრესული ძალა დედამიწის ზურგზე არ არსებობსო!

იქამც ყოფილან!

ყოველივე ამის შემდეგ, ამომრჩეველთა ლიგამ საარჩევნო სიაში დაუდგენელი მისამართის მქონე პირებთან დაკავშირებით კამპანია **„სად ცხოვრობ შენ?“** დაიწყო. ამის შესახებ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კოკა გუნცაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და ამორჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიის მიერ გამოქვეყნებული სია, 2004 წელთან შედარებით, 1 200 000 ამომრჩეველით არის გაზრდილი.

„განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს უცხოეთში მყოფთა დაბალი მაჩვენებელი – 300 000, რაც თითქმის ოთხჯერ ნაკლებია რეალურ მონაცემებზე. ასევე, დაუდგენელი პირები გაბნეული არიან სხვადასხვა კატეგორიაში, მათი შემოწმების დეზორიენტაციის მიზნით. ამ ორი კატეგორიის – უცხოეთში წასულებისა და დაუდგენლების ანალიზი ცხადყოფს, რომ ხელისუფლება საზღვარგარეთ წასულების ნაცვლად აპირებს, აქ მისცეს ხმა თავისი ზონდერჯგუფების საშუალებით და გააგრძელოს მიწერილი ამომრჩევლების გამოყენების 2008 წელს დაწყებული ბინძური პრაქტიკა“, – განაცხადა გუნცაძემ.

მისივე თქმით, ამომრჩეველთა ლიგამ შეადარა მათ მიერ ჩატარებული კარდაკარის მონაცემები სიების დაზუსტების კომისიის მონაცემებს ზუგდიდსა და თბილისში და 107 498-ზე მეტი უზუსტობა აღმოაჩინა.

გუნცაძე აცხადებს, რომ ლიგა მათ მიერ ჩატარებული კარდაკარის შედეგებს საჯაროს ხდის და საკუთარ ვებგვერდზე განათავსებს. ლიგის ვებგვერდზე ამომრჩეველს კამპანიის – **„სად ცხოვრობ შენ?“** – ფარგლებში სიაში საკუთარი თავის გადამოწმება და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში ლიგისთვის მიმართვა შეეძლება.

გუნცაძის თქმით, ლიგა აღნიშნული მონაცემების სიების დაზუსტების კომისიაში წარდგენას არ გეგმავს.



ბერია

XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სეიბეი ხიემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

სსრკ კომპარტიის ამ რიგგარეშე, **"ეპოქალურ"** ყრილობაზე გამოვიდა ასაკით ბერიას თანატოლი აკადემიკოსი პავლე იუდინი, მაშინ საბჭოთა კავშირის ელჩი ჩინეთში, 1932-1938 წლებში კი წითელი პროფესურის ინსტიტუტის დირექტორი, რომელმაც ყრილობაზე განაცხადა:

"ყველამ კარგად უნდა ავუღოთ ალღო ხრუშჩოვის მოხსენების იმ ნაწილს, სადაც მკაფიოდაა ნათქვამი, რომ დღეს მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელიც შესძლებდა საბჭოთა კავშირის კაპიტალიზმში აღდგენას და სოციალიზმის განადგურებას..."

ამხანაგმა ნიკიტა ხრუშჩოვმა კი გამოაცხადა არა ხუთწლიანი, არამედ საბჭოთა კავშირის განვითარების შვიდწლიანი გეგმა – 1959-1965 წლებში და მოხსენების დასასრულს გამაცხადა:

"ამხანაგებო! პარტიის XXI ყრილობა ამტკიცებს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აღმშენებლობის დიდებულ გეგმას. ჩვენ პარტიას და გმირ საბჭოთა ხალხს ახალი დიდი ამოცანების გადაჭრა მოუწევს. შვიდწლიანი გეგმის წარმატება კიდევ ერთხელ აიყვანს ჩვენს სამშობლოს ახალ სიმაღლეებზე და დაადასტურებს კომუნიზმის უპირატესობას ხრწნად, მომაკვდავ კაპიტალიზმზე...".

ორი წლის შემდეგ – 1961 წელს, უკვე გაიმართა საბჭოთა კავშირის კომპარტიის XXII ყრილობა, რომელმაც დაამტკიცა პარტიის მესამე პროგრამა – **"კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა"**. იგი უკანასკნელი გამოდგა ხრუშჩოვისათვის – 1964 წლის 14 ოქტომბერს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა **"ძვირფასი ნიკიტა სერგეის ძე"** პოლიტიკურ მოუსავლეთში დაუნანებლად გაგზავნა. მაგრამ წინ გველოდა კომპარტიის ახალი **"ისტორიული"** ყრილობები...

ჯერ სკკპ ცეკას გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წინამძღოლობით.

შემდეგ სკკპ ცეკას გენერალური მდივნის მიხეილ სერგეის ძე გორბაჩოვის წინამძღოლობით...

თავი 31
XX ყრილობის კურსით...

ანტიპარტიული ჯგუფის **"განადგურებიდან"** ოთხი თვის შემდეგ – 1957 წლის 1 ნოემბერს, ხუშჩოვმა, მოსკოვის ოლქის პარტიული ორგანიზაციების აქტივზე სიტყვით გამოსვლისას საკუთარ თავს შემდეგი შეკითხვა დაუსვა: **"პარტიას რომ ვერ მოახერხებინა ბერიას დამარცხება, საით წავიდოდა მაშინ ჩვენი სამშობლო?"**.

მართლაც – საით წავიდოდა საბჭოთა კავშირი?

ამ შეკითხვაზე პასუხის მიღება მკითხველს შეუძლია ჟურნალ **"ნოვოე ვრემიას"** 1993 წლის 41-ე ნომრის 34-38 გვერდებზე, ლეონიდ მლეჩინის წერილში **"ლავრენტი ბერია რომ ვერ დაეპატიმრებინათ..."**, რომელიც გამოქვეყნებულია რუბრიკით **"დოკუმენტური ფანტასმაგორიები"**.

ეს ფანტასმაგორია შემდეგი სიტყვებით იწყება:

"წარმოიდგინეთ, რომ პარტიის მეოცე ყრილობის დახურვაზე სიტყვით გამოდის ბერია და აცხადებს:

– უპირველესად, ამხანაგებო, მინდა მოგილოცოთ ამ ყრილობის მუშაობა. იგი გახლდათ განახლების ყრილობა... დრო, როცა უხეშად ირღვეოდა სოციალისტური კანონიერება, როცა ფეხქვეშ ითელებოდა პარტიული ცხოვრების ნორმები, სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს

პარტიის მეოცე ყრილობა გახლდათ პირველი ღონისძიება, რომელზეც ბერია საანგარიშო მოხსენებით გამოდიოდა.

როცა მას დასკვნითი სიტყვა მისცეს, დარბაზი ფეხზე წამოდგა და დიდი ხანი მხურვალედ უკრავდა ტაშს. ბერია იღიმოდა და ხელის მოძრაობით თხოვდა დარბაზს დამშვიდებულიყვნენ. მაგრამ დელეგატები აგრძელებდნენ ოვაციას და პატივისცემით შესცქეროდნენ პრეზიდიუმს, რომელიც ასევე გულმხურვალედ ესალმებოდა უდიდესი ქვეყნის ლიდერს..."

შემდეგ მლეჩინი ბერიას პირით (ან, იქნებ პირიქით?) მოგვითხრობს, იმაზე, თუ როგორ განვითარდა მოვლენები სტალინის გარდაცვალების შემდგომ:

"ბერიას ამ სიტყვებს დარბაზი გულის ფანცქალით ისმენდა:

– პუტჩს ამზადებდა ცბიერი და მზაკვარი ნიკიტა ხრუშჩოვი, რომელიც ცდილობდა უბრალო ადამიანის როლი ეთამაშა, ყველასთან ემეგობრა...

– ნიკიტა ცდილობდა სამუდამოდ დაეკონსერვებინა ყველაფერი, რაც შექმნა სტალინმა,– აგრძელებდა ბერია,– მისთვის დამახასიათებელი იყო სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, სრული არაკომპეტენტურობა, მიდრეკილი იუყო საკითხების თვითნებულად გადაწყვეტისაკენ, სპეციალისტებთან წინასწარი შეთანხმების გარეშე...

(...)

ხრუშჩოვი ინტრიგანი და ანტიპარტიული სუბიექტია, დამნაშავეა უკრაინაში, შემდეგ კი მოსკოვში სოციალისტური კანონიერების დარღვევებში... იგი შეუდგა სახელმწიფო გადატრიალებისათვის მზადებას, უნდოდა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ამისათვის გადაწყვიტა, რომ გაენადგურებინა ბერია – ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ძალუძდა, რომ წინ აღდგომოდა მის ამბიციებს...

(...)

ბერიას დაპატიმრება განზრახული ჰქონდა 26 ივნისისათვის".

მლეჩინის **"ფანტასმაგორიაში"** შეთქმულების მონაწილენი არიან ისინი, ვინც რეალურად მონაწილეობდა ამ შეთქმულებაში: ბულგანინი, სეროვი, კრუგლოვი, ჟუკოვი, ბატიცკი, მოსკალენკო... მაგრამ ბერია ფხიზლად იყო და 26 ივნისის დილას მალენკოვთან მივიდა. მლეჩინი ასე აღგვიწერს ამ სიტუაციას:

"– შენ რა, ეგორ, გადაწყვიტე ჩემს წინააღმდეგ გამოსვლა? – ჰკითხა ბერიამ, ისე, რომ მისთვის თვალი არ მოუშორებია.

დამფრთხალმა ბერიამ წამსვე ისკუპა ერთი ბანაკიდან მეორეში და ბერიას დაწვრილებით მოუთხრო ხრუშჩოვის მიერ დაგეგმილი ოპერაციის თაობაზე".

შემდეგ ყველაფერი ზუსტად ვითარდება **"ისტორიის საპირისპიროდ"**: სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ჯგუფი ქობულოვის ხელმძღვანელობით აპატიმრებს ჟუკოვსა და მის ხალხს, აპატიმრებს სეროვსა და კრუგლოვს, და როცა ხრუშჩოვმა ცეკაც პრეზიდიუმის სხდომაზე თითი დააჭირა **"საიდუმლო ღილაკს"**, შემოვიდა არა ჟუკოვი, არამედ შინაგანი ჯარების ოფიცრები.

"ხრუშჩოვი, ბულგანინი და ჟუკოვი, – აგრძელებს მლეჩინი,– გაასამართლა სამხედრო ტრიბუნალმა. ყველა ჩადენილი და ჩასადენი დანაშაულისათვის მათ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

მალენკოვი და მიქოიანი დარჩნენ საკუთარ თანამდებობებზე.

(...)

ხრუშჩოვისა და მისი თანამზრახველების დაპატიმრების შემდეგ, რომლებიც ამერიკული დაზვერვის აგენტები აღმოჩნდნენ, ბერია სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდა.

არავის შეეძლო მას შესცილებოდა პარტიისა და ქვეყნის მართვაში.

სწორედ ბერია გამოვიდა მთელი ძალაუფლების პარტიისათვის გადაცემისა და ქვეყნის სამეურნეო საქმეებში არაკომპეტენტურად ჩარევის წინააღმდეგ..." და ა.შ.

წავიკითხე რა 2007 წელს ეს **"ფანტასმაგორია"**, რომელიც 14 წლის წინ დაიწერა, მე უკიდურესად გაოცებული დავრჩი. ესეც ასე! თავში აზრები მერეოდა: **"ნუთუ მლეჩინი ის ადამიანია, რომელმაც რეალურად შეაფასა ბერიას პიროვნება? არა, ეს ასე არ იქნება! ეს ხომ ლეონიდ მლეჩინია, საკმაოდ ოდიოზური ფიგურა, რომელიც ანტისაბჭოური სულისკვეთებითაა გაჟღენთილი".**

მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა!

მლეჩინის მიხედვით XX ყრილობის დელეგატებს – შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის დამახასიათებელი სტილით მკაცრად შემოწმების შემდეგ გადაანაწილებენ სხვადასხვა სამხედრო თვითმფრინავებში (სამოქალაქო ავიაცია მაშინ არ იყო, რადგან **"ქვეყანაში უსაქმოდ არავინ დაყიალობდა"**) და სხვადასხვა ბანაკებში მიუჩენდნენ ადგილებს მავთულხლართების მიღმა.

მლეჩინის ყაიდის საბჭოთა კავშირში ყველა აღმშენებლობით სამუშაოები, ასევე თავდაცვის სამინისტროს სისტემის წარმოება-დაწესებულებების საქმიანობა **"მიმდინარეობდა შრომა-გასწორებითი ბანაკების (გულაგის) მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ"**.

მლეჩინი პირის ტკბობით აგრძელებს ფანტასმაგორიობას:

"სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამაიაკ ქობულოვმა ("ფანტასმაგორიულ" XX ყრილობაზე – ს.კ.**) დაასახელა ხუთწლედის საკონტროლო ციფრები: სამრეწველო პროდუქციის 83 პროცენტი მიღებულია შრომა-გასწორებითი ბანაკების პატიმართა შრომით...**

პარტიის XX ყრილობამ დაუსვა ამოცანა სბჭოთა მთავრობას, რომ მაქსიმალურად გაანთავისუფლოს საბჭოთა ხალხი მძიმე ფიზიკური შრომისაგან და ამიტომ გადასცა მთელი წარმოება-დაწესებულებები შრომა-გასწორებითი კოლონიების მთავარ სამმართველოს (გულაგს)" და ა.შ.

ამ ფანტასმაგორიის ავტორი, რომელიც დაბადებულია 1957 წელს და დამთავრებული აქვს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი, წარმატებით იფურჩქნებოდა ლეონიდ ბრეჟნევის ეპოქაში, თხზავდა რა **"პოლიტიკურ ნარკვევებს"** სერიით **"იმ მხარეს"**, რომლებშიც ფარდას ხდიდა **"მითებს საბჭოთა საფრთხეზე"**, მოგვითხრობდა რა, თუ **"როგორ სასტიკად უსწორდებოდნენ ამერიკული სპეცსამსახურები ანტისაომარი მოძრაობის აქტივისტებს"** და ა.შ. წარმატებით ჩაეწერა რა **"უძრაობის"** ეპოქაში, იგი დღესაც იფურჩქნება, ამიტომაცაა ასე დაწვრილებით ინფორმირებული საბჭოთა ისტორიის დელიკატურ მომენტებში და სწორედ ეს აძლევს საშუალებას, რომ გამოავლინოს ლავრენტი ბერიას ყველა წამოწყების ჭვრეტის უნარი.

მაგრამ ლეონიდ მლეჩინი საერთოდ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ბერიამ მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებებისა, გულაგის შემადგენლობიდან გამოიყვანა და დარგობრივ სამინისტროებს გადასცა, ხოლოდ თავად შრომა-გასწორებითი ბანაკების მთავარი სამმართველო იუსტიციის სამინისტროს დაუმორჩილა. მისი ეს **"გულმავიწყობა"** სავსებით გასაგებია – ამ ორი ფაქტის დამოწმება ხომ ყირაზე აყენებს მლეჩინის მთელ ამ **"ფანტასმაგორიულ"** წიაღსვლებს.

და რაც მთავარია, ამ პასქვილების ავტორს არასოდეს შეუნიღბავს თავისი ჭეშმარიტი მიზნები. მას უნდოდა თვალსაჩინო გაეხადა, რომ:

"ისტორია რამდენიმე ვარიანტისაგან შედგება. რუსეთში სოციალიზმის ბედსაც მრავალი ფაქტორი განაპირობებდა... მაგრამ ქვეყანა განვითარდებოდა მაინც იგივე წრეში – გულაგიდან რეფორმებამდე.

რეალური სოციალიზმის მრავალვარიანტობა დაყვანილია მინიმუმამდე, იმიტომ, რომ სოციალისტური საზოგადოების არსებობის გენერალური სქემა გახლდათ... ტერორი".

თავის **"ფანტასმაგორიას"** კი მლეჩინი შემდეგნაირად ამთავრებს:

"ბერიას მიერ 1953 წელს გატარებული რეფორმები, რომელმაც ასე დააფრთხო მისი კოლეგები, უპირველესად, ნაკარნახევი იყო თვითგადარჩენის ინსტინქტით. და კიდევაც რომ განხორციელებულიყო ეს რეფორმები, ქვეყანა მალე მაინც გულაგს დაუბრუნდებოდა. ასე გაგრძელდებოდა მანამ, ვიდრე სოციალიზმი შეწყვეტდა არსებობას.

სოციალიზმის მრავალვარიანტულობა უიმედო საქმეა".

მე სრულიადაც არ ვაპირებ, მომავალში (გვიანი **"პერესტროიკის"** პერიოდში), ჟურნალ **"ნოვოე ვრემიას"** მთავარი რედაქტორის მოადგილის რეტრო-ფუტუროლოგიური გამოკვლევების კომენტირებას. მაგრამ ვაღიარებ – იმის სურვილს, რომ ეს ყველაფერი მკითხველისათვის გამეცნო, თავი ვერ დავაღწიე.

მიუხედავად მლეჩინის ოპუსისა, სრულიადაც არ იცვლება შემდეგი საკრალური შეკითხვის დასმის კანონიერი საფუძველი: **"საით წავიდოდა რუსეთი, რომელსაც სტალინის სიკვდილის შემდეგ ბერია ჩაუდგებოდა სათავეში"?**

ვფიქრობ, რომ ახლა მკითხველს დამოუკიდებლად შეუძლია გასცეს პასუხი ამ შეკითხვას. მაგრამ მე მაინც დავუბრუნდები ამ საკითხს.

1964 წლის ოქტომბერში ხრუშჩოვი ჩამოაგდეს... რუსეთის ბედი ბრეჟნევის დაჯგუფების ხელში აღმოჩნდა... და როგორი ერთსულოვნებითაც არ უნდა გვიმტკიცონ დღეს **"დემოკრატებმა"** საპირისპირო, მოხდა უკან დახევა **"შერბილებული სტალინიზმისაკენ"**.

ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა, მაგრამ ახლა სტალინის სახელს ნაკლებად თხვრიდნენ ლაფში. მაგრამ გამორიცხული იყო ბერიას რეაბილიტაცია, თუნდაც **"ატომურ"** დარგში.

რატომ?

თითქოს ხელსაყრელი მომენტი დადგა და საამისო მიზეზიც არსებობდა. ბრეჟნევ-შელეპინის ჯგუფმა ეს-ესაა **"ჩამოაგდო"** ხრუშჩოვი და სავსებით ლოგიკური იქნებოდა ობიექტურად შეეფასებინათ ***ნიკიტა ხრუშჩოვი*** და, ამავე დროს, ეჩვენებინათ ***მისი*** როლი 30-იანი წლების რეპრესიებში. სტალინის მთელი გარემოცვიდან ხომ მხოლოდ **"ნიკიტა"** მდინარედ ღვრიდა უდანაშაულო საბჭოთა ადამიანების სისხლს, იმიტომ, რომ ფარულ ანტიკომუნისტებს, ანტისაბჭოელებს, ტროცკისტებს, პროვოკატორებს აძლევდა ხელს საბჭოთა ხალხის გილიოტინის ქვეშ შერეკვა, სწორედ იმ რეგიონებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ სრულიად უმეცარი, უპასუხისმგებლო, ამბიციური არსებები, რომლებიც სავსებით იყვნენ დამოკიდებული საკუთარ გარემოცვაზე.

და ამის ციფრებით დადასტურება შეიძლება!

და თუ ხელისუფლების სათავეში ბრეჟნევის მოსვლით ხდებოდა უკან დახევა **"შერბილებული სტალინიზმისაკენ"**, მაშინ ხომ ხელსაყრელი იქნებოდა ხრუშჩოვის ნამდვილი სახის ჩვენება და მისი ინსინუაციების შერბილება სტალინის მიერ მოწყობილი რეპრესიების თაობაზე. და, რაც მთავარია, იმის გაცხადება, რომ ვოლუნტარისტმა და შურიანმა ხრუშჩოვმა ბერიასაც დაუმსახურებლად შეასხა სიბინძურე... ბერია კი, დიდ სამამულო ომშიც ღირსეული ფიგურა იყო და **"ატომურ"** საქმეებშიც...

მაგრამ ლეონიდ ბრეჟნევის ეპოქაში ბერიას მიმართ არ თქმულა ერთი დადებითი სიტყვაც კი.

რატომ?

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ, ᲯᲔᲠᲘ ᲨᲔᲜᲖᲔᲐ!

27 მაისს თბილისელებმა თავისი სიტყვა თქვეს – 300.000 ადამიანმა მტკიცე უარი უთხრა ამ რეჟიმს. ამ დღეს ხალხი ბედნიერი იყო იმიტომ, რომ მან შიში დასძლია!

10 ივნისს იმერეთმა მეფეთა ქალაქ ქუთაისში აჩვენა ერთსულოვნება, მომავლის დაუოკებელი იმედი და მღელვარე ემოციები. 80 ათასმა ადამიანმა ერთხმად შესძახა: **“ᲫᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ”** და ხალხი ნათელი მომავლის იმედით დაბრუნდა შინ!

17 ივნისი, გურია-ოზურგეთი. მკვირცხლმა, ჩაუქმა გურულებმა მართლა გვიჩვენეს სიმარდე და გამბედაობა. მთელმა მხარემ მოიყარა თავი ოზურგეთის ცენტრალურ მოედანზე და **“ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ”** ხმის მიმცემი აღარავინ დარჩა. ამრიგად, ამ რეგიონმაც მტკიცე უარი განუცხადა საქართველოს აშკარად არაქართულ ხელისუფლებას!

1 ივლისს მცხეთა-მთიანეთის მხარემ გამოხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება არსებული ხელისუფლებისადმი. აქ თავმოყრილმა მრავალმა ათასმა ადამიანმა დიდი ქართველი მეფეების ლუარსაბ პირველისა და სიმონ პირველის საფლავზე დაიფიცა, რომ მცხეთის წმინდა მიწის საკადრისად დაიცავდნენ ქართველი ერის ღირსებას!

15 ივლისი. შიდა ქართლი – გორი. **“ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ”** აქაც ტრიუმფით ჩაატარა სახალხო შეკრება. ხელისუფლების მცდელობა, ხელი შეეშალათ ხალხის თავმოყრისათვის, უშედეგო გამოდგა. ერმა აქაც დადო პირობა, რომ დაიცავდა საკუთარ ღირსებას!

კვირიკობის დღესასწაულზე ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენამ კვლავ დაადასტურა, რომ სვანეთი არის ღვთისა და ქართველი ერის ერთგული და არა **“ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ”** მონა-მოხარკე.

5 აგვისტოს **“ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ”** ბათუმში მთელი აჭარა დახვდა. ეს სრულიადაც არ ჰგავდა ნაცების შოუს, ეს გახლდათ აჭარაში ქართული სულის აღზევება. თუ აჭარამ 300 წლის განმავლობაში გაუძლო ოსმალეთის იმპერიის ზეწოლას, იგი უგუნური, გზააბნეული შვილების ახირებასაც საკადრის პასუხს გასცემს!

19 აგვისტოს უკვე რუსთავმა მოუწყო ღირსეული დახვედრა **“ᲛᲔᲝᲪᲜᲔᲑᲔᲔᲑᲡ”** – მთელმა ქალაქმა მოიყარა თავი ჟიული შარტავას სახელობის მოედანზე, რამაც კიდევ ერთხელ დაარწმუნა **“ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ”**, რომ მათი კრახი გარდაუვალია.

მალე სამეგრელოს ჯერი დადგება. საქართველოს მოწინავე საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ძველი კოლხეთის დღევანდელი შვილები მათ წინაპართა სიბრძნით გააანალიზებენ დღეს ქვეყანაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას და ყველას უჩვენებენ, რომ სამეგრელო სრულიადაც არ არის დაშინებული და დათრგუნული ნაცების ზონდერბრიგადების მიერ და ეს მხარე მაცი ხვიტიას და დათა თუთაშხიას მსგავსი ვაჟკაცების სამჭედლოდ რჩება.

უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ბევრი ტკივილი და დამცირება გადაიტანა ეგრისის უძველესმა მიწამ. **“ᲞᲣᲢᲩᲝ”, “ᲛᲮᲔᲓᲠᲘᲝᲜᲘᲡᲐ”** და გვარდიის სადამსჯელო ექსპედიციები, სამოქალაქო ომი, რომლის მძიმე კვალი დღესაც ამჩნევია ამ მხარეს. მაგრამ იმან, რაც დღეს ხდება სამეგრელოში, ყოველგვარ წინა უმსგავსოებას გადააჭარბა. ამ მხარეში დღევანდელმა ხელისუფლებამ დააბრუნა **“ᲙᲝᲩᲘᲡ ᲙᲝᲩᲝᲑᲐ”**, რასაც ებრძოდნენ სამეგრელოს ღირსეული შვილები.

უტუ მიქავამ და მისმა თანამებრძოლებმა შესძლეს ამ დამამცირებელი **“ᲬᲔᲡᲘᲡ”** ამოძირკვა.

სამეგრელოს ღირშესანიშნავი ობიექტები გაიყიდა და გასაჩუქრდა ყველა მსურველ გადამთიელზე, ნაწილი კი ხელისუფლების ჩინოვნიკებზე. ხალხი საძოვრებისა და სახნავ-სათესი მიწების გარეშე დარჩა. მეგრელებს წაართვეს ფოთი. ადრე, მეგრელი კაცი ფულის საშოვნელად ფოთში მიდიოდა, რათა ცოლ-შვილი გამოეკვება და შეემოსა. გახსოვთ, ალბათ, გიორგი წერეთლის **“ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲓᲐᲜ”**. მეგრელისათვის რომ გეკითხა **“ᲡᲝ ᲛᲔᲣᲠᲥᲝ”** (სად მიხვალ?), გიპასუხებდა: **“ᲤᲝᲗᲘᲨᲐ ᲛᲔᲣᲠᲥ, ᲞᲐᲢᲝᲜᲝ”** (ფოთს მივდივარ, ბატონო) – მოგიგებდა: **“ᲔᲒᲔᲑᲐ ᲟᲘᲠᲘᲝᲜᲓᲔ ᲤᲐᲠᲐ ᲘᲕᲨᲣᲔ”** (ეგება ორიოდ გროში ვიშოვოო).

არა, ძმებო, მეგრელი კაცი დღეს ფოთში ფულს ვერ იშოვნის, რადგან იქ სამუშაო არ არის. ამ ქალაქის ნაწილი უცხოელებისაა, ნაწილი კი ნაციონალი ჩინოვნიკების, მათი ცოლებისა და ოჯახის წევრებისაა. ანალოგიური ვითარებაა ანაკლიაშიც. რაც შეეხება მითს **“ᲚᲐᲖᲘᲙᲐ”**-ზე, იქ ადგილობრივი ხალხი არც კი მოიაზრება. ვფიქრობ, ხელისუფლებას აქ რაღაც მზაკვრული მიზანი აქვს ჩაფიქრებული, რომელსაც, იმედია, მიხვდებით...

ჩვენი საფიცარი სამშობლოს – საქართველოს მშენებლობა-გაძლიერებაში, მისთვის დამოუკიდებლობის მოპოვება-შენარჩუნებაში სამეგრელოს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის, დაწყებული ქუჯი-ფარნავაზიდან და გუბაზის მეფობიდან, დამთავრებული მეოცე საუკუნის 80-90-იანი წლების ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელ ზვიად გამსახურდიამდე და მერაბ კოსტავამდე. სიმამაცის, ერთგულებისა და ქვეყნისათვის თავდადების მაგალითიც ხომ ცოტნე დადიანმა მისცა დანარჩენ საქართველოს. არ ყოფილა არცერთი ყოფითი სფერო ჩვენს ქვეყანაში, სადაც სამეგრელოს შვილებს განსაკუთრებული სიტყვა არ ეთქვათ: ხელოვნებაში, ჯანდაცვაში, მეცნიერებაში, სპორტში და ა.შ. კონსტანტინე გამსახურდია, არნოლდ ჩიქობავა, ილია ვეკუა, აკაკი ხორავა, მეტის ჩამოთვლა საჭირო აღარ არის...

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, ამ მხარეს განსაკუთრებული მოვლა და მოფერება სჭირდება.

საქართველოს ყველა რეგიონში არიან პიროვნებები, რომლებიც პირადი მდგომარეობის შესანარჩუნებლად ხალხის ნებას არად აგდებენ. ასეთები რატომღაც განსაკუთრებით სამეგრელოში აქტიურობენ და მათი გვარ-სახელები მთელმა საქართველომ იცის.

გონს მოდით!

არაფერია იმაზე ცუდი, როდესაც საკუთარ ხალხს არ უყვარხარ. აკაკი წერეთლის **“ᲦᲐᲛᲣᲠᲐ”** თუ სკოლაში არ გისწავლიათ (ჩემს სიყმაწვილეში ასწავლიდნენ, შემდეგ **“ᲜᲐᲪᲔᲑᲛᲐ”** ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან), თქვენი კუთხის შვილის, პოეტ ვახტანგ ხარჩილავას ლექსი მაინც მიიღეთ შეგონებად და გაფრთხილებად:

მარგალიში გვარი გიღუ,
გურ ვაიღუ მარგალიში,
აგერია წინაპრებთან
კაცობა და ანგარიში
უჩონჩხე დო უზისხერე,
ოლიგვინა ბოროცალო.
სხვის კალთასთან დაჩოქილო,
სხვის ტაძარში მომლოცავო...

დღემდე რაც ჩინ-მედალ-ორდენია მოჭრილი ქვეყანაზე, მათ მიღებას სჯობია შენს ხალხს უყვარდე. შეგახსენებთ, ღმერთი ყველას აძლევს დაფიქრების დროს შეცდომების გამოსწორებისათვის, რადგან კაცთმოყვარეა, მაგრამ გამოსწორებისათვის მიცემული ჟამის გასვლის შემდეგ გამოუსწორებელს საშვილისშვილოდ მკაცრად განიკითხავს. იფიქრეთ თქვენს შთამომავლობაზე, თქვენს გამო წელდადრეკილებმა და თავდახრილებმა რომ არ იაროონ ქვეყანაზე.

მეგრელო ქალბატონებო, ნუ გჯერათ ამ ხელისუფლების ცრუ დაპირებების, ნუ იქნებით გულუბრყვილონი, ნუ გაჰკივით **“ᲩᲘᲛᲘ ᲡᲥᲣᲐ – ᲩᲘᲛᲘ ᲛᲘᲨᲐ”**-ს. არც ხელების დაკოცნაა საჭირო. არ არიან ღირსნი, რადგან არ გაფასებენ. პირიქით, თქვენგან თბილისში დაბრუნებულები ხუმრობენ და იკვეხნიან: აი, როგორ ვაბოლებთ მეგრელებსო!

სამეგრელოს მუდამ ჰყავდა და დღესაც ჰყავს ღირსეული შვილები, რომლებიც არ ეგუებიან უსამართლობას და განუკითხაობას. სწორედ ასეთები არიან კოალიცია **“ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ”** მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები. სწორედ ესენი, თქვენი მხარდაჭერით, შესძლებენ ქვეყნის მმართველობას მოაშორონ ქართველთ-მოძულე ხელისუფლება.

აი, ვისი უნდა გჯეროდეთ, ვის უნდა დაუჭიროთ მხარი!

თქვენზეა დამოკიდებული ბევრი რამ. მავანნი აცხადებენ, რომ სამეგრელო მუდამ ხელისუფლების მხარდამჭერიაო. ეს არ შეეფერება სიმართლეს. თქვენ კი იდექით ხელისუფლების მხარეს, მაგრამ ეს გახლდათ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება!

დღეს კი უნდა გავერთიანდეთ და გვერდში ამოვუდგეთ ერის ღირსეულ შვილებს!

ახლა, სიტყვა თქვენზეა, ჩვენო დებო და ძმებო, სამეგრელოს ღირსეულო შვილებო!

ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲜᲘᲨᲐᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს უხუცესთა
დარბაზის აღმასრულებელი
მდივანი

ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ “ᲡᲐᲡᲐᲙᲚᲐᲝ”

“საქართველო ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში ხორცის ფასებით”

“ორივე სასაკლაო – ნატახტარიც და თელეთიც ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების ბიზნესია”

საერთაშორისო ბაზარზე ხორცი გაიაფდა, თუმცა, ეს დინამიკა საქართველოზე არ ასახულა. მეტიც, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში ხორცის ფასი სტაბილურად მაღალია და აღარც სეზონურად იცვლება და არც მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. საცალო ქსელში 1 კილოგრამი საქონლის ხორცი 13-15 ლარის ფარგლებში მერყეობს, ღორის ხორცისა კი – 13 ლარია. ასეთი ფასებით საქართველო ერთ-ერთი ლიდერია მსოფლიოში ხორცის სიძვირის მხრივ.

ადგილობრივ ხორცის ბაზარზე ვითარება მას შემდეგ შეიცვალა, რაც **“ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ”** კანონში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც პირუტყვის სასაკლაოზე დაკვლა აუცილებელი გახდა. პროცედურის თანახმად, სასაკლაოზე გასცემენ ფორმა №2-ს, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი დაკვლამდე, ვიზუალურად დათვალიერების, დაკვლისა და შინაგანი ორგანოების შემოწმების შემდგომ ჯანმრთელია. ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ ხორცი სარეალიზაციოდ გადის. თბილისის ბაზარზე ხორცი მხოლოდ ნატახტრისა და თელეთის სასაკლაოებიდან შემოდის, სადაც ერთი კილოგრამი ხორცის დამუშავება 1 ლარი ღირს. სასაკლაო ასევე **“ᲛᲣᲥᲗᲐᲓ”** იტოვებს საქონლის შიგნეულობას, ფეხებს, თავსა და ტყავს.

აღსანიშნავია, რომ ნატახტრის სასაკლაოს კომპანია **“ᲘᲑᲔᲠᲛᲘᲗ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ”** ფლობს. კომპანიაში ამბობენ, რომ ადგილობრივ ბაზარზე ხორცი ხელოვნურად გაძვირდა და მათი კომპანია ფასწარმოქმნის პროცესს არ აკონტროლებს. ექსპერტები კი სულ სხვაგვარად ფიქრობენ...

ᲛᲔᲠᲐᲑ ᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის წევრი: **“ᲐᲛ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲜᲝᲠᲛᲘᲡ ᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲪᲐᲚᲝ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲑᲐᲨᲐᲓ 60%-ᲘᲗ �გᲐᲫᲕᲘᲠᲓᲐ. ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲫᲕᲘᲠᲔᲑᲡ ᲮᲝᲠᲪᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲘᲡ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲐᲠᲐᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ, ᲘᲜᲤᲚᲐᲪᲘᲐ, ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲡᲣᲠᲡᲐᲗᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐᲛ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ, ᲡᲐᲡᲐᲙᲚᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲝ�პᲝᲚᲘᲖᲔᲑᲐ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ. ᲓᲦᲔᲡ ᲗᲣ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ, �პᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘ ᲓᲐᲙᲚᲐᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲧᲘᲓᲝᲡ, ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲘᲧᲕᲐᲜᲝᲡ ᲜᲐᲢᲐᲮᲢᲠᲘᲡ ᲐᲜ �თᲔᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲙᲚᲐᲝᲖᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲕᲘᲠᲘ ᲣᲯᲓᲔᲑᲐ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲞᲘᲠᲣᲢᲧᲕᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲐ, ᲘᲡᲔ ᲓᲐᲙᲚᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ. ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲔᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲤᲐᲡᲖᲔᲪ ᲐᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ �პᲘᲠᲓᲐ�პᲘᲠ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲐ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲝ�პᲝᲚᲘᲖᲔᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲘ, ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲥᲕᲔᲨ ᲛᲝᲐᲥᲪᲘᲐ. ᲝᲠᲘᲕᲔ ᲡᲐᲡᲐᲙᲚᲐᲝ – ᲜᲐᲢᲐᲮᲢᲐᲠᲘᲪ ᲓᲐ ᲗᲔᲚᲔᲗᲘᲪ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲣᲚᲘ �პᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲐ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲡ ᲘᲦᲔᲑᲓᲜᲔᲜ, ᲡᲐᲡᲐᲙᲚᲐᲝᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘᲧᲝ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ – ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲐᲜ �თᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲠᲔᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲮᲔᲓᲐᲕᲗ, ᲔᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲙᲐᲪᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ მიიყვანოს პირუტყვი, დააკვლევინოს და შემდეგ ხორცის ტრანსპორტირება მოახდინოს, რაც ორმაგად უძვირებს პროდუქციას. ისე გაურთულეს და გაუძვირეს ადამიანებს პირუტყვის დაკვლის პროცედურა, რომ იძულებული არიან, კაპიკებად ჩააბარონ ადგილზე მისულ ვაჭრებს, რომლებიც შესაძლოა სასაკლაოს წარმომადგენლებიც არიან.

გამოდის, სასაკლაო ხორცის საბითუმო ქსელის მონოპოლისტია, მაგრამ არც ამას დასჯერდა ნატახტრის სასაკლაო და საცალო ქსელის დაპატრონებაც გადაწყვიტა, – ქალაქში “იბერმითის” მაღაზიები გახსნა, სადაც მომხმარებელს ხორცს შედარებით დაბალ ფასად სთავაზობს. რადგან თავად ფლობს სასაკლაოსაც, დისტრიბუციასაც და სავაჭრო ქსელსაც, შესაბამისად, უფრო კონკურენტუნარიანია და უპირატეს მდგომარეობაშია ბაზრის სხვა მოთამაშეებთან შედარებით. გამოდის, ხელისუფლებამ უდიდესი დარტყმა მიაყენა მოსახლეობასა და ადგილობრივ წარმოებას. ხალხი იძულებულია მაღალი ფასის გამო ადგილობრივი წარმოების ხორცის ნაცვლად დაბალი ხარისხის იმპორტირებული ხორცი იყიდოს”.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲐᲠᲩᲕᲐᲫᲔ, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში: **“ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ 45%-ᲘᲐ, ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲙᲘ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲬᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲓᲘᲡ. ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲗ ᲮᲣᲗᲯᲔᲠ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲯᲔᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ 80-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ. ᲩᲕᲔᲜ �გᲐᲕᲮᲓᲘᲗ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲗ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐᲪ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘ, ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘ, ᲠᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ.

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲡ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲖᲠᲓᲘᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲗᲣ ᲐᲛᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐᲪ ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ, ᲤᲐᲡᲜᲐᲛᲐᲢᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ. ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲡᲐᲮᲔᲖᲔᲐ ᲛᲝᲜᲝ�პᲝᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲡᲮᲕᲔᲠ�პᲚᲡ ᲘᲝᲗᲮᲝᲕᲡ, ᲛᲡᲮᲕᲔᲠ�პᲚᲘ ᲙᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲤᲐᲡᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲔᲚᲡ ᲐᲤᲕᲔᲑᲐ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲢᲕᲘᲠᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲧᲝᲤᲐᲡ ᲒᲐᲣᲡᲐᲯᲚᲘᲡᲘᲡ ᲮᲓᲘᲡ. ᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲔᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲔᲪᲔᲡ ᲑᲐᲖᲐᲠᲖᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲐᲓ ᲨᲔᲓᲬᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ, ᲔᲡ ᲡᲣᲚ ᲪᲝᲢᲐ, 30%-ᲘᲗ ᲒᲐᲐᲘᲐᲤᲔᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲮᲝᲠᲪᲡ. ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲫᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲣᲫᲕᲚᲝ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲤᲐᲡᲡ.

ᲑᲝᲚᲝ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ 50-60%-ᲘᲗ ᲫᲕᲘᲠᲘᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲮᲝᲠᲪᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲜᲔᲑᲘ, ᲡᲐᲖᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ, ᲓᲐᲑᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ. ᲐᲛᲘᲗ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ ᲘᲛᲞᲝᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲖᲔ ᲓᲐᲐᲡᲮᲐ ᲬᲧᲐᲚᲘ”.

Ე. ᲢᲣᲮᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171-183

პროფ. ოთარ ლორთქიფანიძე ამბობს: ქაშქების კოლხურ, ე.ი. დასავლურ-ქართველურ ეთნოსად მიჩნევა სუდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ეთნოსისა და ქართველური ენების ისტორიისათვის, კერძოდ, დასტურდება, რომ მეგრულ-ჭანური ანუ **„ზანური“ („კოლხური“)** ენა უკვე ძვ.წ. II ათასწლეულში გამოყოფილია ქართულ-ზანური ერთობლიობისაგან.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქასქები (ქაშქები) უნდა ყოფილიყვნენ ხათები, ან მათი მონათესავე ტომები მაინც, თუმცა ასეთი კავშირ-ურთიერთობა დამტკიცებულად არ მიაჩნიათ.

გ. გიორგაძე, როცა მიუთითებს ქასქების ერთ-ერთ მმართველზე (მეფეზე) თიფილ ფიხუნიაზე, უნდა ითქვას, რომ ფიხუნია იყო აიეტის წინადროინდელი ცნობილი, დიდი მეფე, რომელსაც ქართველი პოეტები ლექსებს უძღვნიან.

გარდა ამისა, **„ქაშქა“** და **“ქაშაგ“** სახელთა გარეგანი მსგავსების გარდა, რამე სხვა სახის კავშირი ქასქებისა და დასავლეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომთა შორის ჯერჯერობით არ გამოვლენილა. ამიტომ, მოსაზრება ქასქების გენეტიკური კავშირისა აფხაზურ-ადიღეურ ტომებთან, როგორც ეს ივარაუდება, დღესაც (განსაკუთრებით აფხაზ მკვლევართა მიერ) მიმაჩნია არადამაჯერებლად.

მასალების ანალიზს მივყავართ იქითკენ, რომ ვივარაუდოთ ქასქების ტომთა გენეტიკური სიახლოვე სხვა წარმოშობის ტომებთან. ამ მხრივ პერსპექტიული უნდა იყოს გენეტიკური კავშირების ძებნა ძველ კოლხურ (ე.ი. დასავლურ-ქართველურ, მეგრულ-ჭანურ-სვანურ), განსაკუთრებით სამხრეთ კოლხურ ტომებთან, რომლებიც ანტიკურ ხანაში ცხოვრობდნენ სწორედ პონტოს აღმოსავლეთ რაიონებსა და მათ მეზობლად აღმოსავლეთიდან. ამასთან დაკავშირებით, ჩვენს ყურადღებას იქცევს ქასქური ტოპონიმიკა, ქასქური საკუთარი სახელები, ცალკეული ქასქური სიტყვები და ა.შ. რომლებიც თარიღდება ძ.წ. XV-XIII საუკუნეებით. მთელი ეს მასალა ჩვენთვის საინტერესო მიზნით ჯერჯერობით არავის გამოუყენებია, – წერს გ. გიორგაძე.

ივანე ჯავახიშვილს ქასქუში მიაჩნდა მერმინდელ კოლხთა წინაპრად. ქასქებს აიგივებენ კოლხებთან სხვებიც, მათ შორის პეტრე უშაკოვი. (**გრიგოლ გიორგაძე,** ხეთური და ასურული ლურსმული..., გვ. 12).

ქასქური ტოპონიმიკა კარგადაა ასახული ხეთურ ლურსმულ ტექსტებში. უპირველეს ყოვლისა, ინტერესს იწვევს გეოგრაფიული სახელები, რომლებიც მთავრდება – ია სუფიქსზე: აშხარფაია (აშხარბაია, ასხარბაია), ელურია (ილურია), გახარია, ქათხარია (ქაშქაია (ქასქაია), ფათადია, შარია (სარია), შუხურია (სუხურია), თახანთარია, თალიფაცია, თაქაშთურია (თაქასთურია), თალმალია, თიმია, თიფია, ვაშხაია (ვასხაია), ციხარია, ცითახარია, ციხარცია და სხვა მრავალი (ქასქური ტოპონიმიკის –ია სუფიქსთან დაკავშირებით შდრ. მეგრული გვარები, რომლებიც ბოლოვდებიან – ია სუფიქსზე: ქეცბაია, თოფურია, ქანთარია, გახარია, გამახარია, პაჭკორია, ოდიშარია, ქუთელია, ფიფია და ა.შ.

გ. გიორგაძე წერს:

ინტერესს იწვევს – სქა, -სგა, (-შქა, -შგა) სუფიქსიანი ტოპონიმები, რომლებიც გავრცელებული იყო თითქმის მხოლოდ ქასქებით დასახლებულ ტერიტორიაზე: თვითონ ქასქა (ქაშქა), ხუმინთისქა, ხუმინთიშქა (ხუმინთისგა, ხუმინთეშქა), ქარიქურისქა (ქარიქურიაგა), მუნისქა (მუნიშქხა), თათისქა (თათიშქა), თუთუსქა, დუდუსქა (დუდუშქა) და ციანთისქა (ციანთეშქა).

გ. გიორგაძის მიერ მოხმობილი ქასქურს, აშკარად მეგრული სიტყვების მსგავს სიტყვებს, გამოთქმებს, შეიძლება ასეთი განსაზღვრაც მივცეთ: ისინი გვანან, თანხვდებიან თანამედროვე მეგრულ სიტყვებს, ზოგიერთი მათგანი დღეების სახელწოდებებია – მუნისქა (მუნიშხა) – **„ჯუმაშხა“** (ოთშაბათი), თათისქა (თათიშეა) – **„თახაშხა“** (სამშაბათი), თუთუსქა – **„თუთუშხა“** (ორშაბათი), ციანთისქა (ციანთეშქა) – **„ცაშხა“** (ხუთშაბათი) და აშ.

როგორც ცნობილია, ამავე სუფიქსითაა გაფორმებული ასურულ ლურსმულ წყაროებში დადასტურებული ეთნონიმი – მუშქა (მუსქა), იგივე მუშქაია (მუსქაია), ე.ი. მუშქების, მოგვიანო ხანის მესხების, ადმნიშვნელი ტერმინი, რომელსაც ქართველურ სამყაროში გადავყავართ. – სქა (-სგა) ქასქურ სუფიქსთან დაკავშირებით შდრ. – სქ-/-სგ- კომპლექსიანი ფორმები ზანურსა და სვანურში, ისევე, როგორც ჭანურ-მეგრულ-სვანური შქ-ა, ი-სგა – **„შუა“** აღნიშნულ სახელწოდებათაგან ხუმინთიშქა, თათიშქა და ციანთიშქა გამოირჩევა იმითაც, რომ მათში შეიძლება დავინახოთ სიტყვა **„თიშქა/დიშქა“** (შდრ. ჭანური და მეგრული **„დიშქა“ – „შეშა“**). – სქა, – შქა სუფიქსიანი ტოპონიმი შემორჩენილია სამეგრელოში დღესაც – ჟირღალიშქა. შდრ. ჟირ-ღალი-შქა-ორ ღელეს შუა ტერიტორია – შუაღელეთი მსგავსად შუამდინარეთისა. ქასქურ პირთა სახელებიც მრავალფეროვანია. აშკარად ქასქური წარმოშობის სახელებია: ასაფლალა (აშხაფალა), ხათეფა, ხაცინა, იციცი, ქასქამუვა, ქაციფირი (გაციფირი), ფაათა (პაათა), ფათალია, ფაცანა, ფიხუნია, ფია, ფიგაფაცუი, ფიფელუ, ფიციცი, სფალი, სუისმელი (შუიშმელი), დადა (თათა, დათა), დადილუ, თემეთი, თითა (დითა), თუთუ და ა.შ. გარკვევით ჩანს, რომ ყველა ისინი მეგრული სიტყვებია.

ყურადღებას იქცევს ტოპონიმები და საკუთარი სახელები – უვა, – ვა, დაბოლოებებით (ასეთი სახელებიც მრავლადაა მეგრულში):

ტოპონიმები – ხათენცუვა, ქარასუვა, ქათთალადუვა, ქათხაიდუვა, ქათითითმუვა, საფიდუვა, თაფასავა, თიქუქუვა, თაფაფანუვა, თაფაფახსუვა, ციმუმუვა და სხვ.

საკუთარი სახელები – ქაშალუვა (ქასალუვა), ქასქამუვა, ქიფურუვა და ა.შ.

საყურადღებოა ფონემათა განაწილების იდენტურობა ქასქურსა და მეგრულ-ლაზურში, განსაკუთრებით აფიქსთა იდენტურობა. გასათვალისწინებელია, რომ საქმე გვაქვს ონომასტიკურ მასალასთან და მაწარმოებელ აფიქსებთან, რაც საუკუნეებს უძლებს. ამ სახელწოდებებში ბევრია მეგრული სტრუქტურის ტოპონიმები და საკუთარი სახელები. რაც გასათვალისწინებელია ქასქების ეთნიკური ვინაობის დადგენისას. ზემომოტანილი მასალა მიუთითებს უფრო მეტად ქასქების კოლხურ წარმოშობაზე, ვიდრე აფხაზურ-ადიღეურ წარმომავლობაზე, – ასკვნის გ. გიორგაძე.

ქასქების დაკავშირება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასთან ძირითადად განპირობებულია იმით, რომ სახელწოდება **„ქასქ/ქაშქა“** ავლენს ბგერით სიახლოვეს ჩერქეზი (ადიღე) ხალხის აღმნიშვნელ სახელწოდებასთან. ე.ი. შუა საუკუნეების წყაროებში სხვადასხვა ფორმებით:

სიტყვა **„ქაშაგ“**-ი საბასთან განმარტებულია როგორც **„მოზრდილი ტყე“**, ხოლო ფანასკერტელთან სიტყვა **„ქაშაქი“** ახსნილია როგორც **„წუენი ქერის კორკოტისა“**, ტერმინი **„ქაშქის წყალი“** კი გამოიყენებოდა ლუდის აღსანიშნავად და ა.შ.

ლინგვისტური თვალსაზრისით გარეგანი მსგავსება ხეთური წყაროების **„ქასქა/ქაშქა“** ტერმინისა შუა საუკუნეების დროინდელ **„ქაშაგ“** სახელწოდებასთან, დასაშვებია, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დიდი წყვეტილია სივრცესა და დროში (მინიმუმ 20 საუკუნე). სახელთა ამ მსგავსებაზეა აგებული ფართოდ გავრცელებული მოსაზრება ხეთური წყაროების ქასქების გაიგივების ჩერქეზულ (ადიღეურ) ტომებთან ქაშაგებთან.

მაგრამ საკითხავია, რამდენად მართებულია აღნიშნულ ტომთა იგივეობის გამოცხადება **„ქასქა-ქაშქა“** და **„ქაშაგ“** ტერმინთა სავარაუდო იდენტურობაზე დაყრდნობით? – მაგრამ ეს ფაქტი არ არის გადამწყვეტი არგუმენტი ქასქების და ჩერქეზების რეალური იგივეობის დადგენისათვის.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ვუპასუხოთ კითხვას: რატომ დავუთმეთ ასე დიდი ყურადღება და რატომ გავაკეთეთ ბევრი ამონარიდი აკად. გ. გიორგაძის შრომიდან ქასქების ეთნიკური წარმომავლობის საკითხებზე. მაშინ, როდესაც ქასქები ისეთივე მეგრული (ქართული) ტომებია, როგორიცაა არკადიელები, აბანტები, დიაოხები, კოლაელები, მაკრონები, მაკრისები, მოსინიკები, მოსხები, სანები, სანტიები, სკვითინები, ტიბარენები, აფუნები, წანები, ფასიანები ფეაკები, ხალიბები და სხვები და სხვები.

ჯერ ერთი, ქასქები არ არიან აფხაზური, ჩერქეზული, ადიღეური ტომები. აფხაზი მეცნიერები (განსაკუთრებით უკანასკნელ პერიოდში) ყველაფერს აკეთებენ ისტორიის, ისტორიული ფაქტების, მოვლენების, წყარო-მასალების გასაყალბებლად, ცდილობენ თავიანთ თავს (აფხაზეთს) მიაწერონ ის, რაც არ დაუმსახურებიათ და ყოველნაირად ცდილობენ, რუსეთის დაკვეთით, მუდმივი დაძაბულობა იყოს რუსეთ-საქართველოს შორის.

მეორე, ქართული მეცნიერების კორიფე ივანე ჯავახიშვილი, როგორც ითქვა, ქასქებს თვლის **„კოლხების წინაპრად“**, ამასვე ამტკიცებენ სხვა ცნობილი მეცნიერებიც, არა მხოლოდ ქართველები, არამედ ბევრი უცხოელი მეცნიერიც.

მესამე, ზოგიერთი ქართველი მეცნიერი, რომლებიც კატეგორიულად ამბობენ, რომ ქასქები ქართველური ტომები არიან, ამასთან ერთად ეჭვს გამოთქვამენ: მართლა ქასქები ქართველური, კოლხური ტომები არიან? მათ შორის, ცნობილი მეცნიერი აკად. გ. გიორგაძე წერს: **„ქასქების ისტორიის არაერთი საკითხი კვლავ ბუნდოვანია. ეს განსაკუთრებით ითქმის ამ ტომთა ეთნიკურ წარმომავლობაზე“.** ასეთი სხვა **„საეჭვო“** გამონათქვამებიც არსებობს. ეს კეთდება მიუხედავად იმისა, რომ ქასქური ტოპონიმები, საკუთარი სახელები, სიტყვა-თქმები, გეოგრაფიული სახელები – მათი აბსოლუტური უმრავლესობა მეგრულია (იქ არ ჩანს აფხაზური, ადიღეური, ჩერქეზული სიტყვა-თქმანი, ტოპონიმები, გეოგრაფიული სახელები). გ. გიორგაძის მიერ მოტანილი მრავალი ქასქური სიტყვები – რა თქმა უნდა, მეგრული სიტყვებია.

როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია (თუ ეს სწორია), რომ გვარები, გვარების ინსტიტუტი იქმნება მხოლოდ XII-XIII საუკუნეებში. საქართველოში პირველი გვარი დაფიქსირებულია წებელდის ეკლესიის წარწერაში – ქორჩილავა, მეორე გვარი კი ილორის ეკლესიის წარწერაში – კვარაცხელია და ა.შ.

გ. გიორგაძეს თავის, ზემოთ აღნიშნულ წიგნში მრავალი ქასქური გვარი აქვს ჩამოთვლილი, თუმცა მათ გვარებს არ უწოდებს. აქედან ბევრი თანამედროვე მეგრული გვარია. ეს მსოფლიო სენსაციაა. – ძვ.წ. XVII-XV და XV-XIII საუკუნეებში კოლხურ ტომებს გვარები ჰქონიათ.

„სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომ ქასქებზე“ საუბარი უნდა გამეგრძელებინა ამ შრომის მესამე თავში (**„რა ენაზე მეტყველებდნენ ძველი კოლხები“**), იქ, სადაც ლაპარაკია კოლხურ-ქართულ-ლათინური სიტყვების ურთიერთდამთხვევებზე საუბარის შემდეგ, მაგრამ საკითხის მნიშვნელობის გამო გადავიტანეთ აღნიშნული თავის ბოლოს და ცალკე საკითხადაც გამოვყავით. აქვე ისიც მინდა ვთქვა, რომ ქასქებ-მეგრელების საკითხს, ორიოდე სიტყვით ვეხებით იქ, სადაც ლაპარაკია კვირის დღეების უძველეს და თანამედროვე სახელწოდებებზე.

როგორც ცისანა ღლონტი აღნიშნავს: ძველ ხეთებს სახლების თავზე (ხშირად ეზოს კარებთანაც) ორთავიანი არწივის სიმბოლო ჰქონდათ. ეს ტერიტორიების თურქებმა რომ დაინახეს, ორთავიანი არწივი თავის სიმბოლოდ გაიხადეს. მერე ორთავიანი არწივი თავის საკუთრებად აქციეს ბიზანტიელებმა, ევროპელებმა, პირველყოვლისა გერმანელებმა, შემდეგ რუსებმა და სხვა ქვეყნებმაც.

მსოფლიოს უძველესი და უდიდესი მითი კოლხეთის შესახებ

ღმერთო, შეაყვარე ქართველებს
ქართველი და საქართველო,
რადგან ამ უკანასკნელს არა
დაუშავებია რა.
ვაჟა

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით ილოსი (ილიოსი) იყო დარდანოსისა და ტევკროსის შვილიშვილი, გარდაიცვალა უშვილოდ. ჰომეროსი მას ტროსისა და სკამანდროსის ქალიშვილ კალიროვის ვაჟად მიიჩნევს. ასევე, ჰომეროსს **„ოდისეაში“** მითითებული აქვს, რომ კორინთოს (ეფირეს) მფლობელი ილიოსი მერმეროსის ძე იყო, რომელიც მედეას შვილიშვილია. ილოსმა (ილიოსმა) ფრიგიაში გაიმარჯვა ათლეტურ თამაშობა-შეჯიბრებაში და საჩუქრად მიიღო 50 ვაჟი და 50 ქალიშვილი. ამასთანავე ილოსს გადასცეს ჭრელი ძროხა. ილოსს იმ ადგილზე, სადაც ეს ძროხა დაწვებოდა, ქალაქი უნდა გაეშენებინა. დიდხანს სდია ილოსმა ძროხას ფეხდაფეხ და ბოლოს, მცირე აზიაში, ერთ-ერთი ბორცვის ძირას ძროხა დაწვა. ილოსმა ამ ადგილზე გააშენა ქალაქი და სახელად ილიოსი, იგივე ტროა უწოდა.

მითებს შეიძლება გააჩნდეს რეალური საფუძველი – წერს **„მითოლოგიური ლექსიკონის“** კარგად ცნობილი ავტორი, ნ. გაფრინდაშვილი და აგრძელებს: ან შეიძლება ერთგვარი ფანტაზიით იყოს შექმნილი, მაგრამ რაღაც ისტორიული წყაროს, რაღაც საფუძვლის გარეშე, ერთგვარ რეალურ მასალაზე დაყრდნობის გარეშე, ცარიელ ადგილზე მითი თითქმის არ იქმნება.

ამრიგად, ეპირის მბრძანებლის ვაჟიშვილის იასონისა და კოლხეთის მეფის აიეტის ასულის – მედეას შვილიშვილი ილოსი იყო ქალაქ ტროას (ილიოსის) დამაარსებელ-მშენებელი.

„გრძნეული“ მედეას შვილიშვილმა ილოსმა ბებიისაგან იცოდა სასიკვდილო შხამების დამზადების საიდუმლო და მასთან მისული ოდისევსი თხოულობდა იარაღებისათვის შხამის დამზადებას, მაშასადამე, ილოსთან შემთხვევით არ მიდის ოდისევსი **„მამაცთა შემმუსვრელი შხამისათვის“**, რომელიც უნდა წაესვა ისრის წვერზე. ე.ი. ილიოსმა მემკვიდრეობით იცის წამლის დამზადების ხელოვნება, მაგრამ გამოიჩინა დიდი კეთილშობილება, ღმერთების მოშიშობა და ასეთი წამლის დამზადებაზე უარი უთხრა (იხ. **ნოდარ გაფრინდაშვილი,** მითოლოგიური ლექსიკონი, რედაქტორი აკაკი ურუშაძე, თბ., 1972, გვ. 139).

ამ ისტორიულ ფაქტს შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა გამოჩენილმა პოეტმა, ვაჟა ეგრისელმა:

ილოსი

მითებს და ათასწლეულებს –
კოლხეთი მხრებზე გადიშლის,
დუმს ეგეოსი და პონტო...
ღელავს ზღვა მარმარილოსი,
ზვირთებს მიაპობს და მიდის
კოლხეთს მედეას ბადიში –
ბერძენი არა, პელაზგი,
მერმეროსის ძე ილოსი.

კლიმენტი შელია,
პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული
მოღვაწე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲓᲔᲘᲓᲐ ᲜᲘᲜᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ: „ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲐᲛᲓᲔ“

(წერილი მეორე)

სალამი, ძვირფასო!

ისევ დეიდა ნინა გწერს თბილისიდან. როგორ ხარ? ჩვენთან ძალიან ცხელა, მაგრამ ქალაქიდან გასვლის არანაირი საშუალება არ გვაქვს. წარმოიდგინე, საქართველოში დასვენება უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მეზობელ თურქეთში... მართლაც გასაოცარია! ჩვენი მთავრობა გამუდმებით ტრაბახობს მილიონობით ტურისტით, სინამდვილეში კი, მაგალითად, აჭარაში საკურორტო სეზონი ჩავარდა. ახლა მიშამ რუსეთთან საზღვარზე კაზინოს აშენება მოიფიქრა და იმედი აქვს, რომ მთელი რუსეთი ყაზბეგში ივლის **„რულეტკის“** სათამაშოდ! იქნებ შენც ჩამოხვიდე?

ვხუმრობ, ფულზე თამაში საძაგლობაა... არ მახსოვს, მოგწერე თუ არა, რომ ძველ თბილისში სიონის საკათედრო ტაძრის გვერდით უზარმაზარი კაზინო **„შანგრილა“** წამოჭიმეს. სისაძაგლე და საზიზღრობაა! რამდენმა ადამიანმა დაკარგა ქონება და უსახლკაროდაც კი დარჩა ამ კაზინოების გამო! ხომ იცი, მე, როგორც ჩვენი თაობის უმრავლესობა, ათეისტურად აღვიზარდე. ღმერთი არ მწამდა, მაგრამ სინდისი მქონდა. ჩვენ ასე გვზრდიდნენ. გვასწავლიდნენ, რომ ადამიანი ადამიანის ძმა, მეგობარი და ამხანაგია. როდესაც გვეუბნებოდნენ, რომ კაპიტალიზმში ადამიანი ადამიანისთვის მგელია, სიმართლე გითხრა, არ მჯეროდა, ჰოდა, ახლა საკუთარ ტყავზე გამოვცადეთ, რა ხვითოცაა ეს მგლისსახიანი კაპიტალიზმი.

სხვების დასანახავად პირჯვრის წერა აქამდე ვერ ვისწავლე. ზოგჯერ ეკლესიაში შევდივარ, სანთელს ავანთებ, ვილოცებ ჩემთვის, ჩუმად, მაგრამ საკუთარი მოძღვარი არ მყავს. პატრიარქს პატივს ვცემ, ის ყოველთვის სწორ რაღაცებს ამბობს, მაგრამ ვინ უსმენს? აი, ამასწინათ საკვირაო წირვაზე შეაგონებდა მრევლს და, პირველ რიგში, პოლიტიკოსებს, არ ესროლათ ერთმანეთისთვის ტალახი, მათ კი ერთი კვირის შემდეგ ქვების სროლა დაიწყეს! კახა კალაძე ხომ იცი, ფეხბურთელი, მილანში რომ თამაშობდა, ახლა კი ივანიშვილის თანამოაზრე გახდა; ჰოდა, კარალეთში ჩავიდა სამხრეთ ოსეთელებთან შესახვედრად (ენა არ მიბრუნდება, მათ დევნილები ვუწოდო), მიშას მომხრეებმა კი ქვები დაუშინეს!

ახლა კი ყველა ანგარიში დაუყადაღეს ფულის გათეთრების თუ საარჩევნო კამპანიის უკანონოდ დაფინანსების საბაბით. ასეთი საქმეებიდან ძალზე შორს ვარ, მაგრამ ჩემთვისაც კი გასაგებია, რომ მას, უბრალოდ, სამაგალითოდ სჯიან – რაში სჭირდება ივანიშვილს მისი ფული? საკუთარი მილიარდები არ ჰყოფნის? მე მგონი, სააკაშვილი მასზე პირადად არის განაწყენებული – ადრე ხომ მეგობრობდნენ.

საერთოდ, მიშას ამ ბოლო დროს რაღაცები არ გამოსდის. ჩვენთან ბევრს წერენ იმის შესახებ, რომ რეგიონებში მასთან შეხვედრებზე ფასიანი მომხრეები ჩაჰყავთ, რომლებიც ტელეკამერების წინ დაუოკებელ სიხარულს და **„მადლიერების გრძნობას“** გამოხატავენ (ხომ გახსოვს, საბჭოთა დროში როგორ იყო, ახლაც ზუსტად ასეა). საქმე იქამდე მივიდა, რომ მან თავად ილაპარაკა ამაზე და უარყო ამ სიხარულით აღსავსე ორგანიზებული შეხვედრების არსებობა. ჰოდა, იმას გეუბნებოდი, მიშას მომხრეთა შეკრულ რიგებში უცხოს არ აკარებდნენ, ერთხელ კი დაბრკოლებების მიუხედავად პრეზიდენტისათვის გადაცემული წერილებიც აჩვენეს, ერთ-ერთ ავტობუსში გროვად რომ ეყარა.

ახლა წინასაარჩევნო პერიოდია და მიშამ კვლავ მოუხშირა რეგიონებში სიარულს. ამასწინათ ერთი გაუბედურებული ბებია, რომელსაც ოთხი ინვალიდი შვილიშვილი ჰყავს საპატრონო, შეეცადა, მიშასთან მიეღწია. მისმა ორმა თანასოფლელმა კუნთმაგარმა ბიჭმა (გამოიცანი, ვისი მომხრეები იქნებოდნენ?) ხელები გადაუგრიხა და სადღაც გაათრიეს. სხვა შემთხვევებისაგან განსხვავებით, ეს ყველაფერი ტელეკამერამ აღბეჭდა და ამას სკანდალი მოჰყვა. სხვა დროს მიშა მიაფურთხებდა ამ ინციდენტს, მაგრამ ივანიშვილი **„ქუსლებზე აბიჯებს“**, თან მოხუცთან ბრძოლაც მეტისმეტად უსანდომოდ გამოიყურებოდა და ის მეორე დღესვე პირადად გამოცხადდა იმ საცოდავთან. ეხვეოდა და ბოდიშს უხდიდა, ყველაფერს ჰპირდებოდა, რაც კი შესაძლებელია და ისიც თქვა, ვერავინ გაბედავს უბრალო ადამიანსა და მის მიერ არჩეულ პრეზიდენტს, ანუ ჩემ შორის ჩადგომასო!

საერთოდ, მიშას სჩვევია, გადაჭრით უარყოს ისეთი რამეები, რაც სისტემატურად ხდება. თავად განსაჯე: ინციდენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხსა და პრეზიდენტს შორის ყრუ კედელია აღმართული, ის კი იფიცება, ხალხსა და ჩემ შორის ვერავინ ჩადგებაო! აღმაფრთოვანებელია, არა? ერთი კერა კი ჩააქრო, მაგრამ მაშინვე გამოირკვა, რომ ერთი თვის წინ ასეთივე შეხვედრის დროს სხვა ქალბატონს სცემეს, რომელსაც მიშასთან მიახლოება სურდა. პოლიციელებმა მას ხელი სტაცეს, საკუთარ სახლში შეათრიეს და ქალიშვილის თვალწინ სასტიკად გაუსწორდნენ. მისი თანასოფლელები ახლა ამ ინციდენტის გამოძიებას მოითხოვენ.

სულ ახლახან კი მიშა თელავში ჩავიდა საბავშვო მოედნის გასახსნელად. სტიქიის მერე იქ არცერთ სახლს სახურავი აღარ შერჩა, იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ მთელი მოსავალი დაიღუპა. და აი, ამ საზარელი სურათის ფონზე პრეზიდენტი სკვერს ხსნის! მამაკაცები, რა თქმა უნდა, დუმდნენ, ისევ ქალმა გაბედა პრეზიდენტისთვის პირში ეთქვა: **„ᲰᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲩᲔᲛᲡ 5 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲡ, ᲠᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲐ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ – ᲡᲙᲕᲔᲠᲘ ᲗᲣ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲭᲔᲠᲘ?!“** მიშამ სხაპასხუპით უპასუხა, რომ შესანიშნავად ესმის მისი, ყველაფრის გაკეთებას დაჰპირდა და სწრაფად მოშორდა იქაურობას.

გეუბნები, რაღაც არ აქვს რიგზე. რამდენიმე თვის წინ მახათას მთაზე ტაძარს საძირკველი ჩაუყარეს და მიშა ისეთ მდგომარეობაში მივიდა, ფეხზე ძლივს იდგა – მთვრალი იყო თუ კიდევ რაღაც... ბოლოს და ბოლოს, პატრიარქის სავარძელში ჩაებერტყა. ამასწინათ კი ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ჯანდაცვის მინისტრიც მთვრალი გამოცხადდა. ფხიზელიც ვერ არის სრულ ჭკუაზე, აქ კი ამ პატარა ცახესმა საკუთარ თავს აჯობა. ეგ სწორედ ის ფილოსოფოსია, რომელსაც ქალაქელებმა ფალოსოფოსი შეარქვეს. რაღაც ოპუსი შეთხზა (ჯერ კიდევ სანამ თბილისის მერი გახდებოდა), რომელშიც ქართული სუფრა ჰომოსექსუალისტების თავყრილობას შეადარა, ხოლო ქართლის დედაზე ეჭვი მიიტანა, რომ მისი დასაჭურისება ჰქონდა განზრახული (ხომ გახსოვს, მას ერთ ხელში ღვინის თასი უპყრია, მეორეში კი – ხმალი).

ვისთან ქეიფობდა, არ ვიცი, მაგრამ როცა ადამიანი მტრისთვის განკუთვნილ ხმალს მის დასაკოდ იარაღად აღიქვამს, ეს უკვე დიაგნოზია. ასე რომ, საქართველო, ვგონებ, ერთადერთი ქვეყანაა, რომელშიც ჯანმრთელობის დაცვას ღრმად დაავადებული ადამიანი განაგებს. თუმცა, იქნებ მან, უბრალოდ, აღიარა, რომ სწორედ ის არის საქართველოს მტერი?

საერთოდ, მინისტრები საქართველოში განსაკუთრებული თემაა. შეგიძლია წარმოიდგინო, რომ 28 წლის ახალგაზრდა ქალი, რომელიც კანადაში საცხობში მუშაობდა, შესაძლებელია ეკონომიკის მინისტრი გახდეს? ინებეთ – ჩვენ გვყავს ასეთი – ვერონიკა ქობალია. მართალია, ელემენტარულ არითმეტიკასთანაც ვერ მეგობრობს, მაგრამ მიშას ტურისტების მრავალმილიონიან ნაკადზე აბარებს პატაკს და ორივე ბედნიერია. ის ისე მარდად ყიდის სახელმწიფო შენობებს, თითქოს ისინი ბაბუამ მემკვიდრეობით დაუტოვა.

სხვათაშორის, ბოლოს რაც გაყიდა თუ ყიდის (ზუსტად ცნობილი არ არის), პარლამენტის შენობაა – ყოფილი მთავრობის სახლი. არა, რა თქმა უნდა, პირადად თვითონ კი არა, არამედ როგორც მთავრობის წარმომადგენელი. მე ასე ვფიქრობ: რაღაცას ყიდი, როდესაც მისი მოვლა, შენახვა არ შეგიძლია – ანუ, როცა ხელმოკლე ხარ. არადა, ამავე დროს, ააშენეს პარლამენტის ახალი შენობა ქუთაისში, რომელიც აშკარად უფრო ძვირი დაჯდა, ვიდრე ძველი. სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს!

ახალი პარლამენტი ხომ გმირთა მემორიალის ადგილზე წამოჭიმეს. ის კი, უბრალოდ, ააფეთქეს. აფეთქების დროს დედა და შვილი – მცირეწლოვანი გოგონა – დაიღუპნენ, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა **„ხალხის რჩეულთ“**, როცა ახალი სხდომათა დარბაზის ქათქათა იატაკზე დააბიჯებდნენ. სიჩქარეში, როდესაც ძველი საბჭოთა ტრადიციისამებრ (ნეტავ რატომ გადმოიღეს იმ ეპოქიდან მხოლოდ ყველაზე უარესი!), შენობის ჩაბარებას 26 მაისს მოითხოვდნენ, მშენებლობაზე მომუშავე კიდევ ერთი ადამიანი დაიღუპა. ერთი სიტყვით, დაღუპული გმირებისთვის წართმეული მიწა მსხვერპლს ითხოვს.

რა საჭირო იყო ეს? ქუთაისში ან მის შემოგარენში ცარიელი მინდორი არ მოინახა? ასეთი რა აუცილებელი გახდა მემორიალის აფეთქება? ამაზე ბევრს ვფიქრობ. იქნებ ყველაფერი პირიქითაა? იქნებ მემორიალი კი არ ააფეთქეს ახალი პარლამენტის გულისთვის, არამედ ახალი პარლამენტი მოიგონეს, რომ მემორიალი აეფეთქებინათ?

ჰო, რატომაც არა, ჩვენ უკვე გამუდმებით თავს გვახვევენ, რომ მეორე მსოფლიო ომი ამერიკელებმა მოიგეს, რომ სტალინი და ჰიტლერი – ერთნაირი ბოროტებაა, რომ რუსეთი მტერია, ხოლო ამერიკა (და ბარემ თურქეთიც) – მეგობარი! ყველაფერი თავდაყირა დგება. არ ვიცი, მართალია თუ არა, მაგრამ მეზობლები ამბობდნენ, რომ ერთიან სახელმწიფო გამოცდებზე (მგონი, თქვენთანაც იგივე შემოიღეს) ტესტირებაზე ასეთი შეკითხვა ყოფილა: ავტობუსში ზიხართ, ამოდის ხანდაზმული ქალი. დაუთმობთ თუ არა ადგილს? პასუხის ვარიანტები იყო: დიახ, არა. მაგრამ იყო დასაბუთებაც. ჰოდა, სწორი პასუხია არა, იმიტომ, რომ მე ბილეთი მაქვს ნაყიდი!

როგორ მოგწონს ტესტი?! ბავშვების ცნობიერებიდან დევნიან იმას, რომ მოხუცს ადგილი უნდა დაუთმონ. თუ ქულების მოპოვება გსურს, სწორედ ასე უნდა უპასუხო, აქედან გამომდინარე – ცხოვრებაშიც ასე უნდა მოიქცე, რომ წარმატებას მიაღწიო! წარმატებული ადამიანები კი ჩვენთან (ისე, თქვენთანაც) სწორედ ისინი არიან, ვინც ტესტის სწორი პასუხი იცის და არასოდეს არავის არაფრის გულისთვის ადგილს არ დაუთმობს!

სხვათაშორის, იქნებ ამიტომაც გაჩნდა თბილისში უმაგალითო პასუხი ამგვარ მიდგომაზე: იმ დროს, როცა მგზავრობის ღირებულება 50 თეთრამდე გაიზარდა, ავტობუსიდან ჩამოსული ადამიანები უხმოდ აძლევენ თავიანთ ბილეთებს იმათ, ვინც ადის! ესეც შენი ტესტი! ხალხს ვერ აჯობებ!

თავი შეგაწყინე, მაგრამ რა ვქნა, თუკი გულში დარდი დამიგროვდა? მომწერე, ჩემო კარგო...

შენი ᲓᲔᲘᲓᲐ ᲜᲘᲜᲐ,
თბილისიდან

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲤᲘᲝᲨᲣᲠᲘ

“ᲗᲣ ᲐᲛᲝᲬᲧᲓᲔᲡ ᲒᲚᲔᲮᲘ ᲙᲐᲪᲘ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲜᲓᲔᲡ”

“ფიოშეფქ გეშაჭყორდუდა,
ქიანა დეჩიჩიებუ.” –
ემუორეთი ვეგნომთანგ,
ქომგაგე: მი იჩიებუ?
ფიოშის თიში ნერსახე
ა, ჩქიმწკმა, ხეს უკინებუ.
ბორჯი ამდღარი ოშხვანერ,
ოგურჭყორ დო მეჩიებუ:
“ფიოშეფქ გეშაჭყორდუდა,
ქიანა დეჩიჩიებუ.”
მარდობა, გუმოშინინი,
იმენდი ვედმეთხიებუ,
ჩქინდა მუ პატი გინოძე,
ვაბკოფეთ უგუჩინებუ,
უკუნ მუზმაში უკულით
საჩქინოს ვამიჩიებუ?
ნამ მანჯღვერსი დო, ნამ ჩხუპი
უჩქინეთ, ნამს მიოგებუ?
დიორდეთ ემიჯუმანა
ჩქინ ხეშე მუნაწიებუ,
წისქვილს უძ გითაქუალი,
ბუყუნს ქვირ ვეშალიებუ.
ტაბაკის გილეგაფუაფ
ჩუანშე ეშაგაფილი,
ფანიას ალალ აცუაფ
ჩხე ღუმუს აშასვართილი,
მარა ირო თაშ ვაკუაფ,
მინეფ რე მუშარღვაფილი...
მაჭვალეფს ორგუმოლარო
ჭა ვაში კილ-კილ ჭკაჭკილი,
საცვანე დიხეფს გუმომჩანს
ძე-კვეთო ეშაჭყვადილი.
“ფი ყვიში გილაკოთამათ”,
დუგათხინენო ვარდილი,
ბუადალურ ფერო ვეგნაჩქვე
ორჩხესუ ალაგაფილი?
ანაწერობა ქოკონდა,
ლულუეფ გეიმარგვებუ,
ცუნჯის კუჩხშუშელ აშნარდი, –
გეფიოშ გეიოშებუ.
სასიმინდეშა აშამიდგ,
მა ქუფე, ეშმაჰავებუ,
ჟამ, უგუჭირებ მუჟამი-რდ,
გემირჩქინდუნა მარგებუ.
“ფიოშეფქ გეშაჭყორდუდა,
ქიანა დეჩიჩიებუ.”
ემუორეთი ვეგნომთანგ,
იშენ დო: მი იჩიებუ?

ᲑᲔᲯᲘᲗᲘ ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ,
“ვეფხისტყაოსნის” მეგრულად მთარგმნელი.

ლექსი ეძღვნება ქართველი მეცნიერისა და პოლიტიკოსის ბატონ ბიძინა ივანიშვილის სურვილს: “ᲔᲠᲗᲘ ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲡ ᲩᲐᲓᲔᲑᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ”.

ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲝᲡ-ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ...

ქუთაისში ბაგრატის ტაძრის გუმბათზე ჯვარი აღიმართა. ჯვრის აღმართვაში საქართველოს პრეზიდენტმა პირადად მიიღო მონაწილეობა. ცერემონიას რესტავრატორებთან ერთად კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკოლოზ ვაჩეიშვილი და კალისტრატეც ესწრებოდნენ.

ცერემონიალზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მიწვეული არ ყოფილა.

როგორც საქინფორმი უკვე იტყობინებოდა, 300 კგ და 2,14 მ ბრინჯაოს ჯვარი არქიტექტორ-რესტავრატორ ვანო გრემელაშვილის ნახაზით დამუშავდა და შეიქმნა.

ნაკურთხი და დალოცვილი ჯვრის აღმართვასთან დაკავშირებით ქუთაისში 17 აგვისტო ერთჯერადად უქმე დღედ იყო გამოცხადებული.

ალბათ შემთხვევითი არ გახლდათ ამ ღონისძიებაზე პატრიარქ ილია მეორეს არმიწვევა აღნიშნულ ღონისძიებაზე – სულაც არ არის სავალდებულო, რომ ერის სულიერ მამა ესწრებოდეს სატანათა მიერ გამართულ შაბაშს, რადგან იგი არ უკურთხებია უწმინდესს. სხვა სახელს ვერც სააკაშვილს მოუძებნი და ვერც **“ᲛᲔᲦᲕᲘᲜᲔᲓᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ”** კალისტრატეს.

დუშელებმა გოდერძი ჩოხელის მეუღლე შეურაცხყვეს

რამდენიმე დღის წინ **"ქართული ოცნების"** წარმომადგენელი, დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი ტრიპოლსკი დუშეთის ერთ-ერთი უბნის მოსახლეობას ხვდებოდა. შეხვედრაზე მივიდნენ **"ნაციონალური მოძრაობის"** წარმომადგენლები, დუშეთის მუნიციპალიტეტის თანამშრომლები და რაიონის მასწავლებლები, რომლებმაც შეძახილით **"წადი!"** ირაკლი ტრიპოლსკის ქალაქის დატოვება მოსთხოვეს. ამ შეხვედრას ესწრებოდა გოდერძი ჩოხელის მეუღლე ნინო მელაშვილი-ჩოხელიც, რომელიც რამდენიმე ქალბატონმა საშინლად შეურაცხყო.

– ქალბატონო ნინო, ირაკლი ტრიპოლსკისთან რა გაკავშირებთ?

– ირაკლი ჩვენი ნათესავია, მისი მამა იაკობ ტრიპოლსკი და გოდერძის დედა მამიდაშვილ-ბიძაშვილები იყვნენ. მე, ჩემს შვილებთან ერთად, როგორც ირაკლის ახლობელი, ვესწრებოდი ამ შეხვედრას. ამასთანავე, როგორც გოდერძი ჩოხელის მეუღლეს, ამ რაიონზე გული შემტკივა... უცებ მოვიდა ადამიანების ჯგუფი, ძირითადად, ქალები, აგრეთვე, რამდენიმე ნასვამი მამაკაცი და დაიწყეს ხმამაღალი ლაპარაკი, სვამდნენ პროვოკაციულ კითხვებს. ერთ-ერთს, ვინმე თინა სადირაშვილს ეცვა ნაციონალების მაისური და მაშინვე მივხვდით, რომ მოგზავნილები იყვნენ შფოთის ასატეხად. ირაკლი მათ ეუბნებოდა, ყველაფერზე გიპასუხებთო, მაგრამ პასუხი არავის აინტერესებდა, მხოლოდ დაპირისპირების გამოწვევა და შეხვედრის ჩაშლა სურდათ. მეც შეურაცხმყვეს... ასეთი შეურაცხყოფილი არასოდეს ვყოფილვარ.

– აგრესია თქვენზე რატომ გადმოიტანეს?

– ამ არეულობისას შუაში ჩავდექი, არ მინდოდა, ვითარება გამწვავებულიყო და ამაზე გაღიზიანდნენ,- დუშეთში რა გინდა, საერთოდ ვინ ხარო. მივხვდი, რომ არ იცოდნენ, ვინ ვიყავი და ვიფიქრე, გოდერძის სახელს თუ ვუხსენებდი, დადებითად განვაწყობდი. გოდერძი ჩოხელის მეუღლე ვარ და დუშეთში ამოსვლის უფლება არა მაქვს-მეთქი? ვინ არის გოდერძი ჩოხელი, რა გაუკეთებიაო. გამლანძღეს, – გოდერძის სულით ვაჭრობო. დარტყმა ვერ გამიბედეს, მაგრამ იმ ჯანჯღარს ცემამდე არაფერი აკლდა. ერთ-ერთმა ქალბატონმა, გამგებლის დედამ, ასევე გამგეობის თანამშრომელმა, ვინმე მერი ფოლადაშვილმა, კინაღამ თვალები დამთხარა. მე, როგორც დედა, ვამბობ, რომ არასოდეს არავის ვუპირისპირდები, მხარე ჩემთვის არ არსებობს. იმ ქალებიდან, როგორც გავიგე, რამდენიმე მასწავლებელი იყო. ამათ ვის რა უნდა ასწავლონ? მოვუწოდებ ქართველ დედებს და ქალებს, გონს მოვეგოთ და სამშობლოს, შვილების მომავალს გავუფრთხილდეთ. ის დაჯგუფება თუ ასეთი მებრძოლია, ერთი მთის გადაღმა, ახალგორში მტერი დგას და იმათ ებრძოლონ.

როდესაც მეუბნებოდნენ, რაღა ახლა მოხვედიო, ვკითხე, გოდერძის ხსოვნის ერთი საღამო მაინც გაგიკეთებიათ, რომ მოვსულიყავი, სირცხვილი თქვენ-მეთქი! ჩემი ვაჟი, ლუკა მეუბნებოდა, თავი დაანებე, ახლა ისეთი განცდა მაქვს, ვაჟა-ფშაველა რომ გააცოცხლო, ესენი ვაჟასაც დაარტყამენო.

– როგორ ფიქრობთ, ამ ვითარებას რომ შესწრებოდა, რას იტყოდა გოდერძი ჩოხელი?

– აღნიშნული ქალბატონებისა და ადამიანის სახედაკარგული მთვრალი მამაკაცების ამგვარ უხეშ და ლამის არაადამიანურ დამოკიდებულებას ვერც მე წარმოვიდგენდი და ვერც ჩვენი ნათესავები. ჯერ ჩემთვის რა შეურაცხმყოფელი იყო და გოდერძისთვის ათმაგად უფრო შეურაცხმყოფელი იქნებოდა, ეს ამბავი დუშეთში რომ მოხდა. სხვაგან რომ მომხდარიყო, ასე არ მეწყინებოდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქართველოს არც ერთ კუთხეში ამას არ მაკადრებდნენ. მოგვიანებით დამირეკეს დუშელებმა, ბოდიშს მიხდიდნენ, წუხდნენ ამ ქალების საქციელის გამო და რცხვენოდათ, თუმცა შეურაცხმყოფელთაგან ბოდიში არავის მოუხდია. ბოლოს იმ დუშელების საყურადღებოდ მინდა ვთქვა, რომლებსაც ჰგონიათ, რომ გოდერძის არაფერი გაუკეთებია, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, რეანიმაციაში, როდესაც მან უკანასკნელი, გამოსამშვიდობებელი წერილი დაწერა, დამშვიდობება დუშელებისგან დაიწყო და საქართველოს სხვა კუთხეები მერე ჩამოთვალა...

ნინო მაისურაძე

გარემოს დაცვის მინისტრმა ხანძართან ბრძოლას კონცერტზე გამოსვლა არჩია

აგვისტოში, როცა ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალში სამაშველო სამსახური ჯერ კიდევ იბრძოდა უნიკალური ჯიშის ხეების ხანძრისგან გადასარჩენად, გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე ქუთაისის აღდგენილ უბანში მომღერალ სალომე ქათამაძესთან ერთად კონცერტზე გამოდიოდა და დასარტყამ ინსტრუმენტზე უკრავდა. კონცერტზე მისული საზოგადოებისათვის მოულოდნელი იყო მინისტრის სცენაზე ხილვა, რადგან ვაშლოვანის ტყეში მოგიზგიზე ცეცხლი ჯერ კიდევ არ იყო ჩამქრალი. თუმცა ხაჩიძემ კომპოზიციების შესრულებამდე შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა და თავისი იქ ყოფნის მიზეზიც ახსნა:

– იმერეთის რეგიონში სხვა მინისტრებთან ერთად ვართ რამდენიმე დღით ჩამოსული. დღეს კი საქმეებს მოვრჩი, გავიარე ქუჩაში და დავინახე კონცერტი. გავაჩერე მანქანა, გადმოვედი და დამხვდა სალომე. ასე სპონტანურად მოხდა ეს ყოველივე. ჩემი ინსტრუმენტი კი სულ თან დამაქვს და გამიჩნდა სურვილი, თქვენთვის დამეკრა, მეტი არაფერი. ნაწილმა თქვენგანმა შეიძლება იფიქროს – ეს ფხიზელიაო? არ ვარ ნასვამი. ვარ ფხიზელი და ოდნავ სიყვარულისგან ნასვამი ამ ქალაქისგან, – განაცხადა გარემოს დაცვის მინისტრმა გოგა ხაჩიძემ.

გარემოს დაცვის მინისტრს ქუთაისის სიყვარულით **"ნასვამობა"** და ვაშლოვანის ნაკრძალში მოგიზგიზე ხანძრის **"ფონზე"** ქუთაისში გამართულ კონცერტზე დასარტყამ ინსტრუმენტზე დაკვრა არ შეარგეს – ორგანიზაცია **"ეკოლოგიური სამართლის ცენტრმა"** სპეციალური განცხადება გაავრცელა და გარემოს დაცვის მინისტრის თანამდებობიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვა. განცხადებაში ნათქვამია, რომ გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე უნდა გაერკვეს, რა სურს – **"შოუბიზნესში დაბრუნება თუ გარემოს დაცვის მინისტრობა."** გოგა ხაჩიძე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა თავისი წინა ამპლუადან და კვლავ შოუბიზნესში ჰგონია თავი. სწორედ ხაჩიძის უწყების დამსახურებაა ის, რომ ვაშლოვანის ნაკრძალში 1000 ჰექტარზე მეტი ტყის მასივი განადგურდა, ვინაიდან მისი უწყების მიერ წლებია, არ გატარებულა ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები. იმის მაგივრად, რომ მინისტრს ხანძართან ბრძოლაში მონაწილეობა მიეღო, ქუთაისში კონცერტზე ერთობოდა, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას და თავისი დღევანდელი თანამდებობა მხოლოდ პირადი მიზნების მისაღწევად და გასართობად სჭირდება. ხაჩიძის მინისტრობის პერიოდში საქართველოს ეკოსისტემა ყოველდღიურად მნიშვნელოვნად ზიანდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ, **"ეკოლოგიური სამართლის ცენტრი", მოვითხოვთ ხაჩიძის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას"** – განაცხადა **"ეკოლოგიური სამართლის ცენტრის"** თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ.

P.S. გარემოს დაცვის სამინისტროს "ეკოლოგიური სამართლის ცენტრის" სპეციალურ განცხადებაზე პასუხი არ გამოუქვეყნებია. მაგრამ ყველამ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ხაჩიძემ მინისტრობას სწორედ სიმღერის წყალობით მიაღწია, როცა მის "მამა-მარჩენალ" მიხეილ სააკაშვილს მლიქვნელურად მიუძღვნა ვაი-ჰიტი "მიშა-მაგარია"!

Ი. ვაჩიბერაძე

ეუთოს კომისარი ცხინვალის რეგიონში ქართული სოფლების განადგურების წინააღმდეგია

ეუთოს უმაღლესმა კომისარმა ეროვნული უმცირესობების საკითხებში კნუტ ვოლებეკმა მოუწოდა სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას, განმარტოს განცხადება, სადაც საუბარი იყო რეგიონის ქართულ სოფლებში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს და მის შემდეგ მიტოვებული სახლების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის გეგმებზე.

„ასეთი გეგმები, თუ განხორციელდება, ამოძირკვავს იმ მცირე ნაშთებსაც, რაც სამხრეთ ოსეთში ეთნიკურად ქართული სოფლებიდან არის დარჩენილი, – განაცხადა ვოლებეკმა. – სახლები კვლავ ეკუთვნის ამ სოფლების თავდაპირველ მცხოვრებთ და ისინი არ უნდა განადგურდეს. საერთაშორისო სამართლის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირებს უფლება აქვთ, დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში და მათ საკუთრების უფლებას პატივი უნდა ეცეს".

„მოვუწოდებ დე ფაქტო ხელმძღვანელობას და ამ ტერიტორიის მაკონტროლებელ შესაბამის ხელისუფლებას, პატივი სცენ დევნილთა საკუთრების უფლებას და შეასრულონ საერთაშორისო სამართლით დაკისრებული მათი ვალდებულებები, – განაცხადა მან. – **განცხადება, რომელიც მოუწოდებს ტრადიციულად ეთნიკური ქართველებით დასახლებული სოფლების სრული განადგურებისკენ, არის პროვოკაციული ამ არასტაბილურ რეგიონში და თუ ეს რეალურად განხორციელდება, ამით შესაძლოა, სამხრეთ ოსეთში ეთნიკური ქართველები საერთოდ აღარ დარჩნენ".**

ვოლებეკმა გააფრთხილა, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კრძალავს მოქალაქეთა და მათი საკუთრების წინააღმდეგ ანგარიშსწორებას.

„გარდა იმისა, რომ პოტენციური კრიმინალური ქმედებაა, ასეთი ნაბიჯი უდავოდ შეუქმნის დაბრკოლებას რეგიონში მშვიდობასა და სტაბილურობას", – აღნიშნა მან.

ვოლებეკმა იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში ეწვევა ცხინვალს, რათა ადგილზე შეისწავლოს მდგომარეობა და განიხილოს სიტუაცია დე ფაქტო ხელისუფლებასთან.

„2008 წლის აგვისტოს ომამდე ქართული სოფლების მიერ დაკავებული ტერიტორიები, სადაც ამჟამად მხოლოდ ნანგრევები დარჩა, გაიწმინდება და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის იქნება გამოყენებული", – იტყობინებოდა 14 აგვისტოს რუსული გაზეთი **„იზვესტია"** სამხრეთ ოსეთის ლიდერ ლეონიდ თიბილოვის სიტყვებზე დაყრდნობით.

აგვისტოს ომამდე ცხინვალთან ახლოს, ძირითადად, ჩრდილოეთით მდებარე რამდენიმე სოფელი საქართველოს მიერ კონტროლირებად ანკლავს ქმნიდა სამხრეთ ოსეთის ფარგლებში. ომის დროს და მისი დასრულებიდან რამდენიმე კვირის განმავლობაში ეს სოფლები, მათ შორის, თამარაშენი, ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, ქურთა და კეხვი, გაიძარცვა და დაიწვა.

„ეს ტერიტორიები არ იქნება გამოყენებული საცხოვრებელი ფართის მშენებლობისთვის, ამიტომ ამ (სოფლების, – საქინფორმი) **სახელწოდებების შენარჩუნება აუცილებელი არ არის; როგორც დასახლებულ პუნქტებად ისინი აღარ იარსებებენ",** – წერდა **„იზვესტია"** თიბილოვის სიტყვებზე დაყრდნობით.

„მე ვიტყოდი, რომ ის სახლები ჯერ არ აუღიათ, მაგრამ ჩვენ ვგეგმავთ, რომ ის ტერიტორიები, სადაც ეს ნანგრევები არსებობს, იურიდიულად გავაფორმოთ, რათა ხვალ და ზეგ არავის მხრიდან ჩვენ მიმართ კითხვები არ გაჩნდეს", – განაცხადა მან.

„ამ სოფლების გასუფთავებას დავგეგმავთ. ეს ნანგრევები, რა თქმა უნდა, არც ისე კარგად გამოიყურება. ამ ტერიტორიებზე სამრეწველო სიმძლავრეების განვითარებას ვგეგმავთ", – იტყობინებოდა გაზეთი **„იზვესტია"** სამხრეთ ოსეთის ლიდერის სიტყვებზე დაყრდნობით.

რაღაც, არა გვგონია, რომ ქართველებზე არც თუ უმიზეზოდ განაწყენებულმა ოსებმა (თუმცა, ალბათ ოსებმა და რუსებმაც კარგად იციან, რომ ქართველი ხალხი აქ არაფერ შუაშია და ეს ძმათამკვლელი ომი საქართველოს აშკარად არაქართულმა ხელისუფლებამ წამოიწყო, რისთვისაც მათ აუცილებლად გაასამართლებენ როგორც საერთაშორისო დამნაშავეებს), ამ საკითხში, ეუთოს მდალჩინოსნების რჩევა და **"გულისწუხილი"** გაითვალისწინონ.

ახლა, უკანასკნელ იმედად მხოლოდ ის რჩება, რომ რუსები, საკუთარი ავტორიტეტის წყალობით, როგორმე გადაათქმევინებენ ოსებს ქართული სოფლების მიწისაგან პირისა აღგვას!

მაგრამ, ისიც საკითხავია, შეიწუხებენ კი თავს ჩვენთვის ის რუსები, რომლისგანაც სააკაშვილი და მისი დამქაშები წლების განმავლობაში ძერწავენ მტრის ხატს და რომელთან საუბარიც რუსებს კატეგორიულად არ სურთ?

რაღაც, არა მგონია!

ასე რომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებთ – მომავალი საპარლამენტო არჩევნები დღის წესრიგში ავტომატურად აყენებს დილემად ქცეულ საკითხს: ან სააკაშვილი და ნაციონალები, ან აფხაზეთი და სამაჩაბლო!

ასე რომ, არჩევანი თქვენზეა!

საქინფორმი

ᲪᲐᲘᲨᲘᲡ ᲮᲣᲠᲝᲗᲛᲝᲫᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ

ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი მდებარეობს სამეგრელოს რეგიონში, ზუგდიდის რაიონში, ზუგდიდიდან სამხრეთ-დასავლეთით ათიოდე კილომეტრის მანძილზე. სოფელი ცაიში გაშენებულია მთაგორიან ადგილზე. მის ერთ ნაწილს უკავია შედარებით გაშლილი დაბლობი, ხოლო მეორე ნაწილი ხევშია. ამ ხევს ქმნის პატარა მდინარე ჯუმი. არქიტექტურული კომპლექსი ხევის ჩრდილოეთითაა, ურთას მთის ერთ-ერთ განიერ ფერდობზე, მდინარე ჯუმიდან ასიოდე მეტრის სიმაღლეზე. ნაგებობა შემოსაზღვრულია ფართო გალავნით, რომლის ცენტრში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარია აღმართული, რომელიც XIII-XIV საუკუნეებით თარიღდება (მანამდე კი აქ X-XI საუკუნეთა მიჯნაზე აგებული დარბაზული ეკლესია მდგარა). სამხრეთ ნაწილში კი – ორსართულიანი სამრეკლო. გალავნის ჩრდილო კუთხეში მოთავსებულია ნაგებობა, რომელსაც ადგილობრივები **„პალატს“** უწოდებენ. კომპლექსიდან სხვა არაფერია შემორჩენილი.

ცაიშის შესახებ ლიტერატურა ცოტაა. მოგზაურები მხოლოდ მცირე შენიშვნებს აკეთებენ. მკლევარ-ისტორიკოსების უმრავლესობა კი ძირითადად დაინტერესებული იყო წარწერით. ლაპიდარული წარწერა მხოლოდ ერთია შემორჩენილი, ისიც გვიანი ხანისაა, ხოლო წარწერები სამონასტრო ნივთებზე რამდენიმეა და გამოცემულიცაა.

როგორც ირკვევა, ცაიშის ტაძარი წარმოადგენდა საეპისკოპოსო კათედრალს. ისტორიულ საბუთებში ამის შესახებ პირდაპირი ცნობა მხოლოდ XV საუკუნიდან მოგვეპოვება, მაგრამ არის ისეთი ცნობებიც, რომლებშიც ცაიშის საეპისკოპოსოს არსებობას ადრეფეოდალური ხანიდან ვვარაუდობთ.

ბიზანტიელი მწერლების ცნობებში არის შემონახული ისეთი გეოგრაფიული სახელი, რომელიც დღეს არ არის შემორჩენილი, მაგრამ შესატყვისს უძებნის აკადემიკოსი ს. ყაუხჩიშვილი.

VI – IX საუკუნეების ნოტაციებში მოყვანილია ცნობა კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებული ლაზიკის ეპარქიის ფასიდის სამიტროპოლიტოს ოთხი საეპისკოპოსოს: როდოპოლისის (ვარციხის), საისინთა, პეტრას (დღევანდელი ციხისძირი) და ზიგანევის (დღევანდელი გუდავა) შესახებ.

ს.ყაუხჩიშვილი **„საისინთა“** (საისის) საეპისკოპოსოს უკავშირებს ცაიშის საეპისკოპოსოს, რაც მართებულად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ის გახლავთ, რომ **„საისი“** (და სხვა სახესხვაობებიც) ცაიშს უფრო ჰგავს. როგორც ამას ვნახავთ, ახლანდელ ცაიშის მრავალჯერ რესტავრირებულ ტაძარში ჩაქსოვილია ადრინდელი ტაძრის ნაშთი, რომელიც, ზოგადად, ადრეფეოდალურ ხანაზე მიგვანიშნებს. ყურადსაღებიდა ის ფაქტიც, რომ ის VII ნოტიცია, სადაც პირველად იხსენიება **„საისინთა ეპოსკოპოსი“**, შედგენილია ეპიფანე კვიპრელის მიერ VII საუკუნეში. აქედან, ცაიშის საეპისკოპოსო მიეკუთვნება ლაზიკის (ეგრისის) პირველ საეპისკოპოსოებს და იგი, ცხადია VII საუკუნეზე ადრეა დაარსებული.

საცაიშლოს საზღვარზე გვიანი ცნობა მხოლოდ ვახუშტისთანაა დაცული: **„არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუმბაიანი, კეთილშენი და შემკული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ წყლის სამჴრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონა – ზღუამდე“**. მასვე სხვადასხვა ადგილას მოხსენიებული აქვს სამეგრელოს სხვა საეპისკოპოსოების საზღვრები, რის მეოხებითაც შეიძლება უფრო დაზუსტდეს საცაიშლოს საზღვრები. აღმოსავლეთით საცაიშლოს ესაზღვრება საჭყონდიდლო მთა უნაგირამდე, დასავლეთით – ზღვა, სამხრეთით – მდინარე რიონი, ხოლო ჩრდილოეთით წალენჯიხის საეპისკოპოსო უნაგირის მთით.

ცაიშის ტაძარზე ხელმოსაჭიდი ცნობები მხოლოდ XVII საუკუნიდან გვაქვს. XVII საუკუნეში მომხდარ ერთ უბედურ შემთხვევას გადმოქცემს ცაიშის რამდენიმე ხატის წარწერა და იქვე შორიახლოს მდებარე ერთ-ერთი მცირე ეკლესიის წარწერაც. ამ წარწერებში ნათქვამია, რომ **„ძვრამ საშინელმა“** დაანგრია საყდარი. შემდეგ მოთხრობილია მისი აღდგენის ამბები. კიდევ ერთი წარწერა, რომელიც საყდრის მომდევნო ისტორიას შეეხება, მოგვითხრობს მის განახლებას **„ქვეყნის მიმორყეულობის“** შემდგომ. **„ქვეყნის მიმორყეულობის“** მიუხედავად, ადგილობრივ მფლობელთ (ისევე, როგორც მიწისძვრის შემდეგ) არ მოუსურვებიათ თავიანთ საყდარზე ხელის აღება და ხელახლა აღუდგენიათ **„გაოხრებული“** საყდარი, რითაც უნებლიეთ შეწყვეტილი ისტორია კვლავ განახლებულა.

აღნიშნულ წყაროთა გარდა არსებობს კიდევ რამდენიმე სხვა წარწერა ხატებზე, განძეულობაზე, აგრეთვე, მინაწერები ხელნაწერებზე, რომლებიც ცოტად თუ ბევრად შუქს ჰფენს ცაიშის საყდრის გვიანდელ ისტორიას.

პირველი საბუთი, ცაიშის საყდრის ერთ-ერთ ხატზე მოთავსებული წარწერაა. დიდი ზომის ხატი ჯვარცმისაა, მოოქროვილი და ვერცხლით მოჭედილი, შეიცავს რამდენიმე წარწერას, რომელთაგან მხოლოდ ქვედა ნაწილის მთელ სიგრძეზე მოთავსებულ რვასტრიქონიან წარწერას მოვიყვანთ მეორე სტრიქონიდან.

„წ. მას ჟამსა, ოდეს საჭედ ვიპყრობდი ცაიშის, ჯუმათის საყდარსა ზედა, ჩვენ ძემან გურიელისა პატრონის გიორგისმან, პატრონმან მალაქია ჴელვყავ ცაიშის ტაძრისა შემკობად და დავახატვინეთ, აღვასრულეთ გუმბათი ვიდრე საფუძვლამდე და ესრეთ შევამკევით, ვითარცა სახლსა ღმრთისასა წმინდათა მისთა და განვისვენე წელ ერთ. ეჰა სახიერებისა და მიუწვდომელობისა ღმრთისასა! შეაძრწოვა ად შეარყია ქვეყანა. ესრეთ იქნა ძვრა დიდი და საკვირველი ქვეყანასა ამას ჩვენსა, რომელი არაოდეს ყოფილა. იძროდა ვითარ წელ ერთ და შეიმუსრნეს ეკლესიანი მრავალნი და დაირღვივნეს დაბანი, ხოლო საყდარიცა ესე ცაიშისა დაეცა, შეიმუსრა თვითგან ვოდრე საფუძვლამდე გალავნით, ყოვლით ნაშენებით მითურთ, და დაილეწნეს ყოველნი ხატნი და იარაღნი ეკლესიისანი და არარა დაშთა რა, ხოლო ოდეს მოხედვა ყო ღმერთმან წყალობათა თვისითა და დაეყენა ძვრა იგი. ამისად შემდგომად წელსა მეორესა ჯერჩინებითა ღმრთისათა და მოწმობითა ყოვლისა საქართველოსა ერისათა მყუეევს კათალიკოზ აფხაზეთისა. და ჩვენ დიდმან მთავარმან ყოვლისა ჩრდილოეთისა კედართა კათალიკოზ-პატრიარქმან, ცაიშელ-ჯუმათელმან, ძემან გურიელისა პატრონისა გიორგისამან, პატრონმან მანაქია, მეორედ ჴელვყავ აღსაშენებლად ტაძრისა ამისა და მკობად ხატთა. მოვაწედვინეთ ძველი ცხოველი... ქრონიკონსა ტზ“ (307+1312=1619). შემდეგ წარწერას მოსდევს ვედრება.

წარწერის განხილვა მოგვცემს მიწისძვრის თარიღის დადგენის საშუალებას. იგი შეიცავს ცაიშის საყდრის ისტორისს ორ მომენტს, ორ პერიოდს. მალაქია გურიელს ორჯერ გაუწევია შრომა ტაძარზე. პირველად მას იგი შეუმკია, მოუხატვინებია; ეს მაშინ, როცა ის მხოლოდ ცაიშელ-ჯუმათელი ეპისკოპოსი ყოფილა. მეორედ კი მას მიწისძვრისაგან დანგრეული ტაძარი აღუდგენია და შეუმკია კვლავ სათანადოდ. ამ დროს ის უკვე აფხაზეთის კათალიკოსად გვევლინება.

ახლა მორიგი კითხვა – როდის **„ხელყო“** მალაქიამ ერთი ან მეორე საქმე? მალაქია გურიელს, როდესაც **„საჭე ეპყრა“** ცაიშისა და ჯუმათის საყდარი, ხელი მიუყვია პირველად ტაძრის შემკობისა და მოხატვისათვის და აღუსრულებია (ე.ი. დაუმთავრებია მოხატვა გუმბათიდან საფუძვლამდე), რის შემდეგ დაუსვენია საყდარზე ზრუნვისაგან ერთი წელი. ამის შემდეგ მომხდარა მიწისძვრა და საყდარი დანგრეულა. მეორე, როცა ის უკვე კათალიკოსი გამხდარა, იწყება მისი მეორე **„ხელყოფა“**, ტაძრის აღდგენა და შემკობა.

აღნიშნულ პირველ პერიოდში არ მომხდარა ტაძრის არქიტექტურის არავითარი ცვლილება თუ შეკეთება. ხდება მხოლოდ ძეგლის შიდა მოხატვა. აქ არც ისა ჩანს, თუ რამ გამოიწვია ეს მოხატვა. შეიძლება გვეფიქრა, რომ ძველი მხატვრობა, რაღაც მიზეზით ჩამოცვივდა და მალაქიამ თავიდან ბოლომდე განაახლა იგი, მაგრამ ამაზე გაკვრითაც არაფერს გვეუბნება. შეიძლება გვეფიქრა აგრეთვე, რომ ძეგლი სულაც არ ყოფილა მოხატული (რაც ნაკლებად დასაშვებია) და ხელგაშლილმა ეპისკოპოსმა მოინდომა მისი **„შემკობა“** სხვა იმდროინდელი ძეგლების მსგავსად.

ზემოთ მოყვანილი წარწერისა და სხვადასხვა წყაროების ანალიზისას ირკვევა რომ პირველად მალაქიას 1612 წელს დაუმთავრებია ტაძრის მოხატვა და შემკობა; 1614 წელს მიწისძვრისგან დანგრეულა საყდარი; 1616 წელს მალაქიას დაუწყია ცაიშის საყდრის აღდგენა და 1619 წელს დაუმთავრებია.

მიწისძვრის შემდეგ აღდგენილი ცაიშის კათედრალის მერმინდელი ისტორიის შესახებ მომდევნო ხანის წყაროებში სისტემატიური ცნობები არ გვხდება და რაც მთავარია, ისინი არ შეიცავენ თვით არქიტექტურული ნაგებობის ისტორიას. XVII საუკუნის 50 – 60-იან წლებში ქვეყნის ასაწიოკებლად შემოსულ მტერს ეკლესია გაუტეხია და აუოხრებია. იმავე ხანებში ცაიშელად ახლად დანიშნული დავით ჯოლია სასოწარკვეთით გვაუწყებს, რომ ეკლესიაში არსებულ შესამოსელთაგან ყველაფერი მოუსპია ხანძარს, მაგრამ თვით ნაგებობის ბედის შესახებ არაფერია ნათქვამი.

გადის საუკუნე და ცაიშის ძეგლის ირგვლივ აღარაფერი ისმის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ უმნიშვნელო, სხვადასხვა სახის მინაწერს, რომლიდანაც ვიგებთ მხოლოდ იმას, რომ XVII საუკუნის ნახევარში ცაიში არსებობდა, როგორც საეპისკოპოსო კათედრა.

მომდევნო პერიოდზე არაფერი ისმის, თითქოს ყოველივე ჩაკვდაო, ასეც იყო: ცაიში, როგორც საეპისკოპოსო კათედრა აღარ არსებობს, მისი აღდგენა მოხდა 1777 წელს. ამ ხნის განმავლობაში თვით ნაგებობაც დაზიანებულა.

ამ საკითხის გასაშუქებლად მოგვეპოვება რამდენიმე საბუთი. ერთ-ერთ მათგანში კაცია II დადიანი მოგვითხრობს, რომ მას თავისი მმართველობის პირველ წლებში საცაიშლოს კათედრა გაუქმებული დახვედრია, ხოლო ეკლესია აოხრებული; შემდეგ მას საეპისკოპოსო ისევ აღუდგენია, ხოლო ცაიშელად დაუნიშნავს „კაცი სათნო ღთისა და სულიერითა ხედვითი აღსავსე“, გრიგოლ ჩიქოვანი. ამჟამად მოგვეპოვება სამი წარწერა, სადაც საკმაოდ ვრცლადაა გაშუქებული გრიგოლ ჩიქოვანის ამაგი ეკლესიისადმი. ამ წარწერთაგან ორი ამავე ეკლესიის ღვთისმშობლის ხატზეა მოთავსებული, ხოლო მესამე თვით ძეგლის დასავლეთ ფასადზე. ხატების წარწერიდან ვიგებთ, რომ ეკლესია **„გარნა ქვეყნისა მიმორყეულობის გამო მისცემია ხელთა ერის კაცთასა“**, და ამ ხნის განმავლობაში **„რომელ კნინდა დარღვეულ იყო ეკლესია ესე“**. მეორეგან: **„გარნა ვიხილე ესე ეკლესია ფ-დ დაცემულ დარღვეულ შინაგან კედელი და გარეგანიცა, და ეგეთვე ხატნიცა შენნი უზრუნველობითა და სიძველითა განყვრნილ იყვნენ...“**. ეკლესიის მიტროპოლიტ გრიგოლს რადიკალური ზომები მიუღია და მთელი ხარჯების გაწევა თვითონ უკისრია. იგი მოგვითხრობს: **„აღვაშენე ესე ეკლესია, რაოდენ დარღვეულ იყო, საფასითა ჩემითა შინაგან და გარეგან და კვალად შემოვავლე ეკლესიასა ამას ირგვლივ გალავანი...“** და მეორეგან „და განვაახლე ყოველნი დაძველებულნი შენობანი“.

როგორც ირკვევა და ზემოთაც აღვნიშნეთ, ცაიშის საეპისკოპოსო დაშლილა. ამის მიზეზია **„ქვეყნის მიმორყეულობა“**. ადვილად შესაძლებელია ეს **„მიმორყევა“**, რომლის შედეგადაც ეკლესია სამონასტროდან საეროდ ქცეულა, გამოწვეული ყოფილიყო რომელიმე სოციალური მოძრაობით. მაგრამ აქ გარკვევით არ არის ნათქვამი, რას გულისხმობს კონკრეტულად ეს **„მიმორყეულობა“** და როდის ჰქონია მას ადგილი.

ზემომოყვანილ წარწერების გარდა, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სხვა რომელიმე ცნობა **„ქვეყნის მიმორყეულობაზე“** და არც ცაიშის საეპისკოპოსო კათედრის გაუქმებაზე.

კაცია II დადიანის ღვაწლით 1777 წელს ისევ აღდგენილია ცაიშის კათედრა და მასვე და მასვე დაბრუნებია მისი უწინდელი მამული ყოველგვარი სახეობით. თვით ტაძრის აღდგენა, როგორც ვნახეთ, ეპისკოპოსად განწესებულმა გრიგოლმა იკისრა.

გამოსარკვევია, რა მდგომარეობაში დახვდა გრიგოლ ცაიშელს თვით შენობა და რა აღადგინა მან. სამწუხაროდ, ამ საკითხების გარკვევა არსებული წერილობითი საბუთების მიხედვით ძნელია, რადგანაც მეტად ბუნდოვანია ტაძრის აღდგენის მოთხრობის ტექსტის ადგილები. ამ წარწერებიდან მხოლოდ ერთი რამაა ცხადი, სახელდობრ ის რომ ეკლესია იმდენად არ დაზიანებულა, როგორც მაგალითად, მალაქიას დროს მოხდა.

წარწერიდან გარკვევით ვიგებთ, რომ გრიგოლ ცაიშელს ტაძრის ირგვლივ გალავანი მთლიანად აღუდგენია. მაშასადამე, გამოდის, რომ ეს გალავანი ორჯერაა აღდგენილი, ერთხელ მალაქიას მიერ (თუმცა მალაქია იქ გარკვევით წერს გალავნის დარღვევაზე და არას ამბობს მის აღდგენაზე, მაგრამ ეჭვის გარეშეა, რომ მან ის აღადგინა დანარჩენ ნაგებობებთან ერთად) და მეორედ გრიგოლ ცაიშელის ხელით. მასვე განუახლებია მონასტრის სხვადასხვა ნაგებობა, როგორც ის ამბობს: **„და განვაახლე ყოველნი დაძველებულნი შენებულებანი“**. დღეს ჩვენ არ ვიცით, რომელ შენობაზეა აქ საუბარი, რადგან ამჟამად არაფერი შემორჩენილა, გარდა სამრეკლოსი და პალატისა, არც სხვა რაიმე ცნობები მოგვეპოვება ამ საკითხის გასაშუქებლად.

აქვე უნდა შევეხოთ იმ ორ წარწერას, რომელთა ფრაგმენტები ჩაშენებულია სარკმლის სამხრეთ კედლის ქვედა ნაწილში. ერთი მათგანი ასომთავრულია მეორე კი მხედრული.

პირველ წარწერაზე ოთხი სტრიქონია შერჩენილი. ამ წარწერის შინაარსი, სამწუხაროდ, კომპლექსის ისტორიას არაფერს ჰმატებს. იგი, როგორც ეტყობა, სამარხის ქვისაა. სავარაუდებელია, რომ ეს წარწერა ეგვტერში იყო მოთავსებული, მაგრამ ვის ეკუთვნოდა წარწერა და ეგვტერი, ჯერჯერობით უცნობი რჩება. წარწერას თარიღი არ გააჩნია. პალეოგრაფიული ნიშნებით კი იგი XIII-XIV საუკუნეებზე მოგვითითებს.

მეორე წარწერიდან მცირე რამეს ვიგებთ. იგი მოგვითხრობდა რომელიღაც საყდრის მშენებლობაზე და მის მშენებელზე, მაგრამ წარწერის დაზიანების გამო არა გვაქვს საშუალება გავარკვიოთ, კონკრეტულად რომელი ეკლესიის მშენებლობაზეა აქ საუბარი, ან ვინ არის მისი მშენებელი.

წარწერის ბოლო სტრიქონში შეიძლება ამოვიკითხოთ **„ბასილი ცაიშელი“**. ასეთი ცაიშელი ისტორიაში არ არის. ჩვენ ადრეც აღვნიშნეთ, რომ ისტორიულ დოკუმენტებში ცაიშელი პირველად XV საუკუნის შუა წლებში გვხვდება. ეს წარწერა კი უფრო ადრინდელი ჩანს. იგი უფრო XIII-XIV საუკუნეების ნაწარმოებია. ამდენად, შესაძლოა, იგი ეკუთვნის სწორედ ცაიშის მთავარ საყდარს და მიწისძვრის შემდეგ მოხვდა აქ.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სტიქიამ წაუშალა ძეგლს პირვანდელი სახე. ეს მდგომარეობა ყველაზე მეტად ფასადების განხილვის დროს ირკვევა. შემდეგი დროის აღმდგენელ ოსტატებს არ უცდიათ მისთვის პირვანდელი სახის დაბრუნება. ამიტომ, როდესაც ტაძრის გარე მასებსა და ფასადებზე გვიხდება საუბარი, იძულებული ვართ შევეხოთ ამ აღდგენასაც.

მიწისძვრისაგან მთლიანად გადარჩენილმა ცოკოლმა იძულებელყო XVII საუკუნის საყდრის აღმდგენელი ოსტატები დაეცვათ ნაკარნახევი – თავდაპირველი აბრისი. ძეგლის სამი ფასადი ძირითადად მხოლოდ ორი ვერტიკალური სიბრტყისაგან შედგება; იგივე არ ითქმის მეოთხე – აღმოსავლეთის ფასადზე, სადაც ფასადის სწორი ზედაპირიდან მკვეთრად გამოყოფილია საკურთხევლის შვიდწახნაგოვანი აფსიდი, რომლის ზედაპირი რთული თაღედითაა დამუშავებული.

ტაძარს თითქმის დაუკარგავს მასათა განლაგებაში ცენტრლურ-გუმბათოვან ძეგლთათვის დამახასიათებელი ჯვრის ფორმაც. ეს ფორმა ინტერიერში ასე თუ ისე მაინც იკითხება, რაც არ ითქმის ექსტერიერზე. გარე მასებში გადაკვეთების შედეგად ჯვრის მკლავები მკრთალადაა გამოვლენილი, ისიც მხოლოდ გვერდის ფასადზე არასრულყოფილი სახით. ამ ფასადზე ჯვრის მკლავები ოდნავაა აწეული, დამოკლებული ფუძით. ჯვრის დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავები სულაც არ არსებობს. მათი სახურავი გვერდითი ნავების დაბალ ნაწილებთან ერთად სიბრტყეს ქმნის.

დღევანდელი ძეგლის მასათა კომპოზიციის დამაგვირგვინებელი ცილინდრული ფორმის გუმბათი მთლიანად ახალია. მას გუმბათის საფუძვლის კვადრატის კონსტრუქციული შვერილებიც კი არ გააჩნია.

შენობა აღმართულია თავდაპირველ სამსაფეხურიან ცოკოლზე; აქედან ქვედა ორი საფეხური სწორკუთხაა, ხოლო ზედა – ნახევარწრიული ფორმის.

ნაგებობის ყველა მასა კარნიზით მთავრდება. ამჟამად არსებული კარნიზის რამდენიმე სახიდან პირველადი მცირე მანძილზეა შერჩენილი, ზოგან გაბმული ხაზით, ზოგან კი ფრაგმენტებად.

შენობა თავდაპირველად შემოსილი ყოფილა ოდნავ მონაცრისფრო თეთრი ქვით. დღეს, ერთი შეხედვით, მთლიანად ნაცრისფერი გადაჰკრავს, მაგრამ ახლოდან ყველა ფასადის ფერი გარკვევით განსხვავდება ერთმანეთისაგან: აღმოსავლეთის ფასადს მზის ცხუნებისაგან ძალიან სასიამოვნო მოყვითალო ფერი გადაჰკრავს; სამხრეთის ფასადის თავდაპირველი ნაწილი ე.ი. მარჯვენა ნაწილი მონაცრისფროა, მარცხენა ნახევარი კი მორუხო; დასავლეთის ფასადის თეთრ ფონს ხავსმოდებული მომწვანო ფერი დასდებია სარკმლის ირგვლივ, ჩრდილოეთისას საკუთარი ფერი აქვს შერჩენილი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

გაუმარჯოს ქართულ პოლიციას!

სამი იუმორესკა შეხიზნულ ლტოლვილთა შენობიდან

ლტოლვილებით ჩასახლებულ ნახევრად გაპარტახებული შენობის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტობუსი გაჩერდა. ახოვანმა პოლიციელმა ხალხს განუცხადა: ბავშვები ბავშვები ექსკურსიაზე გვინდა წავიყვანოთო.

დიდი და პატარა მიაწყდა ავტობუსს.

ბავშვებმა ძალიან გაიხარეს, როცა დეიდა პოლიციელმა მათ ხაჭაპურები, კოკა-კოლა, ნაყინი, საკნატუნო ჩხირები და სიმინდის ბურბუშელები დაურიგა.

ჟივილ-ხივილით ავიდნენ ავტობუსში.

– სად მიგყავთ? ვკითხე პოლიციეს.

– გორში! – ამაყად მიპასუხა პოლიციელმა.

– მისასალმებელია თქვენი დიდსულოვნება და კეთილგონიერება, ბატონო პოლკოვნიკო, რომ გიყვართ სამშობლო, ჩვენი ქვეყნის ისტორია, პატივს სცემთ წინაპრებს. ხალხი ამაყობს თქვენისთანა პატრიოტებით. – მერაბიშვილის თამადობით ყველა პოლიციელი შევაქე და ლტოლვილთა სახელით მადლობა გადავუხადე.

მანაც თავი დამიქნია, ხელები გაშალა და სხვათა შორის თქვა: – აბა, სხვას რას ვაკეთებთო.

ბავშვები წაიყვანეს... ექსკურსიაზე... გორში. რომ დაბრუნდნენ, ვკითხე:

– როგორ მოგეწონათ უფლისციხე?

– რა უფლისციხე? – მხრები აეწურათ.

– უფლისციხეში არ იყავით?

– არა?!

– მაშინ გორის ციხეს დაგათვალიერებინებდნენ.

– არა.

– გორიჯვარი?!

ბავშვები სდუმდნენ.

– აბა, სად წაგიყვანეს, რა დაგათვალიერებინეს?

– პოლიციის შენობა დაგვათვალიერებინეს და მთელი ხმით გვაყვირეს: გაუმარჯოს ქართულ პოლიციასო!

„ვიჩინა“

მეზობლები ჩეროში ნარდს აგორებდნენ და დომინოს უბრახუნებდნენ. პარკით ხელში მივადექი და ვკითხე:

– აბა, თუ მიხვდებით, რა მიდევს ამ პარკში?

– რა იქნება, ან ჭერამი, ან ტყემალი ან თუთა, გზაში დაკრეფდი.

– ვერ გამოიცანით! არის ვიჩინა, გვაქვს პრიჩინა!

– რა ვიჩინა, რა პრიჩინა?!

მაგიდაზე დაახლოებით 4 კილოგრამამდე ღორის შებოლილი ბარკალი დავდე

– ოოო! – წამოიძახეს ერთხმად. – საიდან?

– საიდან და იქედან! – ცერა ავკიდე.

ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს, დაიწყეს ბჭობა, საიდან მოიტანდა ეს კაცი ამხელა ვიჩინასო?

– მოპარვით არ მოიპარავდა, გამორიცხულია. – თქვა შოთამ.

– ყიდვით ვერ იყიდიდა, სად აქვს ამდენი ფული. – თქვა გოგიმ.

– რომც ჰქონოდა, რატომ იყიდიდა, მაგის ფასით იმდენი დასალევი მოუვიდოდა, მთელ დასახლებას ეყოფა. – თქვა რობომ.

– ქუჩაში იპოვა ვითომ? – წარბი აჭიმა ტიტემ.

– ქუჩაში ვის დარჩებოდა. – ჩაილაპარაკა დომენტიმ.

– საიდან მოიტანე? – მკითხა ვიტალიმ და ეშმაკურად ამომხედა, – ახლავე გამოვიძიებო.

ვიტალი გაგრის მილიციაშია ნამუშევარი და გამოძიება მართლა ეხერხება. ასე თქვა: ერთი საათის წინ წავიდა, სამი ლარი ჰქონდა, ლარს ტოტალიზატორში ჩააგდებდა, ლარ და ოცად სიგარეტს იყიდიდა, 80 თეთრად კი ბუხუტიას დასპირტულ არაყს **„გედაცის“** გაუკეთებდაო.

– დაახლოებით მასე იყო, გეთანხმები, მაგრამ ვიჩინა? საიდან ვიჩინა?

– ჰო, თქვი მერე, საიდან?! – წამოიძახეს ერთხმად.

– დიდი ხნის უნახავი მეგობარი შემხვდა და მომიკითხა.

ვიტალიმ ისევ ეშმაკურად ამომხედა:

– სტყუი, არ მჯერა, რაღა ამხელა ვიჩინათი მოგიკითხა, დასალევით მოეკითხებინე ან რესტორანში დაეპატიჟებინე.

– სწორია, სწორი. – კვერი დაუკრეს სხვებმა, – სტყუიო!

მოკლედ, ბევრი იყაყანეს, ათასი ვერსია წამოაყენეს, მაგრამ ვერაფერს მიაკვლიეს... ჩემი ვიჩინის ამბავი კი მთელმა დასახლებამ გაიგო.

დედაჩემმა, ამხელა ვიჩინა რად გინდათ, ცოტა მომიჭერით და ღომს გაგიკეთებთო. ჟუჟუნა დეიდამ, მეც გავაკეთებ ღომსო. ბაბუცა ბებიამ ფანჯრიდან ღომის ასაზელი ლეგენდარული ჩოგანი (იგივე ხვარჩენი) გვიჩვენა (ლეგენდარული იმიტომ არის, რომ აფხაზეთიდან აქვს ჩამოტანილი): ღომის გაკეთება მე ვიცი თუ ვიციო. ქალბატონმა მაყვალამ, მართალია ღომის გაკეთება არ ვიცი, სამაგიეროდ მჭადს გამოვაცხობო.

– მარტო ღომი და მჭადი არ შველის მაგ საქმეს! – გავძახე ქალებს. – არაყი, ღვინო!

– იქნებაო!

მოკლედ, ქალებმა თითქმის სამ კილოზე მეტი ვიჩინა აითვისეს, სამაგიეროდ მოდიოდა და მოდიოდა ღომი, მჭადი და სხვადასხვა კატეგორიის არაყი და ღვინო: ჭაჭის, ტყემლის, ჭერმის, ხურმის (რომელსაც ბაბუცა ბებია რატომღაც კარალიოკის ჭაჭას ეძახის). ვიტალიმ ერთი ლიტრი სპირტი ალუბლის კომპოტში გახსნა, ბორიამ გულივერის შაქრიან მწკლარტე ღვინოში მურაბა შეურია, სხვაგვარად **„პურჭინა“** (წყალწყალა და მჟავე) იქნებაო. ჭიჭიკო და კუკურის გადაყრილი ჭაჭის გამხმარი ფხვნილისაგან დამზადებული, ვითომ საფერავი, ღობის შესაღებად უფრო გამოდგებოდა, მაგრამ ბოლოს თავისი საქმე მაინც გააკეთა.

წავიდა ქეიფი.

ყველას აინტერესებდა გაეგო საიდან მოვიტანე ამხელა ვიჩინა, მაგრამ არ ვამბობდი. ბოლოს, თავი რომ მომაბეზრეს, ვთქვი: – ვიჩინას ამბავს გაზეთ **„ილორში“** დავბეჭდავ (სხვათაშორის ლტოლვილები, განსაკუთრებით ოჩამჩირელები, **„ილორის“** ერთგული მკითხველები არიან) და იქ წაიკითხავთო.

მოუთმენლად ელოდებიან, მეც სიტყვას ვერ გავტეხ და სიმართლეს ვეტყვი (როგორი სამარცხვინოც არ უნდა იყოს. როცა სიმართლეს ამბობ, სირცხვილი არ არის).

მოკლედ, ვიტალი არ შემცდარა. ტოტალიზატორს ლარიანი ვაჩუქე (იმიტომ, რომ წავაგე), სიგარეტი ვიყიდე და ჭიქა არაყს **„გედაცი“** გავუკეთე, ანუ გადავკარი. შემდეგ მარშალ გელოვანის გამზირზე ერთ-ერთი რესტორნის გვერდით მდგარ ჭერმის ხეზე ავძვერი. ამ დროს რესტორნიდან ორი თავმოდგმული როყროყა მამაკაცი გამოვიდა დატვირთული, ქოშინ-ქოშინით, ჯიპს მიუახლოვდნენ თუ არა ერთ-ერთს ხელიდან პარკი გაუვარდა და ჩემი იუმორესკის მთავარმა გმირმა მტვრიან ასფალტზე ზღართანი მოადინა.

– ერთი ამის დედაც ვატირეო! – დაილუღლუდა როყროყამ და ბარკალი **„ჩემი“** ჭერმის ხისკენ მოისროლა. – ძაღლებს შეუჭამიათო.

ხარხარით ჩადჯნენ მანქანაში და წავიდნენ.

მათი წასვლა და ხიდან ჩემი ჩამოხტომა ერთი იყო: რაღა ძაღლებმა შეჭამონ, ჩვენ ვერ შევჭამთ-მეთქი?!

ვიჩინა ჭერმისთვის განკუთვნილ პარკში ჩავდე და წამოვედი. ეგ იყო და ეგ.

ელიტარული ბინები ლტოლვილთათვის ანუ რატომ ვსვამთ ბენდუქიძის სადღეგრძელოს

კვირა არ გავა ძმდგომი ორგანოებიდან არ მოგვაკითხონ. ზოგი დახმარებას ჰპირდება ლტილვილებს (ეგ იმ დროს, როცა არჩევნები ახლოვდება), ზოგი სხვაგან დასახლებას, ზოგი კომპენსაციას... მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც კომისიას კომისიაზე აგზავნიან და გვაშინებენ, აქედან უნდა წახვიდეთ, ეს შენობა იყიდებაო. ვერ გაიგებ, ვინ ყიდულობს და რატომ? ხან თურქები ყიდულობენ, ხან ირანელები, ხან ჩინელები, ხან არაბები... ერთმა ისიც თქვა: ამ შენობას სანდრას დაქალები ყიდულობენო ჰოლანდიიდან, ოღონდ არ დაუკონკრეტებიათ თუ რისთვის ყიდულობენ, რაში გამოიყენებენ შორეული ჰოლანდიელი ლამაზმანი ქალბატონები ამ გაპარტახებულ შენობას. ბოლოს ხმა გავარდა, ბენდუქიძე ყიდულობსო.

– ბენდუქიძე თუ ყიდულობს, კარგია. – ვთქვი მე, – უცხოელმა რომ იყიდოს იმას ჯობია ქართველმა იყიდოს.

– მერე, ჩვენ რა ხეირი? შეწუხდნენ ლტოლვილები, – ჩვენ რა გვეშველება, სად გვიკრავენ თავს, შიძლება ღია ცის ქვეშ აღმოვჩნდეთო.

– ბენდუქიძე ძალიან კარგი ადამიანია, განათლებული, დარბაისელი, თუ იყიდის, სხვებისგან განსხვავებით, აქ კაზინოს კი არა, სამეცნიერო დაწესებულებას გახსნის, უნივერსიტეტს.

– მერე, ჩვენ რა?

– გიმეორებთ, ბენდუქიძე ის კაცი არ არის, ჩვენი შვილების ცოდვაში ფეხი რომ ჩადგას, გარეთ არავის დატოვებს. ხვალ კობა სუბელიანთან მინდა მივიდე, სვანებზე სცენარი მაქვს დაწერილი, – **„ხალდეს ტრაგედია“,** უნდა მივუტანო, იქნებ პრეზიდენტთან შუამდგომლობა გამიწიოს და გადაიღონ, თან ამ ამბავს გავარკვევ-მეთქი.

წავედი.

საღამოს დავბრუნდი. მეზობლებმა დამინახეს თუ არა, ერთხმად დამიძახეს:

– რა ქენი, რა გაარკვიე?

– კარგი ამბავია, გაგიხარდებათ, ახლა ბევრი არ ილაპარაკოთ, დომინოს რახუნს თავი დაანებეთ, თუ რამე ფული გაქვთ, ცოტას მეც დავამატებ და ცუცას მაღაზიიდან დასალევი და **„ზაკუსკა“** მოვიტანოთ, თუ მაგდენს ვერ მოვაგროვებთ, ბაბუცა ბებიას **„კარალიოკის ჭაჭა“** ნისიად გამოვართვათ, ბენდუქიძის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ! ხედავთ იმ შენობას? – ხელი ცოტა მოშორებით მდგარ მშენებარე ობიექტისკენ გავიშვირე.

– მერე?

– რამდენი სართული იქნება, თუ იცით?

– ამბობენ, თოთხმეტიო.

– ნახევარი აშენებულია, კიდევ ერთი იმდენი დარჩა ასაშენებელი, დაახლოებით ერთ წელიწადში დაამთავრებენ.

– მერე, ჩვენ რა?!

– პირველ სართულზე მაღაზიები იქნება, მეორედან მეშვიდეს ჩათვლით წინასწარ ყოფილა გაყიდული, მერვედან ზემოთ კი ჩვენი იქნება.

– როგორ ჩვენი? ჩვენ ვინ მოგვცემს მანდ ბინას? მითუმეტეს, ელიტარული ბინა შენდებაო

– ეე, რანაირი გულუბრყვილოები ხართ, თქვენ ბენდუქიძეს არ იცნობთ, ხომ გითხარით კარგი კაცია მეთქი. მილიარდი აქვს, მილიარდი კი ათასი მილიონია. თქვენი აზრით რამდენი დაუჯდება, ბატონ კახას, ჩვენი იქ შესახლება? ორმოცამდე ოჯახი ვართ, თითო ბინა, ჰა და ჰა 50-60 ათასზე მეტი არ ეღირება.

– თუ ელიტარულია, მეტი ეღირება.

– ვაკეში ან ვერაზე რომ იყოს, გეთანხმები, მაგრამ სად ვაშლიჯვარი და სად ვაკე-ვერა. ათასი მილიონის პატრონი ადამიანი რაღაც 2-3 მილიონის გულისთვის თავს არ შეირცხვენს, რა არის 2-3 მილიონი, ერთი ფეხბურთელის ხელფასია.

– ფეხბურთელს გააჩნია.

– ვარსკვლავებზეა საუბარი, თორემ რეზო ხუფაცარიაც თამაშობდა ფეხბურთს ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელის გუნდში, მაგრამ ჯობდა მარადონას?..

მოკლედ, პატარა სუფრა გაიშალა და ბენდუქიძის სადღეგრძელო ფეხზე ადგომით დაილია.

***P. S.** ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ რა იცი, რატომღაც მგონია და არც გამიკვირდება, რომ ბატონი კახა ბენდუქიძე ამ საწყალ ხალხს უშველის, მაშინ სადღეგრძელოები ნამდვილად არ მოაკლდება. უფრო მეტიც, თაობიდან თაობამდე გადადიოდეს იქნება ალავერდი... ისე ჩვენში რომ ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს, რა არის 2-3 მილიონი, ერთი ფეხბურთელის ხელფასია.*

ნარო კოლხელი

(ნარიმან იაშადაშვილი)

სააკაშვილის ვადამდელი გადადგომა?!

წინასაარჩევნოდ პრეზიდენტ სააკაშვილის გეგმების შესახებ პოლიტიკურ კულუარებში სხვადასხვა ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიით, საქართველოს პრეზიდენტი უახლოეს დღეებში თანამდებობიდან გადადგომას, **„ნაცმოძრაობის“** საარჩევნო სიის პირველ ნომრად დარეგისტრირებასა და ახლად არჩეული პარლამენტის თავმჯდომარეობისათვის ბრძოლას აპირებს, თუმცა ამ შემთხვევაში გამოდის, რომ პრეზიდენტის გადადგომის გამო ოქტომბერში საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად უნდა გაიმართოს.

„თეორიულად ასეთი რამ შესაძლებელია“, – ამბობს ვახტანგ ხმალაძე. მისი თქმით, იმისათვის, რომ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ერთდროულად პირველ ოქტომბერს გაიმართოს, აუცილებლია, რომ პრეზიდენტი თანამდებობიდან ზუსტად 16 აგვისტოს გადადგეს.

„კონსტიტუცია ამბობს, რომ პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის შემთხვევაში არჩევნები 45 დღის ვადაში უნდა გაიმართოს“, – აცხადებს ექსპერტი.

ხმალაძის აზრით, ხსენებულ ვერსიას არსებობის უფლება აქვს, თუმცა მისი განხორციელების ალბათობა ნულის ტოლია, რადგან ნაცგუნდი ამ ნაბიჯით სარგებელს ვერ ნახავს.

„რა მოხდება, თუ სააკაშვილი თანამდებობიდან გადადგება და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება? პირველი, მოხდება ის, რომ ის კონსტიტუციური ცვლილება, რომელიც მომავალ წელს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ უნდა შევიდეს ძალაში და რომლის შემდეგაც ძალაუფლების თვალსაზრისით რეალურად პირველი პირი პრემიერ-მინისტრი ხდება, ვედარ ამოქმედდება... ანუ შენარჩუნდება დღევანდელი ვითარება – მთელი ძალაუფლება ერთი კაცის, პრეზიდენტის ხელში“, – გვითხრა ხმალაძემ.

მისივე თქმით, **„ნაცმოძრაობას“** გარანტია არ აქვს იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩატარების შემთხვევაში, მისი რომელიმე კანდიდატი პრეზიდენტი გახდება. ამას მოწმობს გამოკითხვებიც.

ექსპერტის განცხადებით, ამ ვერსიის განხორციელების შემთხვევაში კიდევ ერთი საინტერესო ფაქტორი წამოიწევს წინ.

„სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტში უმრავლესობას მოიპოვებს, რისი შანსიც არცთუ ისე მაღალია. ამიტომ ძალიან მეეჭვება, რომ ამგვარი რამ მოინდომონ, რადგან ამას თუ არ გააკეთებენ, სულ ცოტა, ერთი წელი, მომავალი წლის ოქტომბრის ბოლომდე, სააკაშვილს გარანტირებული აქვს ის დიდი ძალაუფლება, რაც მას დღეს აქვს“, – ამბობს იგი.

სააკაშვილის პოლიტიკური მომავლის შესახებ განსხვავებული ინფორმაცია აქვს დეპუტატ პეტრე მამრაძეს.

„ჩემი ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილი არც პრემიერ-მინისტრობას და არც პარლამენტის თავმჯდომარეობას არ აპირებს. იგი აპირებს, რომ დარჩეს საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე. მერე კი მხოლოდ პარტიის ლიდერი იქნება და თანამდებობას არ დაიკავებს“, – ამბობს მამრაძე და დასძენს, რომ მისი ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ უცხოელი, მათ შორის, ამერიკელი დიპლომატებისთვის მიწოდებულ ცნობებს ეფუძნება.

მამრაძის მტკიცებით, ძალაუფლების გადანაწილების სწორედ ამ მოდელის შესახებ ესაუბრებიან **„ნაცმოძრაობის“** წევრები უცხოელ პოლიტიკოსებს და ამით ცდილობენ, გააქარწყლონ ეჭვი საქართველოს ხელისუფლებაში მედვედევ-პუტინის ფორმულის გამეორების საფრთხის შესახებ.

„თუმცა ამათ რას გაუგებ?! ეს ისეთი გუნდია, რომ დღეში ორჯერ ეცვლებათ გუნება და განწყობა“, – ამბობს დეპუტატი და დასძენს, რომ ოქტომბერში თუ მოსახლეობა საკუთარ ხმებს დაიცავს და ახალ პარლამენტში სააკაშვილის იმპიჩმენტის საფრთხე რეალურად გაჩნდება, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს.

საქინფორმი

ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲕ ᲡᲐᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲮᲐᲠ!!!

(„ვარდების რევოლუცია“ და სახელმწიფო კანიბალიზმი)

საზოგადოებაზე იდეოლოგიური ზემოქმედების განსაკუთრებული შიშის ფაქტორს პრემიერ- მინისტრის ზ. ჟვანიას მკვლელობის საქმის გაუხსნელობა წარმოადგენდა. რამდენადაც იგი საპროტესტო რეაგირების გარეშე დარჩა, ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომის დასამკვიდრებლად ხელისუფლებას მოქმედების მეტი გასაქანი მიეცა. ნებისმიერი საღად მაზროვნე ადამიანის წინაშე ისმებიდა კითხვა: პრემიერ-მინისტრის მკვლელობის გამოძიება თუკი შეუძლებელი გახდა,ჩვეულებრივი მოქალაქის ბედი წინასწარ დასამარებულად უნდა ჩათვლილიყო. მითუმეტეს, საქართველოს ხელისუფლებაში კანიბალიზმის სენით დაავადებული ყაჩაღები იმავე ხალხის შემწეობით იყვნენ და არიან მოკალათებულნი. მათი მხრიდან, კანიბალთა სრულყოფილი სახე გამაოგნებელი სისასტიკით პირველად 2004 წლის 24 მარტს გამოვლინდა. მხედველობაში მაქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის მიერ სოფ. ეცერში (მესტიის რაიონი) აფრასიძეების ოჯახზე მოულოდნელი თავდასხმა, რომელიც ოჯახის წევრთა სრულ ამოწყვეტას ითვალისწინებდა. ამ ველური ბრძანების გამცემი,მ. სააკაშვილი რომ არის,ეს ფაქტი მან ტელევიზიით ორჯერ აღიარა. **„მე მინდა დავადასტურო-ამბობდა იგი, – მე გავეცი ბრძანება მესტიას დაპატრონებული ბანდიტების განადგურების და ერთი წამით ამას არ ვნანობ. ეს იყო იქ ბანდა აფრასიძეების,რომელიც აკონტროლებდა მთელ სვანეთს... ჩემი ბრძანებით ჩემი ვერტმფრენებიდან გახსნილი იქნა ცეცხლი, მათ შორის რაკეტებით, ეს კოშკებიც განადგურდა და მათ შორის ბანდიტებიც განადგურდა და ეს იყო სწორი გადაწყვეტილება, იმიტომ რომ ამით ამოისუნთქა მთელმა სვანეთმა... საქართველოში ასე ვამყარებთ წესრიგს და წესრიგის გარეშე არ არსებობს განვითარება და არცერთი კომპრომისი ჩვენი მხრიდან არ იქნება დაშვებული.“** ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად ჩანს,რომ ყოველგვარი სასამართლო გადაწყვეტილებისა და უტყუარი მტკიცებულებების გარეშე გაცემული ბრძანების შედეგად, ევგენი და ომეხ აფრასიძეების ამოწყვეტის, მათი სახლკარის გადაწვის ფაქტთან მიმართებაში ქვეყნის პირველი პირი იოტისოდენა სინანულსაც არ გამოხატავდა. თუკი ბოლშევიკები ზოგადად ხალხის სახელით მოქმედებდნენ, მ. სააკაშვილი სვანების სახელით მანიპულირებდა. ამ ფონზე,საზოგადოების დასაშინებლად ისევ იმუქრებოდა და ქვეყნის გასაგონად აცხადებდა, რომ ხელისუფლების მხრიდან არასოდეს არანაირი კომპრომისი არ იქნებოდა დაშვებული. ამ შემზარავ **„ოპერაციას“**,მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრი გ.ბარამიძე ხელმძღვანელობდა. მომხდარი ფაქტის თვითმხილველები ადასტურებენ, რომ **აფრასიძეების ოჯახი პოლიციელებმა ჯერ გაძარცვა, წასაღებად ვარგისი ნივთები მანქანებში ჩაალაგა, დახვრეტილ ომეხ აფრასიძეს ბეჭედი რომ ვერ წააძრეს – თითი მოაჭრეს**. დოდო სიდიანის მტკიცებით, ომეხ აფრასიძე ხელფეხშეკრული მეზობლის ეზოში ცოცხალი გადაიყვანეს და იქ საკონტროლო გასროლით დახვრიტეს. ამის შემდეგ წაუკიდეს ცეცხლი აფრასიძეების სახლს და ტახტზე მისვენებული მძიმედ დაჭრილი ევგენი აფრასიძე ცოცხლად დაწვეს. **მომხდარი უბედურების შემყურე იქვე ეზოში მდგომი გ. ბარამიძე, ცეცხლმოკიდებული სახლის ალზე შემთბარ კუბდარს დამშეული მგელივით ითქვლიფებოდა, ხოლო დამწვარი ევგენი აფრასიძის სხეულიდან წარმოქმნილი ხორცის სუნით გაჟღენთილ ჰაერს ღრმად ისუნთქავდა და დავალების პირნათლად შესრულების გამო, სახეზე საოცარი კმაყოფილება ეკვეთებოდა.** ***ქართველი ერის მიერ თავის დროზე გაკეთებული ბრიყვული არჩევანიდან გამომდინარე, ქვის ხანის ეპოქის დონეზე მოაზროვნე ამ კანიბალს, დღეს სახელმწიფო მინისტრის თანამდებობა უჭირავს.*** მისი კანიბალიზმი, მაშინაც გამოვლინდა, როცა მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეების სვანთა საფლავების წაბილწვის ბრძანება გასცა. ამ გონებაშეზღუდული ადამიანის მიერ საფლავებიდან ამოყრილი ძვლები,აფრასიძეების თითქოსდა **„გატაცებულ და მოკლულ“** ადამიანთა ძვლებად იქნა გამოცხადებული. ექსპერტიზის დასკვნით, რამდენადაც გ.ბარამიძისეული **„ჰიპოთეზა“** არ დადასტურდა, წინა საუკუნეების მიცვალებულთა ნეშტის ნარჩენი (8 ტომარა), ისევ სვანეთში აიტანეს და იმავე სოფლის ცენტრში დაყარეს. ასეთი რამ, გასული საუკუნის 20-40-იანი წლების ბოლშევიკებისა და ფაშისტების სადამსჯელო ღონისძიებათა გეგმებშიაც არ ჯდებოდა. ჩემს მიერ ზემოთ მოტანილი ფაქტებიდან გამომდინარე, პრინციპულად ისმება კითხვა: თუკი ევგენი და ომეხ აფრასიძეები მართლაცდა ადამიანთა გატაცებაში, მკვლელობაში იყვნენ ეჭვმიტანილნი,ცოცხლად გადარჩენილი და ხელფეხშეკრული დაჭრილი ომეხ აფრასიძის გასამართლება, იდეოლოგიური და პოლიტიკური თვალსაზრისით ხელისუფლებისათვის მომგებიანი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ე.წ. **„სამართალდამცველები“** სვანეთის მოსახლეობას კალვერას მძარცველი და მკვლელობით განთქმული ბანდის (ოჯახიდან ძვირფასი ნივთების დატაცება,ოქროს ბეჭდის გულისთვის ომეხ აფრასიძისათვის თითის წაკვეთა და სახლკარის გადაწვა) როლში მოევლინა. გ. ბარამიძის სარდლობით აფრასიძეების ოჯახის გამნადგურებლებმა, კალაძის ნამდვილი გამტაცებლებისა და მკვლელების საქმისე ისევ გასაიდუმლოებლად ყველაფერი გააკეთეს. ამის თქმის შესაძლებლობას დ.სიდიანის სავსებით სამართლიანი და ლოგიკური განცხადება იძლევა. **„ეს იმიტომ გააკეთეს** – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში დ.სიდიანმა, **– რომ ამ საქმის უკან იმალებოდნენ კალაძის ნამდვილი გამტაცებლები. თუ თავად არ იყვნენ კალაძის გამტაცებლები, ხომ ჰყავდათ ომეხი ხელფეხშეკრული, რატომ არ ჩამოიყვანეს თბილისში, რატომ არ დაჰკითხეს, რატომ არ აწყობდათ სიმართლის გარკვევა?“** მართალია, კალაძის საქმესთან დაკავშირებით ნამდვილი დამნაშავეები ცოტა მოგვიანებით იქნა **„აღმოჩენილი“**, მაგრამ აფრასიძეების ოჯახთან მიმართებაში ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან კანიბალიზმის ფორმატში ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხი არავის უგია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ფსიქიკამორღვეული ფაშისტის დონეზე განხორციელებული ზემოაღნიშნული უმსგავსო ქმედება, თავისუფლებისმოყვარე გულზვიად და ამაყ სვანებში შინაგანი შიშის დამკვიდრებაზე იყო გათვლილი. თუკი დასახულ მიზანს მიაღწევდნენ,ახალაიებისა და გოროზიების კლანს, სამეგრელო-ზემოსვანეთის მასშტაბით უზნეობაზე დამყარებული პარპაშის შესაძლებლობა მიეცემოდა. **ეს ბარბაროსული და მანქურთული ჩანაფიქრი, ფართო საზოგადოებისათვის მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი. ამ ფაქტმა, დ. სიდიანს მყარი საფუძველი მისცა, რათა მ. სააკაშვილისადმი ოფიციალურად უმწვავესი შეკითხვა დაესვა: „რატომ მომიკალი შვილი მიხეილ? რატომ მომიკალი მეუღლე? რატომ გადამიწვი სახლკარი და რატომ დამიტოვე ბავშვები ღია ცის ქვეშ მშიერ-მწყურვალი?“ ერთდროს „ხალხის რჩეულმა“ და ხალხზე თითქოსდა „უზომოდ შეყვარებულმა“ მ. სააკაშვილმა, ზემოაღნიშნული სამართლიანი შეკითხვები უყურადღებოდ დატოვა. არადა, იგი დღესაც, წინა საარჩევნო მარათონის პერიოდშიაც ძალაშია. აქედან გამომდინარე, სვანეთის მოსახლეობამ დ. სიდიანის ზემოაღნიშნული შეკითხვა განახლებული ფორმით კანიბალ მ. სააკაშვილს დღეს ისევ უნდა დაუსვას და ოქტომბრის არჩევნების პერიოდში პასუხი აგებინოს ჩადენილი დანაშაულისათვის. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ დ. სიდიანმა ოფიციალური მიმართვა გაზეთის საშუალებით გიული ალასანიასაც გაუგზავნა. „ქალბატონო გიული, მოგმართავთ თქვენი შვილის ბრძანებით მოკლული ევგენი აფრასიძის მეუღლე, რომელსაც ორი შვილი დაუპატიმრეს და სახლ-კარი გადაუწვეს, თქვენ ჩემს ადგილზე როგორ მოიქცეოდით?“ ამ შემთხვევაში გ. ალასანია მოიქცა არა როგორც ღირსეული ქართველი დედა,არამედ როგორც „ნადედარი“.**

ცნობილი ფაქტია, რომ **„სახალხო სასამართლომ“** რომელსაც მ.უგრეხელიძე თავმჯდომარეობდა, აფრასიძეებისადმი ხელისუფლების მიერ წაყენებული ყველა ბრალდება დაუსაბუთებლად და ბათილად ცნო. ეს ფაქტი, აფრასიძეების გაუბედურებული ოჯახისადმი მხოლოდ მორალურ კომპენსაციას წარმოადგენდა. მიუხედავად ამისა, პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით (ხელებაწეული ჩაბარდნენ პოლიციას) შმაგი და გოჩა აფრასიძეები (მათი ჯანმრთელობის უკიდურესად გაუარესების მიუხედავად) სასჯელს 8 წელია იხდიან. ხოლო **დ. სიდიანის მუდარით აღსავსე შემოძახილი „მიშველეთ ხალხო შვილებს მიკლავენ!“ ქართველი საზოგადოების უმრავლესობისა და პოლიტიკური პარტიის ლიდერების მხრიდან შეუსმენელი დარჩა. ცრუ ბრალდებებით დასჯილი ადამიანებისადმი ხელისუფლების უმაღლესი ეშელონებისა და საზოგადოებისგან გულქვაობამ, უსამართლობისადმი უმკაცრესი რეაგირების (სახალხო რისხვის) არგაკეთებამ, დამნაშავის დაუსჯელობამ და საპასუხისმგებლო თანამდებობის პირთა ციინიკურმა განცხადებებმა, მაღალჩინოსანი კანიბალების მისამართით დ.სიდიანს ამაზრზენი წყევლა ათქმევინა: „ჩემი სახლ-კარივით დაიწვას და დაიფერფლოს ბარამიძესაკაშვილის სახლები. ერთადერთი შვილი ჰყავს გია ბარამიძეს, ის სიმწარე ნახოს ბარამიძემ თავის შვილზე, რა სიმწარეც მე განმაცდევინა!“**

ამერიკულ ლაბორატორიაში გამოყვანილ **„ქართველ“** კანიბალებს, ზნეობრივად და გონებრივად გადაგვარებულ მ. სააკაშვილს,გ. ბარამიძეს და მისნაირ ურწმუნოთა ხროვას, ზემოაღნიშნული წყევლა და ღვთის რისხვა ნაკლებად ადარდებს. მათ მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებს: საზოგადოება გამუდმებული შისის ქვეშ ჰყავდეს. ახალგაზრდობა და მისი მშობლები, ხელისუფალთა უცნაური კაპრიზებისა და სურვილების მონურ შემსრულებლებად აქციოს. უცხოელი მსუფლიორების რჩევით განებივრებულებს კარგად ესმის, რომ ქართველთა შინაგანი ცნობიერების გარდაქმნა და **„ნაცების“** სასარგებლოდ შემობრუნება საზოგადოების წინააღმდეგ მხოლოდ კანიბალისტური მეთოდების გამოყენებით მიიღწევა. მ. სააკაშვილი აბა რის სააკაშვილი იქნებოდა,თუკი ქართველთა დასაჩიაგებლად და გასამასხარავებლად უცხოელთა შეგონებებს პრაქტიკულ სინამდვილედ არ აქცევდა. **მისივე მითითებით დაიწყო ქართველ ახალგაზრდებზე ნადირობის, გაუსამართლებლად ქუჩაში ამოწყვეტის „საშინელებათა 100 დღის“ ახალი ეტაპი.** მათი ნამოქმედარის ანალიზიდან გამომდინარე,მხოლოდ ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: პრეზიდენტის უშუალო მითითებით,ძალოვანი სტრუქტურების მიერ ჩადენილი ბარბაროსობის ტოლფას ქმედებას,XX საუკუნის 20-30- ანი წლების საბჭოთა პერიოდის **„ტროიკაც“** არ კადრულობდა. მ.სააკაშვილის ხელისუფლებამ ამ მხრივ ურთულესი მწვერვალების დაპყრობას შეეცადა. დანაშაულის იდეოლოგიურად გადაფარვის მიზნით, ფულზე გაყიდული და ადამიანთა მკვლელობებით აღფრთოვანებული **„რუსთავი-2“**-ის და პირველი არხის **„ჟურნალისტებად“** წოდებულნი აამუშავა. ფსევდო ჟურნალისტთა გამუდმებული პროპაგანდა იმ ფორმატით მიმდინარეობდა, რომ დანაშაულის ჩადენამდე, ან დანაშაულის ერთი კვირის შემდეგ მოსალოდნელი განხოეციელების დაგეგმვაში ეჭვმიტანილიც კი, დამნაშავედ უნდა გამოეცხადებინათ.

„ნაციონალთა“ ტელევიზიებითა და მისი მხარდამჭერი მედეა საშუალებების მხრიდან იდეოლოგიური საფეხურის ამ მიმართულებით მომზადების მიუხედავად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელების შესაძლებლობას ხელისუფლების ზოგიერთი მაღალჩინოსანი სკეპტიკურად უყურებდა. მათი ნიჰილიზმი,საზოგადოების უმკაცრესი რეაქციაის შიშზე იყო დამყარებული. ამ შემთხვევაში,გადამწყვეტი სიტყვა ჰაოსიანთა შთამომავალს და ბრიყვი ქართველებისგან **„პირველ კაცად“** ქცეულ ქართველთმოძულე კანიბალს– მ. სააკაშვილს უნდა ეთქვა. მისივე სანქციით,საქართველოს მოსახლეობისათვის და განსაკუთრებით თბილისელებისათვის სადამსჯელო საჩვენებელი ექსპერიმენტი 2006 წლის 2 მაისს ჩატარდა. მხედველობაში მაქვს ჩოგბურთის ყოფილ კორტებთან კბილებამდე შეიარაღებული 40 კაციანი სპეცნაზის მიერ ჩატარებული ე.წ. **„საგანგებო ოპერაცია“.** კერძოდ, სანაპირო ტრასაზე მანქანით მიმავალ 22 წლის ზურა ვაზაგაშვილზე და ალექსანდრე ხუბულოვზე თავდასხმა, პოლიციელების მხრიდან ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ავტომატური იარაღიდან მასირებული ცეცხლის გახსნა. ეს დანაშაულებრივი ქმედება რომ **„გაეგმართლებინათ“,** შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრმა, გამოგონილ ტყუილზე დაფუძნებული **„არგუმენტი“** მოიშველია –პირველი ცეცხლი თითქოს ზ. ვაზაგაშვილის მანქანიდან იქნა გახსნილი. ექსპერტიზის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა,რომ მანქანაში მსხდომ ახალგაზრდებს (ზ. ვაზაგაშვილი, ა. ხუბულოვი) არანაირი იარაღი არ ჰქონდათ. რაც შეეხება ზ.ვაზაგაშვილს,იგი საკონტროლო გასროლით იყო მოკლული. ანგარიშსწორების ეს ფორმა, ფაშისტური გერმანიის სადამსჯელო უწყების – გესტაპოს თანამშრომელთა დამუშავებულ მეთოდს წარმოადგენდა. ზ. ვაზაგაშვილის დანაშაულებრივი ქმედების მხილებით,ხელისუფლება რომ დაინტერესებულიყო, იგი საკონტროლო გასროლით კი არ უნდა მოეკლა,არამედ სასამართლო პროცესზე გაეყვანა. მომხდარი ფაქტით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებაზე შიშის იდეოლოგიური წნეხის გამოყენებას შეეცადა. ხელისუფალთა მხრიდან უდანაშაულო ახალგაზრდების მიმართ ანგარიშსწორების კანიბალიზმის მეთოდებით აღფრთოვანებულმა ფსევდო ჟურნალისტებმა, მომხდარი ფაქტი სატელევიზიო შოუს ფორმატში წარმოაჩინეს და **„ბანდიტიზმის“** წინააღმდეგ ჩატარებულ **„წარმატებულ ოპერაციად“** გაასაღეს. **ამ დანაშაულებრივი მკვლელობის 40 კაციანი სპეცნაზიდან განსაკუთრებული აქტიურობით იქვე მყოფი შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები გამოირჩეოდნენ. ესენია: ირაკლი ფირცხალავა,გიორგი და ვიქტორ ხიზანიშვილები, ირაკლი ქადაგიძე,გიორგი ნაკანი და გიორგი ცაავა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას,რომ ეს ადამიანები „მიშისტ“ ჟურნალისტებთან ერთად, გასული საუკუნის 30-40-იანი წლების ესესელ ოფიცერთა რიგებსა და მედეა საშუალებებს დაამშვენებდნენ. ქართველთა ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნის სამომავლო ბედის გადაწყვეტის კრიტიკულ მომენტში, საზოგადოების მთელი ყურადღება ნებსით თუ უნებლიედ მეორეხარისხოვან საკითხებზე გადადის, შავის და თეთრის ვერგარჩევის გამო,მომავალი თაობების „არა კაცთკვლის“ პრინციპით აღზრდის საკითხი უყურადღებოდ გვრჩება. ამიტომ არის, გასული საუკუნის ფაშისტური და საბჭოური კანიბალიზმის ცნობიერებით აღზრდილი ზემოთ დასახელებული პიროვნებები საპასუხისმგებლო თანამდებობებზე რომ მოხვდნენ. მათი ნამოქმედარის ამაზრზენმა შედეგებმა ათეულობით ქართული ოჯახი გააუბედურა. ამ ადამიანებს და მის ქომაგ ჟურნალისტებს ელემენტარული ზნეობრივი ღირსება რომ ჰქონოდათ, სიმართლეს თუკი ვერ იტყოდნენ, დუმილის გზას მაინც აირჩევდნენ.**

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲣᲤᲡᲘᲡᲙᲘᲠᲔᲚᲘ

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

ლევან ყენია: "ზენიტში" ჩემი ტრანსფერი ლუჩანო სპალეტის არ უნდოდა

ამას წინათ ქართულ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სანკტ-პეტერბურგის **"ზენიტში"** ლევან ყენიას ტრანსფერი ჩაიშალა.

21 წლის ყენია რუსეთის ჩემპიონ გუნდს ჯერ პორტუგალიურ შეკრებაზე ახლდა, მერე პეტერბურგშიც გაჰყვა, წინასწარი კონტრაქტიც გააფორმა კლუბთან, მაგრამ...

ყენია ახლა თბილისშია და მან ჩაშლილ ტრანსფერთან დაკავშირებით მცირე კომენტარი გააკეთა:

"ველოდები შემოთავაზებებს. მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია, ჩემს ტრანსფერზე არაერთი მენეჯერი მუშაობს.

შეიძლება ისევ გერმანიაში დავბრუნდე, ან კვლავ რუსეთში... ვნახოთ, გარკვეული ჯერ არაფერია.

ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში დაბრუნებას გამოვრიცხავ. ინდივიდუალურად ვვარჯიშობ, თუმცა მსურს, რომ რომელიმე აქაურ გუნდში მივიდე სავარჯიშოდ.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ არ გამოვიდა სანქტ-პეტერბურგის "ზენიტში" ჩემი ტრანსფერი, ეს გუნდის მთავარ მწვრთნელს არ უნდოდა".

საქართველო-ხორვატია 1:1 - სასურველი ფრე ახალი გუნდით

საქართველოში ფეხბურთი კი უყვართ, მაგრამ არა მგონია, რომ საქართველო საფეხბურთო ქვეყანა იყოს.

ალექსანდრე ჩივაძის გაწვრთნილი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შინ პირველ მატჩს თამაშობდა, მოწინააღმდეგე კი ჩვენი ძველი ნაცნობის, ივო შუშაკის ხორვატია იყო – ინტერესი ამანაც ვერ გააღვივა.

თვითონ თამაშს რაც შეეხება, დიდი ვერაფერი გამოდგა. ჩვენი ნაკრებისგან უფრო მეტს ველოდით, მიუხედავად იმისა, რომ ეს გუნდი ახალი შექმნილია. ვერ ვნახეთ ახალგაზრდა ქართველების კარგი ინდივიდუალური თამაში, თორემ გუნდურობისგან ამ ეტაპზე განსაკუთრებული არც არაფერი იყო მოსალოდნელი.

ხორვატიამაც ვერ გაგვაოცა, მომავალი მანჯუკიჩი თუ მოდრიჩი შუშაკის გუნდში ვერ დავინახეთ.

საქართველო შინ თამაშობდა და შემტევი ფეხბურთი მისთვის თავისებური მოვალეობა იყო. ჩივაძემ ცენტრფორვარდად დავით სხირტლაძე გაამწესა.

სხირტლაძეს ამ პოზიციაზე **"ორჰუსშიც"** უწევს თამაში, თუმცა უფრო უკან, პლეიმეიკერსა და მეორე ფორვარდს შორის არის მისი საყვარელი ადგილი.

გიორგი ჭანტურიამ მარჯვენა გარემარბის პოზიცია დაიკავა, **"ვიტესშიც"** ამ ფუნქციას აკისრებენ ხოლმე; მარცხენაფლანგელად კი გიორგი პაპავა მოგვევლინა – არაერთხელ დავსწრებივარ **"დინამოს"** დუბლების თამაშს და პაპავა ამ პოზიციაზე არ შემინიშნავს.

რა თქმა უნდა, მწვრთნელმა უკეთ იცის, ვის რა პოზიცია მიუჩინოს და ექსპერიმენტების უფლებაც აქვს.

მასპინძლებს მალევე შეეძლოთ გოლის გატანა – ხორვატ მცველს ფეხი დაუცდა, სხირტლაძემ ამით კარგად ისარგებლა და ნიკა ძალმიძეს გადააწოდა ბურთი. ის კართან ახლოს იყო, თუმცა ამ ეპიზოდიდან ოდენ კუთხურს გამორჩა.

ამის შემდეგ ჯაბა ჯიდაურმა ოციოდე მეტრიდან ჭვინტით დაარტყა – ბურთი ხორვატიის მეკარემ მოიგდო ხელებში.

არც სტუმრები დაურჩნენ ვალში მასპინძლებს: დუიე კოპი მარცხნიდან შეიჭრა ქართველთა საჯარიმოში, მწვავედ ჩააწოდა კარის გასწვრივ. დასწრებაზე ყველას ანტონ მაგლიცამ აჯობა, თუმცა ახლოდან ზუსტად ვერ დაარტყა.

ჩივაძის გუნდს მცირე უპირატესობა მართლა ჰქონდა და ღრიჭოც მოუძებნა ხორვატიის დაცვას – ძალამიძემ ორიგინალური პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა სხირტლაძე და 1:0.

ვინც სტადიონზე მოვიდა, უმეტესობას, ალბათ, გიორგი ჭანტურიას თამაშის ნახვა აინტერესებდა. მან თავისი საუკეთესო მატჩი ვერ ჩაატარა, თუმცა რამდენჯერმე გამოირჩა მოხდენილი მოძრაობითა და მახვილგონივრული პასით.

ჭანტურიას მარჯვენა ფლანგიდან ცაციათი შეჰქონდა ბურთი შუისკენ – მეტწილად ასე ცდილობდა თამაშის გამწვავებას. მან ჯერ პაპავას გადააწოდა ბურთი კარგად – დინამოელმა რიგიანად ვერ დაარტყა. შემდეგ ჭანტურიამ ჩინებული პასი გაუჭრა ჯიდაურს, რომელმაც მარცხნიდან ხეირიანად ვერ დაასრულა შეტევა.

ხორვატებმა ნელ-ნელა გამოასწორეს თამაში. ანდრეი კრამარიჩმა ერთხელ სცადა შორიდან ბედი, მეკარისთვის უხერხული ტრაექტორიით დაარტყა, ისე, რომ გიორგი ნადირაძეს სიტუაციის გაკონტროლება გაუჭირდა.

ეს თავისებური სიგნალი უნდა ყოფილიყო ჩვენი გუნდისთვის, რადგან კარგად გამოჩნდა, რომ ხორვატთა ათ ნომერს ძალიან სახიფათო დარტყმა ჰქონდა, მაგრამ ასე არ მოხდა: მეორე ცდაზე კრამარიჩმა დაახლოებით 7-8 მეტრი გაისეირნა ბურთიანად. კარგად რომ გაისწორა ბურთი, არც მაშინ მოისურვა ვინმემ მისთვის ხელის შეშლა.

ჰოდა, კრამარიჩმაც ისეთი დააქუხა, თქვენი მოწონებული – ბურთი ცხრიანში გაახვია.

შესვენების შემდეგ ჩივაძემ მოედანზე ფეხმალი ლაშა ჩაფიძე შეუშვა – მარცხენა გარემარბად გაამწესა, პაპავა კი თავის ჩვეულ პოზიციაზე გადაიყვანა.

ამასობაში წვიმა წამოვიდა და ხორვატებს თითქოს კარგად მოუხდათო გაგრილება – სტუმრები ჩვენს ნაკრებზე უფრო დინამიურად ათამაშდნენ, მოძრაობასა და სისწრაფეში არცთუ უმნიშვნელო უპირატესობა მოიპოვეს.

შუშაკის გუნდი ცუდად როდი იყენებდა ფლანგებს, განსაკუთრებით მარჯვენას, საიდანაც არაერთი სახიფათო მომენტი შექმნა. ჩივაძის გუნდს გოლი აღარ გაუშვია, თუმცა ამის შანსი ნამდვილად იყო.

მატჩის ბოლოსკენ უკვე ქართველ ახალგაზრდებს ჰქონდათ საგოლე შესაძლებლობები. ჭანტურიას ბრწყინვალე პასით კონსტანტინე გაბაშვილი მარჯვნიდან შეიჭრა ხორვატიის საჯარიმოში, მახვილი კუთხიდან ლამობდა მეკარისთვის ბურთის გადაგდებას, თუმცა ხორვატთა კიპერმა იმარჯვა და მეტოქეს ოდენ კუთხური აკმარა.

ამის მერე იყო ეპიზოდი, როცა ხორვატიის მეკარის და ცენტრალური მცველის, იგორ ბუდნიჩის უნიათობით ვერ ვისარგებლეთ – გაბაშვილმა და ჩაფიძემ ერთმანეთს ხელი შეუშალეს.

ეს ფრე ჩვენს ახალგაზრდებს აძლევს ხელს – შესარჩევის ბოლო ტურში ესტონეთს თუ მოუგეს, მესამე ადგილს ვერავინ შეეცილება.

ილომი

პროფესიონალი მოტირალი გასვენებაში მიიწვიეს.

– შენ წახვალ და ჩემს მაგივრად იტირებ გასვენებაში,– ეუბნება მოწაფეს.

– თქვენ რატომ არ მიდიხართ?

– მე არ შემიძლია, სიდედრი გარდამეცვალა და სიხარულის დროს ვერ ვტირი.

* * *

– მეშვიდე მანქანა მომპარეს გუშინ.

– არაფერი მოიმოქმედე?

– კი. გადავწყვიტე, მერვე აღარ ვიყიდო და იბლაყუნონ აწი ფეხით...

* * *

– ალო, პოლიციაა?

– დიახ, რა გნებავთ?

– ხუთმა კაცმა მცემა, ღამის სამ საათზე, სკოლაში.

– ეგრე მოგიხდება, რა გინდოდა წეს იერ ბავშვს, მაგ დროს, სკოლაში?

– დარაჯი ვარ, უფროსო.

* * *

მიხოს სიდედრის გასვენებაში ისეთი ხაშლამა შემოიტანეს, მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ათი წუთის განმავლობაში ტაშს უკრავდა.

* * *

ღამით ცოლი ქმარს აღვიძებს.

– რა იყო? – თვალს იფშვნეტს ქმარი.

– ერთი კითხვა მაქვს.

– მკითხე, მერე.

– ასეთი პატარა ხელფასის პატრონს რა გაძინებს?

* * *

– ძვირფასო, როცა მოვკვდები, იტირებ? – ეკითხება ქმარი ცოლს.

– რა თქმა უნდა, საყვარელო, – პასუხობს ცოლი, – ხომ იცი, უბრალო რამეზედაც ვტირი ხოლმე.

ლევან გოთუა – გიორგი ლეონიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

1966 წლის 9 აგვისტოს თბილისში გარდაიცვალა დიდი ქართველი პოეტი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და იდეოლოგი – გიორგი ლეონიძე.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა დიდი პატრიოტი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალა. ლევან გოთუამ ასე უწოდა მას: **„გიორგი ლეონიძე – აწ-მთაწმინდელი!"**

გიორგი ლეონიძე დაიბადა1899 წლის 27 დეკემბერს, სოფელ პატარძეულში, კახეთში.

მამას ნიკოლოზი ერქვა. მას გორის სემინარია ჰქონია დამთავრებული და სიცოცხლის ბოლო წლებში სასულიერო მოღვაწეობას ეწეოდა. მეგობრობდა ვაჟა-ფშაველასთან. დედა – სოფიო გულისაშვილი, ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიის და ხალხური სიტყვიერების საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა. მისი მამა ნინოწმინდის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი იყო. ბიძა, შაქრო გულისაშვილი კი სახალხო მწერალი, რომელიც **„შაქროს"** ფსევდონიმით ბეჭდავდა თავის ნაწარმოებებს.

წერა-კითხვა ოჯახში ისწავლა პატარა გოგლამ. მერე თვითონ უკითხავდა თურმე ბავშვებს წიგნებს. მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ საზოგადოების გამოჩენილი წარმომადგენლები. ჰქონდათ კარგი ბიბლიოთეკა. ბავშვობიდან მამულიშვილური გრძნობით იზრდებოდა მომავალი პოეტი. პატარა გოგლა ორი წლის ყოფილა მამა რომ გარდაეცვალა. მრავალშვილიანი ოჯახის გაძღოლა დედას უწევდა.

1907 წლიდან თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა. 1913 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. მისი პედაგოგები იყვნენ გამოჩენილი ადამიანები: ვასილ ბარნოვი, კორნელი კეკელიძე, ნიკო სულხანიშვილი და სხვები.

გოგლას პირველი ლექსები1911 წლიდან იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. მისი რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალები **„გვირგვინი"** და **„ფანდური"**, რომლებიც სემინარიაში გამოიცემოდა.

1916 წელს გიორგი ლეონიძემ გამოსცა ლიტერატურული ალმანახი **„საფირონი"**. მისი პირველი ლექსი, **„მცხეთა"**, 1911 წელს დაიბეჭდა გაზეთ **„სინათლეში"**. 1912 წელს 12 წლის პოეტმა ლექსი მიუძღვნა ვაჟა-ფშაველას. დიდი პოეტიც საპასუხო ლექსით გამოეხმაურა.შემდეგ წერილების გამოქვეყნებაც დაიწყო ლიტერატურულ საკითხებზე. გატაცებული იყო მოდერნიზმით. 1918 წლიდან დაუახლოვდა **„ცისფერყანწელებს"**.

1919 წლიდან გიორგი ლეონიძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა. ტიციან ტაბიძესთან ერთად გამოსცა პოეტური კრებული **„რევოლუციის პოეტები"**. 1922-1923 წლებში რედაქტორობდა ცისფერყანწელთა ყოველკვირეულ გაზეთ **„ბახტრიონს"**.

გიორგი ლეონიძე, გარდა იმისა, რომ გახლდათ დიდი პოეტი, იყო შესანიშნავი პროზაიკოსი და ლიტერატურათმცოდნე. მისი ინიციატივით დაარსდა მთაწმინდის მწერალთა მუზეუმი, რომელიც მოგვიანებით საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმად გადაკეთდა და ახლა მის სახელს ატარებს. თვითონ პოეტი, კარგა ხნის მანძილზე, აღნიშნული მუზეუმის დირექტორად მუშაობდა. გიორგი ლეონიძის დაარსებულია ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი საგურამოში.

გიორგი ლეონიძემ დაარსა ალმანახი **„ლიტერატურული მემკვიდრეობა"**, რომელსაც თავად რედაქტორობდა. 1940-1948 წლებში იყო **„ლიტერატურული მატიანის"** რედაქტორი, 1951-1953 წლებში გახლდათ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე. 1957-1966 წლებში ხელმძღვანელობდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. მან გამოსცა, კომენტარებითა და გამოკვლევებით, მამუკა ბარათაშვილის **„ჭაშნიკი"** (1920 წელს), სულხან-საბა ორბელიანის **„სიბრძნე-სიცრუისა"** (1928 წელს), იოსებ თბილელის **„დიდმოურავიანი"** (1939 წელს) და სხვა.

გიორგი ლეონიძეს აქვს გამოკვლევები **„ვეფხისტყაოსნის"**, ვახტანგ VI-ის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, საიათნოვას, ანთიმოზ ივერიელის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ვასილ ბარნოვის და სხვების შესახებ. მისი შესანიშნავი მოთხრობების საფუძველზე გადაღებულია მხატვრული ფილმი **„ნატვრის ხე"**.

გიორგი ლეონიძე ნამდვილი ეროვნული იდეოლოგი გახლდათ. მისი შემოქმედება და ცხოვრება განმსჭვალული იყო სამშობლოს სიყვარულითა და მისი მომავლის რწმენით. ნატვრა ჰქონია, ენახა სოფელი ლიონიძე ტაოკლარჯეთში...

პოეტი გარდაიცვალა 1966 წლის 9 აგვისტოს.

გავიხსენოთ მისი რამდენიმე ლექსი. ბოლოს კი გთავაზობთ დიდი შემოქმედის ლევან გოთუას გამოსათხოვარ წერილს ასევე დიდი შემოქმედის გიორგი ლეონიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. როგორც თინათინ კობალაძე მოგვითხრობს, ეს წერილი დაიწერა 1966 წელს რადიოგადაცემისთვის. წერილი ყველას მოსწონებია. ლევან გოთუასთვის უთხოვიათ: **„ეს მშვენიერი წერილი რომელიმე გაზეთში გამოექვეყნებინა...პასუხად საოცარი და მოულოდნელი რამ გვითხრა: არავის უთხოვია და ჩემით მერიდება მივიტანოო"... ამ სიტყვებმა, რა თქმა უნდა, გაგვაკვირვა, მაგრამ, ამავე დროს, კიდევ ერთხელ დაგვანახა მისი უსაზღვროდ მოკრძალებული დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრისადმი..."**

გავიდა წლები, თინათინ კობალაძემ ლევან გოთუას წერილი გამოაქვეყნა 2005 წელს გიორგი ლეონიძის დაბადების თვეში, დეკემბერში.

დიდ ადამიანს შეუძლია დააფასოს დიდი ადამიანი. ამით მაინც ვართ ბედნიერი ქართველები, რომ ჩვენი დიდი მამულიშვილები აფასებდნენ ერთმანეთს...

გ. მახოგონშვილი

ISSN 1987-8966 "ილორი"

ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, დავით ქობალია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saqinform.ge